

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე

2013, №6

სამოქალაქო პროცესი

საძიებელი

დავის საგნის ღირებულება
სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძვლები
სასამართლო ხარჯების განაწილება სარჩელზე უარის თქმისას
სახელმწიფო ბაჟის დაბრუნება
საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა
საპროცესო ვადის გამოთვლა
უარი საპროცესო ვადის გაგრძელებაზე
შეტვობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში
საპროცესო უფლებამონაცვლეობა
იურიდიული ინტერესი
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა
სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული
ზიანის ანაზღაურება
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება
სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მხარის უარი
საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე
დაუსწრებელი გადაწყვეტილება
მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები
უსწორობის გასწორება
გადაწყვეტილების აღსრულების გადადება
სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ
აღსასრულებლად მიქცევა
უარი დაკარგული საქმის წარმოების აღდგენაზე
სააპელაციო გასაჩივრებაზე უარის თქმა
გასაჩივრების უფლების მქონე პირთა წრე
სააპელაციო საჩივრის ღირებულება

დავის საგნის ღირებულება

განჩინება

№ას-768-721-2012

1 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: წილის დათმობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ს-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. ს-ისა და შპს „მ-ის“ დირექტორ რ. ა-ის მიმართ მოპასუხეთა შორის 2004 წლის 13 ოქტომბერს შპს „ს-ს“ საწესდებო კაპიტალის მოსარჩელის კუთვნილი 50%-ის დათმობის შესახებ ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

დ. ს-მ ასევე სარჩელით მიმართა სასამართლოს შპს „მ-ის“ დირექტორ რ. ა-ის წინააღმდეგ მის მიერ მოპასუხისათვის შპს „ს-ს“ 50%-იანი წილის დათმობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ.

მოცემული სარჩელები გაერთიანდა ერთ ნარმოებად.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით არც დ. და არც ნ. ს-ების სარჩელები არ დაკმაყოფილდა, რაც ნ. ს-მ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტის მოთხოვნაა წილის უსასყიდლოდ დათმობის (ჩუქების) ხელშეკრულების გაუქმება, ამასთან, წილის ღირებულება ხელშეკრულებით შეფასებულია 1000 ლარად, შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრით დავის საგნის ღირებულება უნდა განისაზღვროს 1000 ლარით. ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სააპელაციო სასამართლომ განჩინებაზე ნ. ს-მ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის არსებითად განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში ნ. ს-ის სარჩელი აღიარებითი ხასიათისაა, შესაბამისად, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის საფუძველზე განუხილველად დაეტოვებინა სააპელაციო საჩივარი.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განსაზღვრა სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება 1000 ლარით. საქმის განხილვისას არაერთხელ დადასტურდა, რომ წილის რეალური ღირებულება შეადგენს, სულ მცირე, მილიონ ლარს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ს-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

დასახელებული მუხლიდან გამომდინარე, კანონი ქონებრივი დავის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის გარკვეულ შეზღუდვას აწესებს, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს, წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი არ დაიშვება და განუხილველად დარჩება.

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ასევე ადგენს დავის საგნის ღირებულების განსაზღვრის წესს, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დავის საგნის ფასს მიუთითებს მოსარჩელე. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება სადავო ქონების რეალურ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე სადავო ქონების საბაზრო ღირებულების მიხედვით.

მითითებული ნორმა სავალდებულოა სააპელაციო ინსტანციისათვისაც ამავე კოდექსის 372-ე მუხლის საფუძველზე, რომლითაც საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

ამდენად, ხსენებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულებას მიუთითებს თავად აპელანტი, მაგრამ სასამართლო უფლებამოსილია, არ გაიზიაროს აღნიშნული ოდენო-

ბა, თუ ჩათვლის, რომ დავის საგნის საბაზრო ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება მხარის მიერ მიითითებულ ფასს. შესაბამისად, მოცემული საკითხის შეფასებისას სასამართლო ხელმძღვანელობს რეალურად არსებული საბაზრო ფასებით.

განსახილველ შემთხვევაში ნ. ს-ის სააპელაციო საჩივრის საგანი დ. ს-ისა და შპს „მ-ის“ დირექტორ რ. ა-ის მიმართ მოპასუხეთა შორის 2004 წლის 13 ოქტომბერს შპს „ს-ს“ სანესდებო კაპიტალის მოსარჩელის კუთვნილი 50%-ის დათმობის შესახებ ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხსენებულ ხელშეკრულებაში სადავო წილი შეფასებულია 1000 ლარად, რის გამოც სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულებაც სწორედ ამ ღირებულებით უნდა განისაზღვროს. საკასაციო პალატა სასამართლოს აღნიშნულ მსჯელობას ვერ გაიზიარებს და თვლის, რომ სადავო საჩივრის ფასი უნდა დადგინდეს ხსენებულ საკითხზე საქმეში წარმოდგენილი ინფორმაციის სრულად შეფასების შედეგად.

საქმის მასალებში მოწინააღმდეგე მხარე შპს „მ-ის“ დირექტორი რ. ა-ე თავად ადასტურებს სადავო 50%-იანი წილის გაცილებით მეტ ღირებულებას, ვიდრე ეს სადავო ხელშეკრულებაშია ასახული. ამასთან, მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებაში დაფიქსირებულია რ. ა-ის განმარტება, რომ სადავო 50% წილის შპს „მ-ის“ გადაფორმებისას შპს „ს-ს“ სანესდებო კაპიტალი შეადგენდა 574475 ლარს, რაც 2011 წლისათვის გაიზარდა 2 000 000 ლარამდე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის მიხედვითაც, სადავო საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება იმ დროს არსებული ფასები, როდესაც შეტანილ იქნა სარჩელი, ხოლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისას – საჩივრის შეტანის დროისათვის არსებული ფასები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ ხელახლა უნდა შეამოწმოს ნ. ს-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი, რა დროსაც სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა განსაზღვროს შპს „ს-ს“ 50%-იანის წილის საბაზრო ღირებულების საფუძველზე სააპელაციო საჩივრის შეტანის მომენტისათვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა :

ნ. ს-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 იანვრის განჩინება და საქმე ნ. ს-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დავის საგნის ღირებულება

ბანჩინება

№ას-1631-1531-2012

2 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურისა და დამატებით შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით მ. გ-ას სარჩელი მოპასუხე სსიპ გ.რამიშვილის სახელობის №20 საჯარო სკოლის მიმართ ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, იძულებითი განაცდურის ანაზღაურებისა და დამატებით შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. რ-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ნოემბრის განჩინებით მ. გ-ას სააპელაციო საჩივრის ის მოთხოვნები, რომლებიც შეეხებოდა სამუშაოზე აღდგენასა და ბრძა-

ნების ბათილად ცნობას, დარჩა განუხილველად აპელანტის მიერ ხარვეზის შეუვსებლობის გამო. ამავე განჩინებით აპელანტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდა სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 150 ლარი.

დასახელებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. გ-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება.

კერძო საჩივრის საფუძვლები:

შრომის უფლება საქართველოს კონსტიტუციითაა გარანტირებული და იგი წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ სოციალურ უფლებას. დასაქმებულს უფლება აქვს ინფორმირებული იყოს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის შესახებ და ამ საფუძვლის უკანონოდ მიჩნევის შემთხვევაში დაიცვას საკუთარი უფლებები სასამართლო წესით. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები – სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან. შესაბამისად, სარჩელის მოთხოვნებზე; სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება, უნდა გავრცელდეს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი. ყველა ეს მოთხოვნა ექცევა ხსენებული მუხლის იმ დანაწესის რეგულირების ფარგლებში, სადაც საუბარია შრომის ანაზღაურების თაობაზე აღძრულ სხვა ისეთ მოთხოვნებზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან. ამდენად, აპელანტი მ. რ-ა უნდა გათავისუფლებულიყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, მითუმეტეს რომ, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ ის ეკონომიურად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რის გამოც მას გაუჭირდა დამატებითი თანხის გაღება. გარდა ამისა, მსგავს საქმეებთან დაკავშირებით დამკვიდრებულია პრაქტიკა, სამივე ინსტანციის სასამართლო მხარეს ავალდებულებს მხოლოდ ერთ მოთხოვნაზე სახელმწიფო ბაჟის გადახდას. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ ხარვეზის იმგვარად დადგენა, როგორაც ამას მოცემულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, არასწორია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. გ-ას კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ნოემბრის განჩინება და მ. გ-ას სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ:

მ. გ-ას სარჩელის მოთხოვნებს წარმოადგენდა: 1. სსიპ გ. რ-ის სახელობის №20 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2011 წლის 20 სექტემბრის №147 ბრძანების ბათილად ცნობა; 2. სამუშაოზე აღდგენა; 3. იძულებითი განაცდურისა და დამატებით შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება;

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით მ. გ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით მ. გ-ას სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შრომითი ხელშეკრულების მოშლის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის ნაწილში, თითოეულ მოთხოვნაზე აპელანტს 5 დღის ვადაში უნდა გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი 150 ლარი, მთლიანობაში 300 ლარი;

2012 წლის 29 ოქტომბერს მ. გ-ამ ხარვეზის შევსების მიზნით განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, რომელსაც თან დაურთო 150 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ბრძანების ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის შესახებ მოთხოვნებზე 300 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის დაკისრება მისი ვარაუდით გამოწვეულია შეცდომით, რადგან სამუშაოზე აღდგენა წარმოადგენს ბრძანების ბათილობის თანმდევ შედეგს, ე.ი. დასახელებულ მოთხოვნებს შორის არსებობს უშუალო მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, რასაც ადასტურებს დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკაც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ნოემბრის განჩინებით მ. გ-ას სააპელაციო საჩივრის ის მოთხოვნები, რომლებიც შეეხებოდა სამუშაოზე აღდგენასა და ბრძანების ბათილად ცნობას, დარჩა განუხილველად აპელანტის მიერ ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მისი გათავისუფლების საფუძვლის არსებობის თაობაზე და განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდა კანონითაა გათვალისწინებული. კანონი განსაზღვრავს ასევე იმ გამონაკლის შემთხვევებს, რა დროსაც შესაბამისი მხარე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან. ბრძანების ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნები ასეთ შემთხვევათა რიგს არ განეკუთვნება. ამასთან, ისინი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის რეგულირების სფეროში ვერ მოექცევა, რადგან ნორმის შინაარსიდან გამომდინარე სრულიად ნათელია, რომ მისი მეშვეობით კანონმდებელი ადგენს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მოსარჩელეთა გათავისუფლების შესაძლებლობას, როდესაც ისინი სადავოდ ხდიან

შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, ხსენებული მუხლის მიხედვით, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები – სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დასაბუთებულად მიიჩნევს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს აპელანტისათვის არ უნდა დაევალებინა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 300 ლარის ოდენობით, ვინაიდან სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნა გამომდინარეობდა სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნიდან და, შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟი ამ მოთხოვნებისათვის ცალ-ცალკე არ უნდა განესაზღვრა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნის უფლება უკავშირდება სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების მართლზომიერების საკითხის დადგენას და მთლიანად გამომდინარეობს მისგან, შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟი არ უნდა განისაზღვროს ცალ-ცალკე, თითოეული მოთხოვნის მიხედვით, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ განახორციელა. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა არ ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსს, რომლის მიხედვით, თუ ერთ სარჩელში რამდენიმე სხვადასხვა მოთხოვნაა ჩამოყალიბებული, ეს მოთხოვნები უნდა შეჯამდეს და ამის შემდეგ განისაზღვროს სადავო საგნის ღირებულება. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული „სხვადასხვა მოთხოვნის ქვეშ“ არ იგულისხმება მსგავსი შინაარსის მატარებელი მოთხოვნები, როგორცაა წარმოადგენს სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნები. აღნიშნული მსჯელობა შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-1265-1194-2012; ამავე სასამართლოს 2012 წლის 21 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-1127-1058-2012).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული საფუძვლით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობა არ არსებობდა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. მ. გ-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ნოემბრის განჩინება და საქმე მ. გ-ას სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძველი

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-963-904-2012

23 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თავდაპირველ სარჩელში - ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება, შეგებებულ სარჩელში – თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ა. კ-მ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ს-ის“ მიმართ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2011 წლის 8 ივლისის №181 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შპს „ს-ის“ 2011 წლის 7 ნოემბრის ბრძანების ბათილად ცნობისა და 2011 წლის 8 ივლისის №181 ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მოთხოვნით.

მოპასუხე შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს ავანსად გადახდილი 130000 ლარისა და ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს – 43520 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „ა. კ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შპს „ს-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „ა. კ-ს“ შპს „ს-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 173520 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ა. კ-მ“.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივნისის განჩინებით შპს „ა. კ-ის“ წარმომადგენელ ი. კ-ის სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შევიდა ხარვეზით, კერძოდ, აპელანტის მიერ არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. აღნიშნული ხარვეზის შესავსებად აპელანტს, 2012 წლის 23 აპრილის განჩინებით განესაზღვრა ვადა, განჩინების ასლის ჩაბარებთან 5 დღით და განემარტა, რომ, თუ დანიშნულ ვადაში ხარვეზს არ შეავსებდა, სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი. 2012 წლის 3 მაისს, აპელანტის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და იმ მიზეზით, რომ დადგენილ ვადაში ვერ ხერხდებოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა, ხარვეზის შევსებისთვის დადგენილი ვადის 14 დღით გაგრძელება მოითხოვა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 11 მაისის განჩინებით აპელანტის შუამდგომლობა ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ დაკმაყოფილდა, აპელანტს 2012 წლის 23 აპრილის განჩინებით გაუგრძელდა ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადა 14 დღით, ამასთან, განემარტა, რომ, თუ დანიშნულ ვადაში ხარვეზს არ შეავსებდა, სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად. 2012 წლის 4 ივნისს, აპელანტის წარმომადგენელმა კვლავ მიმართა განცხადებით სააპელაციო სასამართლოს და ხარვეზის შევსებისთვის დადგენილი ვადის 7 დღით გაგრძელება მოითხოვა.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 368-ე მუხლით, 374-ე მუხლით და იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 11 მაისის განჩინებით აპელანტს ერთხელ უკვე გაუგრძელდა ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადა, ამასთან, საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე საპატიო მიზეზი ხარვეზის შეუსრულებლობისა წარდგენილი არ ყოფილა, ამასთან, უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული აპელანტის შუამდგომლობა განმეორებით ხარვეზის შევსებისათვის ვადის გაგრძელების თაობაზე, ვინაიდან, სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით ხარვეზი კვლავ არ გამოსწორებულა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს „ა. კ-ის“ წარმომადგენელმა ი. კ-მ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი დასაბუთებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, აპელანტმა სასამართლოს წარუდგინა უტყუარი მტკიცებულებები საზოგადოების მიმემ ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რაც არასწორად არ იქნა გაზიარებული სასამართლოს მიერ, სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა ეჭვქვეშ დააყენა და არ გაითვალისწინა მხარის რეალური მდგომარეობა.

მოგვიანებით კერძო საჩივრის ავტორმა კვლავ მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და წარადგინა სააპელაციო საჩივრის გამო გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 7000 ლარის ჩარიცხვის ქვითარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ა. კ-ის“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საქმის მასალებით დადასტურებულია შემდეგი:

შპს „ა. კ-ს“ სააპელაციო საჩივრის წარდგენის დროისათვის არ ჰქონდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, არამედ შუამდგომლობდა საზოგადოების ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე და შუამდგომლობის საფუძვლიანობის დადასტურების მიზნით მხარემ სააპელაციო საჩივარს დაურთო შემდეგი მტკიცებულებები: სს „თ. ბ-ს“ მიერ გაცემული ... ანგარიშიდან ამონაწერის ასლი 2011 წლის 21 თებერვლიდან 2012 წლის 27 მარტის მდგომარეობით; სს „ბ. რ-ს“ მიერ ... ანგარიშიდან გაცემული 2008 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 25 მარტის მდგომარეობით გაცემული ამონაწერის ასლი, საქმეში ასევე ასლის სახით წარმოდგენილია მტკიცებულება, რომელიც სს „თ. ბ-ის“ ბეჭდითაა დამოწმებული, თუმცა არ აქვს თავფურცელი. სააპელაციო პალატამ 2012 წლის 23 აპრილის განჩინებით

ნებით აღნიშნული მტკიცებულებები შუამდგომლობის დაკმაყოფილებისათვის საკმარის საფუძვლად არ მიიჩნია და მხარეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისათვის საპროცესო ვადა განუსაზღვრა 5 დღით. სადავო არაა ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 11 მაისის განჩინებით, აპელანტის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ საპროცესო ვადა მხარეს გაუგრძელა 14 დღით. აღნიშნული განჩინების პასუხად მხარემ კვლავ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და საპროცესო ვადის 7 დღით გაგრძელება მოითხოვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ მხარეს დადგენილ ვადაში დაკისრებული საპროცესო მოქმედება არ განუხორციელებია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლით დადგენილი ის სავალდებულო პირობები, რომელთაც განსახილველად დაშვებისათვის სააპელაციო საჩივარი ზოგადად უნდა უპასუხებდეს, ამავე ნორმის მე-5 ნაწილით კი განსაზღვრულია, რომ თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

უდავოდ დადგენილია რა, რომ შპს „ა. კ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ იყო წარდგენილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად (არ ერთვოდა სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი), ამასთან მხარეს გაუგრძელდა კიდევაც ვადა დადგენილი ხარვეზის გამოსასწორებლად, ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ ხარვეზის გამოსწორებლობის მოტივით სავსებით მართებულად დატოვა განუხილველად სააპელაციო საჩივარი.

რაც შეეხება 2012 წლის 11 მაისის განჩინების პასუხად აპელანტის მიერ წარდგენილ შუამდგომლობას საპროცესო ვადის კვლავ გაგრძელების თაობაზე, ამ საკითხთან მიმართებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს შემდეგს: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არის დადგენილი, სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, აღნიშნულმა ნორმამ სააპელაციო წარმოების ეტაპზე გარკვეული ცვლილება განიცადა და განისაზღვრა, რომ სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხოლოდ მხარეთა თხოვნით (სსკ 368.7), თუმცა ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსით უდავოდ დასტურდება, რომ დანიშნული საპროცესო ვადის გაგრძელება იმპერატიული დანაწესი არ არის და ის ყოველთვის სასამართლოს შეხედულებაზეა დამოკიდებული, სასამართლო კი საკითხს, გააგრძელოს თუ არა დადგენილი საპროცესო ვადა, წყვეტს მხარის შუამდგომლობის საფუძვლიანობისა და პროცესუალური ეკონომიის პრინციპის გათვალისწინებით.

იმ უდავო გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარეს ერთხელ ხარვეზის გამოსწორებისათვის ვადა განესაზღვრა 5 დღით, შემდგომ ეს ვადა გაგრძელდა 14 დღით და მხარე კვლავ საპროცესო ვადის გაგრძელებას მოითხოვდა 7 დღით, ამასთან, შუამდგომლობა სათანადოდ არ იყო დასაბუთებული, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღარ არსებობდა ზემოაღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილების წინაპირობები.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კერძო საჩივრის არგუმენტს, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლი, ამასთან იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ არ არსებობდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძველი. პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს. კანონის მითითებული წორმა მოიცავს იმ ელემენტებს, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს სასამართლოს ხელმისაწვდომობასა და მართლმსაჯულების სამართლიან განხორციელებას. პირის უფლების შეზღუდვა ამ უფლებასა და სახელმწიფო ინტერესებს შორის დასაშვებია სამართლიანი ბალანსის შემთხვევაში. ამგვარი ბალანსი საქართველოს კანონმდებლობით დაცულია, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, დაშვებულია რა კონკრეტული შეზღუდვა სამოქალაქო სამართლებრივი უფლებების სასამართლო წესით დაცვისას (სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება), ასევე გათვალისწინებულია სამართლებრივი მექანიზმები ყველა კატეგორიის პირებისათვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლების უზრუნველსაყოფად. აღნიშნულს ადასტურებს სასამართლოს უფლება, ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯებისაგან გაათავისუფლოს მოქალაქე (სსკ 47-ე მუხლი), აგრეთვე, მხარეს შეუშინოს ასეთი ხარჯები ან გადაუვადოს მისი გადახდა (სსკ 48-ე მუხლი). სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება არ არის სრული და შეიძლება ექვემდებარებოდეს შეზღუდვას, ვინაიდან ხელმისაწვდომობის უფლება თავისი მრავალფეროვანი ბუნებით მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებას, ამავდროულად, სასამართლო დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამ უფლების არსი არ იქნება გაუარესებული და რომ გამოსაყენებელი ფარგლები არ ზღუდავს და არ ამცირებს მხარის ხელმისაწვდომობის უფლებას. ამასთან, კანონმდებლობით დადგენილი და გათვალისწინებული გამონაკლისები (სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, მისი ოდენობის შემცირება ან გადახდის გადავადება) დასაშვებია მხოლოდ ქონებრივი მდგომარეობის უტყუარად დადასტურების შემთხვევაში, კერძოდ, შუამდგომლობის ავტორი მხარე ვალდებულია, სასამართლოს წინაშე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი დადგენილი წე-

სით, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტუროს მისი მძიმე ქონებრივი მდგომარეობა, რათა სასამართლოს გაუჩინდეს მყარი შინაგანი რწმენა, რომ მხარეს არ შეუძლია გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი და სწორედ კანონით გათვალისწინებული შეღავათების გამოყენებლობა გამოიწვევს სადავოდ მიჩნეული უფლების სასამართლოს წესით დაცვის რეალიზების შეზღუდვას მოდავე მხარის მიმართ.

განსახილველ შემთხვევაში, მართალია, წარმოდგენილია მტკიცებულებები (საბანკო ამონაწერები), თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს მტკიცებულებები არ არის წარმოდგენილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლით გათვალისწინებული სახით, ამასთანავე, მხოლოდ ამ მტკიცებულებების საფუძველზე არ ირკვევა საზოგადოების რეალური ქონებრივი მდგომარეობა, არამედ დასტურდება მხოლოდ 2 საბანკო დანესებულებაში გახსნილ ანგარიშზე საზოგადოების მატერიალური სახსრების განკარგვა.

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტებში შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მოქმედებების შესრულებისათვის და სათანადო საბუთების გაცემისათვის. ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით კი განსაზღვრულია სახელმწიფო ბაჟის გადამხდელი სუბიექტები და გათვალისწინებულია, რომ სახელმწიფო ბაჟის გადამხდელად ითვლებიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა ინტერესებიდან გამომდინარეც სპეციალურად რწმუნებული დანესებულებები ასრულებენ იურიდიულ მოქმედებებს და გასცემენ შესაბამის საბუთებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლის 1-ლი წინადადებით განსაზღვრულია, რომ სასამართლო ხარჯები (სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები), კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულება მოითხოვა.

ის გარემოება, რომ კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს მითითებული წესიდან გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობას, არ არის აბსოლუტური და წარმოადგენს უკიდურეს შემთხვევას, როდესაც სასამართლო მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივი შესწავლის შედეგად მივა დასკვნამდე, რომ სავალდებულოა, გამოიყენოს საგამონაკლისო ნორმა მხარის მიმართ.

თავის მხრივ, სასამართლო საქმეს იხილავს მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით და ამა თუ იმ მხარის მიმართ რაიმე შეღავათის გავრცელებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მეორე მხარის ინტერესები. სასამართლომ მეორე მხარის ინტერესებისა და განსახილველი შუამდგომლობის საფუძველიანობის ბალანსის საფუძველზე უნდა გადაწყვიტოს მითითებული საკითხი, რათა დაუსაბუთებლად არ შეილახოს მეორე მხარის უფლებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის არსებითად სწორი განმარტებით უთხრა უარი შპს „ა. კ-ის“ სააპელაციო საჩივრის დაშვებაზე, შესაბამისად, წარმოდგენილი კერძო საჩივარი უსაფუძვლოა, დაუსაბუთებელი და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების წინაპირობა.

რაც შეეხება საქმეში წარმოდგენილ, კერძო საჩივრის ავტორის მიერ საპროცესო ვადის დარღვევით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრებს, საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად კი, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. იმ უდავო გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარეს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ შეუსრულებია დაკისრებული ვალდებულება, ხარვეზის გამოსწორებად და სასამართლოს მსჯელობის საგნად ვედარ გახდება 2012 წლის 2 ივლისით დათარიღებული მტკიცებულებები, რომლითაც მხარემ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს მთლიანად დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კერძო საჩივრის ავტორმა საქმის ზემდგომ სასამართლოში განხილვის ეტაპზე, საპროცესო ვადის დარღვევით წარმოადგინა სახელმწიფო ბაჟის – 7000 ლარის ჩარიცხვის ქვითრის დედანი, ამასთან, არ არსებობს სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაშვების წინაპირობა, საკასაციო პალატა, ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, მიზანშეწონილად თვლის დაუბრუნოს შპს „ა. კ-ს“ მის მიერ 2012 წლის 2 ივლისს №1 საგადახდო დავალებით გადახდილი 7000 ლარი.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს ასევე კერძო საჩივრის გამო შპს „ა. კ-ის“ მიერ გადახდილ სახელმწიფო ბაჟის ოდენობაზე. საქმეში წარმოდგენილი 2012 წლის 2 ივლისით დათარიღებული №2 საგადახდო დავალების თანახმად, მხარემ ნაცვლად დაკისრებული ოდენობისა, საკუთარი ინიციატივით ზედმეტად გადაიხადა 100 ლარი (წარმოდგენილია 150 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი), სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მოქმედი რედაქციის თანახმად კი, კერძო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განისაზღვრება 50 ლარით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირებს სასამართლო წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობას, სასამართლო იყენებს საპროცესო სამართლის იმ ნორმას, რომელიც ანესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი ნორმაც არ არსებობს, სასამართლო ემყარება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია). იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კანონმდებლობა მსგავს შემთხვევას არ არეგულირებს, საკასაციო პალატა თვლის, რომ ზედმეტად

გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების სამართლებრივ საფუძვლად უნდა მიუთითოს ამავე კოდექსის 42-ე მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია შემდეგი: თუ სარჩელის აღძვრის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, სახელმწიფო ბაჟის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს მოსამართლე, შემდეგ კი ხდება დამატებით გადახდევინება ან ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება საქმის გადაწყვეტისას დადგენილი სარჩელის ფასის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „ა. კ-ის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. შპს „ა. კ-ს“ (ს/№...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდეს (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300183150) მის მიერ 2012 წლის 2 ივლისის №1 საგადახდო დავალებით გადახდილი 7000 ლარი.
4. შპს „ა. კ-ს“ (ს/№...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდეს (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300183150) მის მიერ კერძო საჩივრის გამო 2012 წლის 2 ივლისის №2 საგადახდო დავალებით გადახდილი 150 ლარიდან ზედმეტად გადახდილი 100 ლარი, ხოლო დარჩენილი ნაწილი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.
5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო ხარჯების განაწილება სარჩელზე უარის თქმისას

ბანჩინება

№ას-1410-1425-2011 28 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: აუცილებელი გზის მოწყობა, კომპენსაციის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „... კორპორაცია“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ჯ. კ-ის, გ. ძ-სა და ნ. ს-ის მიმართ მცხეთის რაიონის სოფელ ნ-ში მდებარე ჯ. კ-ის საკუთრებაში არსებული 817 კვ.მ №72.03.29.085 მიწის ნაკვეთის, ამავე მისამართზე მდებარე გ. ძ-ს საკუთრებაში არსებული №72.03.29.355 1193 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მცხეთის რაიონის სოფელ ნ-ში მდებარე ნ. ს-ის საკუთრებაში არსებულ №72.02.30.071 151 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და №72.02.30.122 1214 კვ.მ მიწის ნაკვეთის გამოყენებაზე მოსარჩელისათვის აუცილებელი გზის მოწყობის მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს პარლამენტის 2009 წლის 6 თებერვლის №975 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სამთავრობო პროგრამით „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“ გათვალისწინებული ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებისა და ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის 2010 წლის 25 თებერვალს გაფორმებული ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახმარების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად, კორპორაცია დაჩქარებულ რეჟიმში ახორციელებს მაგისტრალური გაზსადენის საგურამო-ქუთაისის 100.7 კილომეტრის სიგრძის საგურამო ხაშურის მონაკვეთის რეკონსტრუქციის პროექტს. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სარეკონსტრუქციო გაზსადენზე ვრცელდება უსაფრთხოების ზომები. გაზსადენი, როგორც ხაზობრივი ნაგებობა, რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. პროექტის განსახორციელებლად მშენებლობის ნებართვის მისაღებად აუცილებელია მოპოვებულ იქნას და საჯარო რეესტრში დარეგისტრირდეს კორპორაციის უფლებები მილსადენის დერეფანში მოყოლილ ყველა მიწის ნაკვეთზე. მოპასუხეების მიწის ნაკვეთები მოყოლილია „მაგისტრალური მილსადენის დაცვის ნესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 27 დეკემბრის №963 ბრძანებულებით დადგენილ რეგულირების ზონაში და კორპორაციის მფლობელობასა ან საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს შორის. მოპასუხეები უარს აცხადებენ კორპორაციის შეთავაზებაზე სერვიტუტის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ და არ ეთანხმებიან კორპორაციის მიერ შეთავაზებულ კომპენსაციის პირობებს.

ჯ. კ-მა შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს შპს „... კორპორაციის“ მიმართ და მოითხოვა მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ მოსარჩელისათვის (შეგებებულ სარჩელში მოპასუხისათვის) მიწის საბაზრო ღირებულების – 17000 ლარის გადახდის დაკისრება შემდეგი საფუძვლებით: აუცილებელი გზის უფლების პირობების მიხედვით ჯ. კ-ს ფაქტობრივად უუქმდება მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლე-

ბა და ეზღუდება მისი თავისუფლად გამოყენების უფლება. წარმოდგენილი ნახაზით გაზსადენი მიწის ნაკვეთის შუაში მთელ სიგრძეზე გადის. დარჩენილი ნაწილი გამოუყენებელია და მთელი მიწის ნაკვეთი კარგავს ფუნქციას. აღნიშნული გარემოებების გამო ერთჯერადი გადახდით მოსარჩელემ უნდა აუნაზღაუროს მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების შესაბამისი თანხა.

მოპასუხე გ. ძ-ემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ აუცილებელ გზაზე დათანხმდება მოსარჩელეს, თუ მას გადაუხდის მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებას ან საკუთრებაში გადასცემს მიწის ნაკვეთს მცხეთის რაიონის სოფელ ნ-ში ან მცხეთაში, ნარეკვავის ტერიტორიაზე.

მოპასუხე ნ. ს-მა წარმოდგენილი სარჩელი ცნო ნაწილობრივ. მოპასუხის მითითებით, მან მიწის ნაკვეთი შეიძინა 80200 ლარად. კორპორაციის მიერ შეთავაზებულ კომპენსაციის ოდენობაზე განაცხადა უარი, რადგან გაზსადენის რეკონსტრუქციით მიადგება ბევრად მეტი ზიანი. სადავო მიწის ნაკვეთის გამოყენება შეუძლებელი გახდება დანიშნულებისამებრ და სერვიტუტის ხელშეკრულებით შეთავაზებული კომპენსაციის ოდენობა მიზერულია.

სარჩელი ასევე არ ცნო ჯ. კ-მა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით შპს „... კორპორაციის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „... კორპორაციას“ ნება დაერთო მცხეთის რაიონის სოფელ ნ-ში მდებარე ჯ. კ-ის საკუთრებაში არსებული №72.03.29.085 817 კვ.მ მიწის ნაკვეთის, მცხეთის რაიონის სოფელ ნ-ში მდებარე გ. ძ-ს საკუთრებაში არსებული №72.03.29.355 1193 კვ.მ მიწის ნაკვეთის, მცხეთის რაიონის სოფელ ნ-ში ნ. ს-ის საკუთრებაში არსებული №72.02.30.071 151 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და 1214 კვ.მ №72.02.30.122 მიწის ნაკვეთის გამოყენებაზე აუცილებელი გზის მოწყობის (...) მიზნით, ჯ. კ-ის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „... კორპორაციას“ დაეკისრა ჯ. კ-ისათვის 2220 ლარის გადახდა. ამავე სასამართლოს 2011 წლის 24 იანვრის განჩინებით კი, მოსარჩელე შპს „... კორპორაციის“ შუამდგომლობის საფუძველზე დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცა გადაწყვეტილება აუცილებელი გზის დადგენის ნაწილში, შესაბამისად, ამ ნაწილში გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „... კორპორაციამ“. ამავე გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ჯ. კ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 5 ივლისის განჩინებით შპს „... კორპორაციის“ განცხადება დაკმაყოფილდა, შეწყდა საქმის წარმოება შპს „... კორპორაციის“ სარჩელზე ჯ. კ-ის მიმართ აუცილებელი გზის მოწყობის თაობაზე და ჯ. კ-ის შეგებებულ სარჩელზე შპს „... კორპორაციისათვის“ კომპენსაციის – 17 000 ლარის დაკისრების თაობაზე, გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც დაკმაყოფილდა შპს „... კორპორაციის“ სარჩელი ჯ. კ-ის მიმართ და მას ნება დაერთო მცხეთის რაიონის სოფელ ნ-ში მდებარე ჯ. კ-ის საკუთრებაში არსებული 817 კვ.მ მიწის ნაკვეთის №72.03.29.085 გამოყენებაზე აუცილებელი გზის მოწყობის (...) მიზნით, გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება ჯ. კ-ს შეგებებული სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების, რომლითაც შპს „... კორპორაციას“ ჯ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 2220 ლარის გადახდა და ჯ. კ-ის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილებში, გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება ჯ. კ-ისა და შპს „... კორპორაციის“ მიმართ სახელმწიფო ბაჟების დაკისრების ნაწილებში, აპელანტ შპს „... კორპორაციას“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 150 ლარი, აპელანტ შპს „... კორპორაციას“ ჯ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი 510 ლარი, ჯ. კ-ს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდა სააპელაციო ინსტანციაში მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 592 ლარი, განემარტათ მხარეებს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება შემდეგი გარემოებების გამო:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, მე-3 მუხლებით, 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით და განმარტა, რომ აპელანტმა შპს „... კორპორაციამ“ განცხადებით მომართა რა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მიუთითა, რომ უარს ამბობდა სარჩელზე, ამ საფუძველით მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა. ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ არსებობდა განცხადების დაკმაყოფილების წინაპირობა. ამასთან, ვინაიდან სარჩელზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგი ამ სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებაა, შესაბამისად, უნდა გაუქმდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება შპს „... კორპორაციის“ სარჩელის ჯ. კ-ის მიმართ დაკმაყოფილებული მოთხოვნის ნაწილში. სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 188-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, 189-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და აღნიშნა, რომ მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ შეგებებული სარჩელის განსახილველად მიღება მეტყველებდა იმაზე, რომ ჯ. კ-ის მიერ შეგებებული სარჩელი აღძრულ იქნა შემოადინებული მუხლის მოთხოვნების დაცვით. იმის გათვალისწინებით, რომ ძირითადად მოსარჩელემ უარი განაცხადა სარჩელის იმ ნაწილზე, რომლიდანაც გამოდინარეობდა ჯ. კ-ის შეგებებული სარჩელის მოთხოვნა, სასამართლომ ჩათვალა, რომ აღნიშნული გარემოება გამორიცხავს ჯ. კ-ის შეგებებული სარჩელით დაყენებული მოთხოვნის არსებობას. ეს მსჯელობა გამომდინარეობს იქიდან, რომ თუ შპს „... კორპორაცია“ არ აღძრავდა სარჩელს აუცილებელი გზის მოწყობის შესახებ, თავად ჯ. კ-ი არ დაინებდა სასარჩელო დავას ამ აუცილებელი გზისათვის კომპენსაციის მიღების თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვალა, რომ უნდა გაუქმდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ასევე იმ ნაწილში, რომლითაც ჯ. კ-ის შეგებებული სარჩელი

დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და შპს „... კორპორაციას“ მის სასარგებლოდ დაეკისრა 2220 ლარის გადახდა (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტები), აგრეთვე, იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ჯ. კ-ის შეგებებული სარჩელი 14 780 ლარის დაკისრების თაობაზე.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და შპს „... კორპორაციას“ დაუბრუნა მის მიერ სააპელაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 150 ლარი, ამავე საფუძვლით დაუბრუნა ჯ. კ-ს სააპელაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 592 ლარის ოდენობით. სასამართლომ მიუთითა ჯ. კ-ის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში შეგებებულ სარჩელზე გადახდილ ბაჟის განაწილების საკითხზე და განმარტა შემდეგი:

ჯ. კ-ის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში შეგებებულ სარჩელზე გადახდილ იქნა სახელმწიფო ბაჟი 510 ლარი. საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აპელაციის ეტაპზე სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში შეგებებული სარჩელისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის საკითხის გადაწყვეტის წესს, პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილზე, 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილზე და ჩათვალა, რომ ზემოაღნიშნული ნორმა შეგებებული სარჩელის ავტორ ჯ. კ-ის მიმართ ისევე უნდა გავრცელდეს, როგორც ძირითადი მოსარჩელის მიმართ, იმის გათვალისწინებით, რომ ჯ. კ-ის მიერ შეგებებული სარჩელის აღძვრა გამოწვეულ იქნა შპს „... კორპორაციის“ მიერ აღძრული სარჩელის გამო (შეგებებული სარჩელი თავისი ბუნებით აღიძვრება ძირითადი სარჩელის გამო, ანუ მისი სასამართლოში წარდგენა დამოკიდებულია ძირითადი სარჩელის არსებობაზე), შესაბამისად, ჯ. კ-ის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში შეგებებული სარჩელისთვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 510 ლარი უნდა დაეკისროს ძირითადი სარჩელის ავტორ (მოპასუხეს შეგებებულ სარჩელზე) შპს „... კორპორაციას“ ჯ.კ-ის სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება სასამართლოს ხარჯების განაწილების ნაწილში კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს „... კორპორაციამ“, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტის (ჯ. კ-ის სასარგებლოდ პირველ ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 510 ლარის დაკისრების) გაუქმება და მოსარჩელის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 210 ლარის შპს „... კორპორაციისათვის“ დაბრუნება შემდეგი დასაბუთებით:

გასაჩივრებული განჩინებით სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილით და 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რადგანაც 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილი არეგულირებს შემთხვევას, როდესაც მოსარჩელე შეგებებულ სარჩელზე მოპასუხე არაა და როდესაც თავდაპირველ მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ სარჩელი არ აღუძრავს. განსახილველი შემთხვევის ამ წესით რეგულირება არ გამომდინარეობს ნორმის სამართლებრივი ბუნებიდან და ეწინააღმდეგება საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ პრეცედენტს. თავის მხრივ, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში იყო უკანონო, რაც მისი სააპელაციო წესით გასაჩივრების საფუძველი გახდა. შპს „... კორპორაციის“ განმარტებით, ვინაიდან მან სასამართლოს მთავარ სხდომამდე თქვა უარი სარჩელზე, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მხოლოდ 49-ე მუხლის მე-2 ნაწილით და არა ამავე კოდექსის 54-ე მუხლით, შესაბამისად, სასამართლოს მოსარჩელისათვის უნდა დაებრუნებინა შპს „... კორპორაციის“ მიერ როგორც სააპელაციო საჩივარზე, ისე სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „... კორპორაციის“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს კერძო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

განსახილველი საქმის მასალებით დასტურდება, რომ მცხეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით შპს „... კორპორაციის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „... კორპორაციას“ ნება დაერთო მცხეთის რაიონის სოფელ ნ-ში მდებარე ჯ. კ-ის საკუთრებაში არსებული №72.03.29.085 817 კვ.მ მიწის ნაკვეთით სარგებლობაზე აუცილებელი გზის მოწყობის მიზნით, ამავე გადაწყვეტილებით ჯ. კ-ის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „... კორპორაციას“ დაეკისრა ჯ. კ-ისათვის 2220 ლარის გადახდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „... კორპორაციამ“, ასევე ჯ. კ-მა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

სააპელაციო პალატაში საქმის მთავარ სხდომაზე განხილვამდე შპს „... კორპორაციამ“ უარი თქვა სარჩელზე, რასაც შედეგად მოჰყვა მისი დაკმაყოფილება, სარჩელისა და შეგებებული სარჩელის განუხილველად დატოვება. ამავე განჩინებით მხარეთა შორის განაწილდა სასამართლო ხარჯები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლით დადგენილია სასამართლოს შემაჯამებელი აქტის შინაარსი და ამომწურავადაა განსაზღვრული გადაწყვეტილების გამოტანისას თუ რა საკითხებზე უნდა იმსჯელოს და სამართლებრივად შეაფასოს სასამართლომ. ამავე ნორმის მე-5 ნაწილით დადგენილია, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი სხვა საკითხებთან ერთად, უნდა შეიცავდეს მითითებას სასა-

მართლო ხარჯების განაწილების თაობაზე. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სასამართლომ, მოსარჩელის განცხადების საფუძველზე, მოცემული საქმის წარმოება დაასრულა განჩინებით, მოცემულ საკითხზე მართლმსაჯულების შემაჯამებელი აქტი 2011 წლის 5 ივლისის განჩინებაა და სასამართლომ საპროცესო ხარჯები ამ განჩინებითვე განსაზღვრა. სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილებისას სასამართლომ იხელმძღვანელა შემდეგნაირად:

სააპელაციო წარმოებისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დაუბრუნდათ მხარეებს თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი განაწილდა იმგვარად, რომ მხარეთა მიერ სარჩელსა და შეგებებულ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩა სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო ძირითად მოსარჩელეს შეგებებულ სარჩელის ავტორის სასარგებლოდ დაეკისრა ჯ. კ-ის მიერ გადახდილი 510 ლარის ანაზღაურება.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ სამართლებრივ შეფასებას და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ასევე სწორად განმარტა სამართლის ნორმა.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გარანტირებულია დისპოზიციურობის პრინციპი და კოდექსის მე-3 მუხლით დასაშვებადაა მიჩნეული მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, აღნიშნული მხარეთა ნების დისპოზიციურობაზე მიუთითებს და კანონმდებელი სამოქალაქო საქმის განხილვისას მხარეს აძლევს სრულ შესაძლებლობას, დავა გადაწყდეს მათი შეხედულებისამებრ: მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, მოპასუხემ – ცნოს სარჩელი ან მხარეებმა წარადგინონ მათ მიერ შეთანხმებული მორიგების აქტი. ამავე კოდექსის 49-ე მუხლით რეგულირებულია საკითხი, რომელიც შეეხება მხარეთათვის დისპოზიციურობის პრინციპით მინიჭებული უფლების რეალიზებისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხს.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე შპს „... კორპორაციამ“ სასამართლოს მთავარ სხდომამდე უარი თქვა რა სარჩელზე, სააპელაციო პალატამ მას სავსებით მართებულად დაუბრუნა მხოლოდ სააპელაციო წარმოებისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ისევე, როგორც შეგებებული სარჩელის ავტორ ჯ. კ-ს, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით დადგენილია, რომ, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. დასახელებული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რომ სასამართლოს ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე მისთვის უნდა დაებრუნებინა პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟიც, ვინაიდან დასახელებული ნორმის მე-4 ნაწილი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ აღნიშნული შეღავათი ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში გამოიყენება მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. მითითებული საკანონმდებლო დანაწესის ლოგიკური განმარტებიდან დასტურდება ისიც, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი ბაჟი ასეთ დროს მხარეებისათვის დაბრუნებას არ ექვემდებარება.

რაც შეეხება კერძო საჩივრის არგუმენტს, რომ სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, საკასაციო პალატა აღნიშნულს უსაფუძვლოდ მიიჩნევს და იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ სააპელაციო წესით საქმის განხილვისას, როდესაც მოსარჩელე უარს ამბობს სარჩელზე, საპროცესო კანონმდებლობა არ არეგულირებს შეგებებული სარჩელის ავტორის მიმართ სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების საკითხს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შეგებებული სარჩელი თავისი არსით ძირითადი სარჩელის ყველა ელემენტისაგან შედგება და ამ სარჩელის ავტორი, როგორც პროცესის სუბიექტი, სარგებლობს მოსარჩელის ყველა უფლებითა და მოვალეობით. ისეთ დროს, როდესაც სასამართლოს წარმოებაში ძირითად სარჩელთან ერთად შეგებებული სარჩელია, უმნიშვნელოვანესია სათანადო შეფასება მიეცეს იმ გარემოებას, რომ შეგებებული სარჩელი ორგანულადაა დაკავშირებული თავდაპირველ სარჩელთან და მისი მოთხოვნისა და ზოგადად ამ სარჩელი იურიდიული ინტერესი მიმართულია ძირითადი სარჩელის წინააღმდეგ, ისე, რომ ძირითადი სარჩელის არსებით განხილვაზეა დამოკიდებული შეგებებული სარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობის გამორკვევაც, ერთგვარად, შეიძლება ითქვას, რომ შეგებებული სარჩელის საფუძველსა და საგანს განაპირობებს ძირითადი სარჩელის მოთხოვნის არსებობა. საკასაციო პალატა სავსებით ეთანხმება და ამას არც მხარეები ხდიან სადავოდ, რომ შპს „... კორპორაციის“ მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო განუხილველად სწორად იქნა დატოვებული ჯ. კ-ის შეგებებული სარჩელი. იმის გათვალისწინებით, რომ ამ სარჩელის აღძვრა განპირობებული იყო თავდაპირველი სარჩელის არსებობით (სხვა შემთხვევაში მოდავე პირი ჯ. კ-ს არ ეყოლებოდა), სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ანალოგიის წესით, მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელ ნორმაზე დაყრდნობით მოსარჩელისათვის ჯ. კ-ის სასარგებლოდ მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, მის მიერ გაწეულ ხარჯებს მოპასუხე არ ანაზღაურებს, მაგრამ თუ მოსარჩელემ მხარი არ დაუჭირა თავის მოთხოვნას იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი სარჩელის აღ-

ძვრის შემდეგ, მაშინ მოსარჩელის თხოვნით სასამართლო მოპასუხეს დააკისრებს მოსარჩელის მიერ განუხლები ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების გამო განუხლები ყველა ხარჯის ანაზღაურებას.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს, რომ შეგებებული სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება, თავის მხრივ, უკანონოდ მოხდა, რაც შპს „... კორპორაციის“ მიერ გადაწყვეტილების ამ ნაწილის სააპელაციო წესით გასაჩივრების საფუძველი გახდა და აღნიშნული არგუმენტის საწინააღმდეგოდ განმარტავს შემდეგს:

განსახილველი კერძო საჩივრის საგანი მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო მას და შეგებებული სარჩელის ავტორს შორის სასამართლო ხარჯების განაწილების სისწორეა. იმ გარემოებაზე მითითება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად დააკმაყოფილა ჯ. კ-ის შეგებებული სარჩელი, რაც შემდგომ ამ ნაწილში სააპელაციო წესით გადაწყვეტილების გასაჩივრების საფუძველი გახდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 კარით გათვალისწინებული კერძო საჩივრის არგუმენტი ვერ გახდება, ვინაიდან საპროცესო კანონმდებლობა ამ საკითხის შემდგომი წესით (სააპელაციო, საკასაციო საჩივარი) არსებითად განსილვას ითვალისწინებს და არა კერძო საჩივრის შეტანის გზით.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ უარი თქვა რა სარჩელზე, მას პირველი ინსტანციის სასამართლოს გაუქმებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე მითითება ამ ეტაპზე აღარ შეუძლია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ შპს „... კორპორაციის“ კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი წინაპირობები, ხოლო გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა:

1. შპს „... კორპორაციის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 5 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კერძო საჩივრის ავტორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სახელმწიფო ბაჟის დაბრუნება

განჩინება

№ას-113-111-2011

17 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: სახელმწიფო ბაჟის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 29 დეკემბერს ნ. თ-ქმმ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 30 ნოემბრის განჩინებით ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 ივლისის განჩინება, რომლითაც განუხილველად იქნა დატოვებული მისი განცხადება სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე. განმცხადებლის განმარტებით, დ. დ-ის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის აღძვრიდან – 2007 წლიდან მოყოლებული სხვადასხვა ინსტანციების სასამართლოებში მან გადაიხადა სახელმწიფო ბაჟები და ვინაიდან არც პირველი ინსტანციის სასამართლომ და არც სააპელაციო სასამართლომ არ განიხილა არსებითად მისი განცხადებები და შუამდგომლობები, განმცხადებელმა მოითხოვა გადახდილი ბაჟების სრულად დაბრუნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 9 იანვრის განჩინებით ნ. თ-ქმს უარი ეთქვა განცხადების მიღებაზე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, შესაბამისი ინსტანციის სასამართლო მსჯელობს მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული და გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში და, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, ნ. თ-ქმს კერძო საჩივრის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟი არ გადაუხდია (სახელმწიფო ბაჟის სხვადასხვა დროს გადახდილი აქვს პირველი ინსტანციის სასამართლოში), შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186.1 მუხლის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებიდან გამომდინარე, ნ. თ-ქმს განცხადება სააპელაციო სასამართლოს განსჯადი არ იყო და იგი მიღებას არ ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. თ-ქმმ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. თ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 9 იანვრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 ივლისის განჩინებით ნ. თ-ძის განცხადება სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე დარჩა განუხილველად, რომელზეც კერძო საჩივარი წარადგინდა ნ. თ-ძემ.

საქმის მასალებით ასევე ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით, ნ. თ-ძე, როგორც სოციალურად დაუცველი პირი, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის „მ1“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გათავისუფლდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან და მისი კერძო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ნოემბრის განჩინებით ნ. თ-ძის კერძო საჩივარი, სარჩელის დასაშვებად ცნობისა და საქმის განხილვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქმის მასალებით თანახმად, ნ. თ-ძეს პირველი ინსტანციის სასამართლოში საჩივრისათვის სხვადასხვა დროს, კერძოდ, 2010 წლის 13 აპრილს გადახდილი აქვს 50 ლარი, 2007 წლის 13 ივნისს გადახდილი აქვს 240 ლარი და ასევე 50 ლარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირებს სასამართლო წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობას, სასამართლო იყენებს საპროცესო სამართლის იმ ნორმას, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი ნორმაც არ არსებობს, სასამართლო ემყარება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186.1 მუხლის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების თანახმად, მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს, თუ სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლო უწყებას ან არ არის კონკრეტული სასამართლოს განსჯადი.

ამავე კოდექსის 53.4 მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო ინსტანცია დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას მასზე, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, შესაბამისი ინსტანციის სასამართლო მსჯელობს მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული და გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში და, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, ნ. თ-ძეს კერძო საჩივრის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟი ვერ გადაუხდია, ზემოაღნიშნული მუხლების შესაბამისად, მისი განცხადება, როგორც სააპელაციო სასამართლოს არაგანსჯადი, მიღებული ვერ იქნებოდა.

ამასთან, იმ დადგენილი გარემოების გათვალისწინებით, რომ კერძო საჩივრის ავტორს სახელმწიფო ბაჟი სხვადასხვა დროს გადახდილი აქვს პირველი ინსტანციის სასამართლოში, საკასაციო სასამართლო მხარეს განუმარტავს, რომ სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების შესახებ განცხადებით მას შეუძლია მიმართოს განსჯად სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი და იგი უცვლელად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. თ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 9 იანვრის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა

განჩინება

№ას-669-630-2012

28 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

სს „თ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ი-გ-ს“ მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი, ასევე მოხმარებული ელექტროენერჯის გადაუხდელობით წარმოშობილი დავალიანების გადახდევინების მოთხოვნით შემდეგი დასაბუთებით: შპს „ი-გ“ არის მოსარჩელის აბონენტი და გააჩნია სააბონენტო ნომერი მხარეებს შორის 2010 წლის 30 ივლისს გაფორმდა დავალიანების გადახდის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მოპასუხე აღიარებდა სააბონენტო ნომერზე არსებულ დავალიანებას და მზადყოფნას გამოთქვამდა ეს დავალიანება 12 თვის განმავლობაში გადაეხადა. შპს „ი-გ-მ“ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი პირობები – აღიარებული, გადანაწილებული თანხა და მოხმარებული ელექტროენერჯის მიმდინარე გადასახადი არასრულად გადაიხადა, რის გამოც, 2011 წლის ნოემბრის მდგომარეობით მისმა დავალიანებამ საერთო ჯამში 25771.95 ლარი შეადგინა.

წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო მოპასუხე შპს „ი-გ-მ“ და მიუთითა, რომ ნებისმიერი სადავო საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო მოლაპარაკების გზით. მოსარჩელეს არ მოუმართავს წერილობით აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით სს „თ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე შპს „ი-გ-ს“ სს „თ-ის“ სასარგებლოდ 2010 წლის 30 ივლისის „დავალიანების გადახდის შესახებ“ ხელშეკრულებიდან გამომდინარე 7940 ლარისა და 85 თეთრის და მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის 17 831 ლარისა და 10 თეთრის გადახდა დაეკისრა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

2012 წლის 12 აპრილის თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით განუხილველი დარჩა შპს „ი-გ-ს“ წარდგენილი სააპელაციო საჩივარი შემდეგ გარემოებათა გამო: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და აპელანტს ხარვეზის შევსების მიზნით დაევალა სახელმწიფო ბაჟის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში 1030,8 ლარის გადახდა და გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულების სასამართლოში წარმოდგენა. მასვე განემარტა სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 მარტის განჩინების ასლი აპელანტს გაეგზავნა იმავე დღეს მის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე. აღნიშნულ მისამართზე აპელანტს გზავნილი ვერ ჩაჰბარდა და 2012 წლის 22 მარტს გზავნილი გაეგზავნა აპელანტის წარმომადგენელს სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე. შეტყობინების ბარათით გზავნილის ჩაბარების შესახებ დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 მარტის განჩინების ასლი 2012 წლის 24 მარტს ჩაჰბარდა აპელანტის წარმომადგენლის სიდედრს – ზ. შ-ს. ნაპელანტის წარმომადგენელმა ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას მიმართა მხოლოდ 2012 წლის 6 აპრილს, ანუ ხარვეზის შესავსებად დადგენილი 10-დღიანი ვადის დარღვევით, ვინაიდან ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადის ბოლო დღე იყო 2012 წლის 3 აპრილი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს „ი-გ-მ“ და მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილისა და 74-ე მუხლის შესაბამისად, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ი-გ-ს“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მხარეს გარანტირებული აქვს უფლება, რომ საქმე აწარმოოს სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. ამავდროულად, კანონი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი პუნქტი) ავალდებულებს სასამართლოს, საპროცესო მოქმედებების თაობაზე გააფრთხილოს პროცესში მონაწილე სუბიექტთაგან ერთ-ერთი მათგანი: ან მხარე, ან უფლებამოსილი წარმომადგენელი, რის შედეგადაც ამ მხარეზე მონაწილე ყველა პირი განსახორციელებელ საპროცესო მოქმედების თაობაზე, გაფრთხილებულად ჩაითვლება.

კონკრეტულ შემთხვევაში, საქმეში არსებული მასალებით დგინდება, რომ შპს „ი-გ-ს“ სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, დაევალა სახელმწიფო ბაჟის – 1030,8 ლარის გადახდა და გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულების სასამართლოში წარდგენა. აღნიშნული განჩინება შპს „ი-გ-ს“ წარმომადგენელ გ. ფ-ს კანონით დადგენილი წესით ჩაჰბარდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება და დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ასევე ვალდებულია, უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

ზემოაღნიშნული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, უწყების ჩაბარება ოჯახის ქმედუნარიანი წევრისათვის (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ზ.შ-ისათვის) უთანაბრდება თავად ადრესატისათვის ჩაბარებას და ერთნაირი სამართლებრივი შედეგები მოჰყვება. აქედან გამომდინარე, ხარვეზის გამოსწორების ვადის ათვლა დაიწყო 2012 წლის 25 მარტს და ამოიწურა ამავე წლის 3 აპრილს. შპს „ი-გ-მ“ კი ხარვეზი შეავსო მითითებული ვადის დარღვევით, 2012 წლის 6 აპრილს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. კანონის დასახელებული ნორმებიდან ასევე გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია, კანონით დადგენილ ვადაში შეასრულოს ის საპროცესო მოქმედებები, რომელთა შესრულების ვადებიც კანონმდებელმა დაანება, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს ამ საპროცესო მოქმედებათა შესრულების უფლებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად და, შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

შპს „ი-გ-ს“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელი.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საპროცესო ვადის გამოთვლა

განჩინება

№ას-1545-1448-2012

10 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. შ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე ზ. რ-ს მ. შ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 40000 აშშ დოლარის გადახდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. რ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ნოემბრის განჩინებით ზ. რ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, აპელანტის მიერ ხარვეზის შევსების ვადის გაშვების გამო.

სააპელაციო სასამართლოს მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ზ. რ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა.

კერძო საჩივრის ავტორი არასწორად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ შემთხვევაში ხარვეზის შევსების ვადა ამოიწურა 2012 წლის 28 ოქტომბერს, რადგან 28 ოქტომბერი იყო კვირა დღე. აღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტს საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გააჩნდა მომდევნო სამუშაო დღეს, რა დროსაც მან ფოსტის მეშვეობით წარადგინა განცხადება ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. რ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ნოემბრის განჩინება და ზ. რ-ის სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში აპელანტის მხრიდან ხარვეზის შეუვსებლობა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ ხარვეზის შევსების 5-დღიანი ვადის ათვლის დასაწყისად მიიჩნია 2012 წლის 24 ოქტომბერი, ხოლო ამ ვადის დასრულების დღედ – 2012 წლის 28 ოქტომბერი.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, საპროცესო ვადის გამოთვლისას სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ 2012 წლის 28 ოქტომბერი იყო უქმე დღე – კვირა. ამიტომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს ხარვეზის შესავსებლად დადგენილი ვადის დასრულების დღედ 2012 წლის 29 ოქტომბერი უნდა მიეჩნია.

საკასაციო სასამართლო დასაბუთებულად მიიჩნევს კერძო საჩივრის ავტორის დასახელებულ არგუმენტს, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი ცალსახად ადგენს, რომ, თუ ვადის უკანასკნელი დღეს ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე. მოცემულ შემთხვევაში, 2012 წლის 28 ოქტომბერი იყო კვირა დღე და, შესაბამისად – უქმე დღე. აქედან გამომდინარე, ვადის დამთავრების დღედ უნდა ჩაითვალოს მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე – 29 ოქტომბერი (ორშაბათი).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ აპელანტმა ხარვეზის შევსების ვადის 3 დღით გაგრძელების შესახებ განცხადება ფოსტას ჩააბარა 2012 წლის 29 ოქტომბერს, ე.ი. ხარვეზის შესავსებლად დადგენილ ვადაში, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი ამ განცხადების განხილვის გარეშე განუხილველად დაეტოვებინა სააპელაციო საჩივარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული საფუძვლით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობა არ არსებობდა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

1. ზ. რ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ნოემბრის განჩინება და საქმე ზ. რ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შარი საპროცესო ვადის გაგრძელებაზე

განჩინება

№ას-1533-1539-2011

26 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების

ცენტრის სარჩელი მოპასუხეების – დ. ე-ასა და მ. ე-ის მიმართ დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს ჩამოერთვათ მშობლის უფლება-მოვალეობები მათი შვილების: 2000 წლის 21 აგვისტოს დაბადებული მმ. ე-ას და 2001 წლის 21 აგვისტოს დაბადებული ა. ე-ას მიმართ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ე-ამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით დ. ე-ას უარი ეთქვა სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელებაზე, ამავდროულად განჩინებით აღნიშნული სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

საპელაციო სასამართლომ მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 ივლისის განჩინებით დ. ე-ას სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, აპელანტს დაევალა განჩინების ასლის გადაცემიდან 10 დღის ვადაში მის მიერ ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი სააპელაციო საჩივრის წარდგენა. გარდა ამისა, აპელანტს დაევალა წარედგინა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციისა და საარსებო შემწეობის მიღების დამადასტურებელი ცნობები, წინააღმდეგ შემთხვევაში – 150 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 აგვისტოს განჩინებით დ. ე-ას 7 დღით გაუგრძელდა სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი საპროცესო ვადა;

2011 წლის 20 სექტემბერს დ. ე-ამ სააპელაციო სასამართლოში წარადგინა მის მიერ ხელმოწერილი სააპელაციო საჩივარი, მაგრამ სახელმწიფო ბაჟი არ გადაუხდია;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 სექტემბრის განჩინებით დ. ე-ას შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ არ დაკმაყოფილდა და აპელანტს ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა 5 დღით გაუგრძელდა;

2011 წლის 10 ოქტომბერს დ. ე-ამ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა ხარვეზის გამოსასწორებლად დანიშნული ვადის 10 დღით გაგრძელება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დ. ე-ას სასამართლოს მიერ ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა რამდენჯერმე გაუგრძელდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მითითებული ნორმის დანაწესი იმპერატიული არ არის და არ ავალდებულებს სასამართლოს, ყველა შემთხვევაში გააგრძელოს მის მიერ დანიშნული ვადა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული, მასში კონკრეტულად უნდა მიუთითოს მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, რომელიც უნდა შეეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალოდ კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ მოთხოვნასთან.

კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია აპელანტისათვის ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელება, ვინაიდან შუამდგომლობა დაუსაბუთებელი იყო. მას თან არ ერთვოდა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა შუამდგომლობაში მითითებულ გარემოებას აპელანტის ფინანსური უსახსრობის თაობაზე.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტმა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ გამოასწორა დაწესებული ხარვეზი და არ გადაიხდა სახელმწიფო ბაჟი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილიდან გამომდინარე სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 11 ოქტომბრის განჩინება დ. ე-ამ კერძო საჩივრით გაასაჩივრა, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის თანახმად, სასამართლოს წარედგინა დოკუმენტი სოციალურად დაუცველი პირების მონაცემთა ბაზაში აპელანტის რეგისტრაციის თაობაზე, ამიტომ მისთვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრება არასწორია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აპელანტმა არაერთხელ ითხოვა სასამართლოს მიერ მისი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, რის საფუძველდაც მიუთითა მის ოჯახურ მდგომარეობაზე. მიუხედავად ამისა, სასამართლომ აღნიშნული გარემოება არ გაითვალისწინა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ე-ას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 ოქტომბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძველად დაედო ის გარემოება, რომ აპელანტმა არ შეავსო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი, კერძოდ, არ გადაიხდა სახელმწიფო ბაჟი.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა მისი ოჯახური მდგომარეობა და გაეგრძელებინა ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით.

მითითებული ნორმა ითვალისწინებს იმ საპროცესო ვადის გაგრძელების შესაძლებლობას, რომელიც სასამართლოს მიერაა დადგენილი. ასეთი ვადის გაგრძელება დასაშვებია როგორც დანიტერესებული მხარის თხოვნით, ასევე სასამართლოს ინიციატივით. მხარის შუამდგომლობა საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს, კერძოდ, იგი უნდა შეიცავდეს მითითებას საპროცესო მოქმედების დადგენილ ვადაში შესრულების შეუძლებლობის მიზეზებზე და წარმოდგენილი უნდა იქნეს აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ აპელანტს, მისივე შუამდგომლობის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ ორჯერ გაუგრძელა ხარვეზის შევსების ვადა, თუმცა მითითებულ ვადაში აპელანტმა ხარვეზი არ შეავსო და კვლავ იშუამდგომლა ხარვეზის შევსების ვადის ათი დღით გაგრძელების თაობაზე. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ აპელანტის შუამდგომლობა ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ არ შეიცავდა შესაბამის დასაბუთებას და არ იყო წარდგენილი მტკიცებულებები. კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუსრულებლობა განაპირობა მისმა ოჯახურმა მდგომარეობამ, მაგრამ საკასაციო სასამართლო აღნიშნულ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს, ვინაიდან კერძო საჩივრის ავტორის მიერ არ არის წარმოდგენილი მის მიერ მითითებული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რაც მის მოვალეობას წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე-103-ე მუხლების შესაბამისად. ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კერძო საჩივრის ავტორს იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეზე წარდგენილი დოკუმენტი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში აპელანტის რეგისტრაციის შესახებ, იძლეოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მისი გათავისუფლების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომელთა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი ტოლია ან ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულაზე. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად, საარსებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულა არის 57001. ამ ნორმათა მიხედვით, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ის პირები, რომელთა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ზღვრული ქულის – 57001-ის ტოლია ან ნაკლებია მასზე. მოცემულ შემთხვევაში აპელანტის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი იყო დოკუმენტი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის შესახებ, რომლის თანახმად, განმცხადებლის ოჯახის სარეიტინგო ქულა (სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი) შეადგენდა 134380-ს. შესაბამისად, იგი არ ექვემდებარებოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობდა აპელანტის შუამდგომლობის დაკმაყოფილების და ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების საფუძველი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე და 374-ე მუხლები და მართებულად დატოვა განუხილველად დ. ე-ას სააპელაციო საჩივარი.

ამდენად, წარმოდგენილი კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. დ. ე-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 ოქტომბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების დაკისრება (ძირითად სარჩელში), შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობა (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. კ-მა, ა. ნ-ემ და ნ. ტ-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში შპს-ის „შ. ჯ. ს-ი“ მიმართ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ იმ მოტივით, რომ გარკვეული პერიოდი მუშაობდნენ მოქალაქე საზოგადოებაში, თუმცა შრომითი ანაზღაურება არ მიუღიათ.

მოქალაქეებმა სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს მოსარჩელეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ბათილად ცნობის მოთხოვნით, რადგან საზოგადოების მხრიდან ისინი გაფორმდა არაუფლებამოსილი პირის მიერ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ნ. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს-ს „შ. ჯ. ს-ი“ დაეკისრა ნ. ტ-ის სასარგებლოდ, სახელფასო დავალიანების – 900 ლარის გადახდა, ნ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოქალაქეებს დაეკისრა ნ. კ-ის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების – 16 000 ლარის გადახდა, ა. ნ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოქალაქეს მის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების – 2000 ლარის ანაზღაურება, ხოლო დანარჩენ ნაწილში უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ასევე არ დაკმაყოფილდა შპს-ის „შ. ჯ. ს-ი“ შეგებებული სარჩელი ნ. კ-სა და ა. ნ-ის მიმართ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „შ. ჯ. ს-ი“ მოსარჩეეების – ნ. კ-სა და ა. ნ-ის მიმართ, ასევე შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 იანვრის განჩინებით ნ. კ-სა და ა. ნ-ის შუამდგომლობა შესაგებლის წარმოდგენის საპროცესო ვადის გაგრძელების (აღდგენის) შესახებ არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ დაადგინა, რომ მონინალმდევე მხარეებს გაეგზავნათ სააპელაციო საჩივარი და განესაზღვრათ 5 დღის ვადა შესაგებლის წარსადგენად.

ნ. კ-ს სასამართლო გზავნილი ჩაბარდა 2013 წლის 21 იანვარს, ხოლო ა. ნ-ეს – 2013 წლის 22 იანვარს. შესაბამისად, მონინალმდევე მხარეებს შესაგებელი უნდა წარედგინათ 2013 წლის 28 იანვრის ჩათვლით, თუმცა სააპელაციო საჩივარი სასამართლოში შეტანილ იქნა 2013 წლის 29 იანვარს.

პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ა. ნ-ეს, მისივე განმარტებით, შესაგებელი გადაეცა 2013 წლის 25 იანვარს და მას შესაგებლის შეტანის შესაძლებლობა 2013 წლის 28 იანვრამდე გააჩნდა, ხოლო ნ. კ-ის მიერ შესაგებლის დადგენილ ვადაში წარუდგენლობის მიზეზებზე მხარეს არ მიუთითებია.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე, 66-ე, 67-ე მუხლებით, 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში შესაგებლის დროულად წარუდგენლობის საპატიო მიზეზი, ასევე საპროცესო ვადის აღდგენის საფუძველი არ არსებობს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შპს-ის „შ. ჯ. ს-ი“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა მონინალმდევე მხარეთა მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმდა და შპს-ის „შ. ჯ. ს-ი“ შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, ნ. კ-ან 2011 წლის 1 ივლისს გაფორმებული №6 და 2012 წლის 3 იანვარს დადებული №4 შრომითი ხელშეკრულებები, ისევე, როგორც ა. ნ-ან 2011 წლის 5 მაისს გაფორმებული №2 და 2012 წლის 3 იანვარს დადებული №1 შრომითი ხელშეკრულებები ცნობილ იქნა ბათილად, ნ. კ-სა და ა. ნ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატის ზემოხსენებულ განჩინებაზე ნ. კ-მა და ა. ნ-ემ შეიტანეს კერძო საჩივარი და მოითხოვეს მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით:

სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ნ. კ-სა და მის წარმომადგენელს სასამართლო უწყება სააპელაციო საჩივრის 2013 წლის 30 იანვარს ჩანიშნვის შესახებ, ასევე სააპელაციო საჩივრის ასლი არ ჩაბარებია, ხოლო ა. ნ-ის ნაცვლად აღნიშნული საპროცესო დოკუმენტები ჩაბარდა მის დედას, რაიონში მცხოვრებ პენსიონერ კ. ნ-ეს, რომელმაც ქ.თბილისში მცხოვრებ და მომუშავე შვილს გზავნილი მხოლოდ 2013 წლის 26 იანვარს გაუგზავნა.

აღსანიშნავია, რომ ა. ნ-ემ აღტერნატიული სახით თავისი დედის მისამართი – სამტრედიის რაიონის სოფელი ნ-ი სარჩელში მიუთითა, რადგან მის ნაცვლად საქმის განხილვაში მონაწილეობდა მისი წარმომადგენელი – ა. ზ-ი და არ ელოდა, რომ სასამართლო მხარეს რაიონში გაუგზავნიდა კორესპოდენციას.

თავად ა. ზ-ს სასამართლოს სადავო უწყება და გზავნილი გაეგზავნა მისამართზე – ქ.თბილისი, ვ-ას გამზირი №1/43-ის 313-ე ოთახში, ხოლო კურიერმა გზავნილი მიიტანა ვ-ას გამზირი №1/49-ის 3/3-ში. რასაკვირველია, აღნიშნულ არასწორ მისამართზე წარმომადგენელს გზავნილი ვერ ჩაბარდებოდა.

რაც შეეხება ნ. კ-ს, სასამართლომ არასწორად გაიზიარა კურიერის მითითება, რომ მისთვის გაგზავნილი საპროცესო დოკუმენტები ჩაბარდა მის ბიძაშვილს. ფაქტობრივად, გზავნილი ჩაბარდა ნ. კ-ის მოგვარეს, შორეულ ნათესავს, რომელიც მხარის ოჯახის წევრი და მასთან ერთად მცხოვრები პირი არ არის. ხსენებულ პიროვნებას მხარისათვის სასამართლო გზავნილი და სააპელაციო საჩივრის ასლი არ გადაუცია. სხდომის შესახებ ნ. კ-მა შეიტყო მხოლოდ 2013 წლის 29 იანვარს მოსამართლის თანაშემწის ზარის შედეგად. შესაბამისად, არასწორია სასამართლოს მითითება, რომ ნ. კ-ის მიმართ შესაგებლის წარდგენის ვადა 2013 წლის 21 იანვრიდან უნდა აითვალოს.

ამასთან, თუ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეებმა შესაგებელი 2013 წლის 29 იანვარს სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ წარადგინა, გაუგებარია, სააპელაციო პალატამ რატომ არ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება 2013 წლის 29 იანვარს, 30 იანვრის ნაცვლად.

სასამართლომ არასწორად დაუდგინა მხარეებს შესაგებლის წარსადგენად არაგონივრულად მოკლე ვადა – 5 დღე. როგორც ზემოთ აღინიშნა, სააპელაციო საჩივრის ასლი ა. ნ-ეს გაეგზავნა რაიონში, შესაბამისად, სააპელაციო პალატას უნდა ევარაუდა, რომ მითითებულ ვადაში გზავნილის ადრესატისათვის რაიონიდან თბილისში გამოგზავნას გარკვეული დრო დასჭირდებოდა.

მოცემული საქმის მიმართ სასამართლომ გამოიჩინა ტენდენციურობა და არაობიექტურობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. კ-სა და ა. ნ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ ნ. კ-სა და ა. ნ-ეს უარი ეთქვათ შპს-ის „შ. ჯ. ს-ი“ სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარდგენის საპროცესო ვადის გაგრძელების (აღდგენის) შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლომ შეიძლება აღადგინოს, თუ ცნობს, რომ საპროცესო მოქმედება საპატიო მიზეზით არ შესრულდა. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ამ კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოებები, კერძოდ, მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია, ყველა საჭირო საპროცესო მოქმედება განახორციელოს სასამართლოსა თუ კანონით დადგენილი ვადაში, თუმცა კანონმდებელი რიგ შემთხვევაში უშვებს სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის აღდგენის შესაძლებლობას. ასეთი შესაძლებელია, თუ მხარე დაადასტურებს, რომ დადგენილ ვადაში საპროცესო მოქმედება ვერ შეასრულა ობიექტურად საპატიო მიზეზის არსებობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე, 66-ე, 67-ე მუხლებით, 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით და მიიჩნია, რომ სასამართლოს მიერ შესაგებლის წარდგენისათვის დადგენილი საპროცესო ვადის დარღვევის საპატიო მიზეზის არსებობა მხარეებმა ვერ დაადასტურეს.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის აღნიშნულ მოსაზრებას და თვლის, რომ ნ. კ-სა და ა. ნ-ეს მართებულად ეთქვათ უარი სადავო საპროცესო ვადის აღდგენაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოპასუხე ვალდებულია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და მოსარჩელისათვის პასუხის (შესაგებლის) და თანდართული დოკუმენტების ასლების გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი. სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე – 21 დღეს. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

მითითებული ნორმების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შემდეგ მოწინააღმდეგე მხარეს გაუგზავნის სააპელაციო საჩივრისა და მასზე თანდართულ დოკუმენტებს და განსაზღვრავს მას ვადას სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარმოსადგენად. აღნიშნული ვადის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში მიიღებს განსახილველი დავის სამართლებრივ სირთულეს, რაც გასათვალისწინებელია შესაგებლის მომზადებისათვის საჭირო დროის სწორად დასადგენად. ამდენად, სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარსადგენად მიცემული ვადა უნდა იყოს საქმის სირთულის ადეკვატური, თუმცა კანონმდებელი უთითებს მის ზღვრულ ფარგლებსაც – არა უმეტეს 14 დღეს, ხოლო დავის სირთულისას – არა უმეტეს 21 დღეს.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ ნ. კ-სა და ა. ნ-ეს შესაგებლის წარსადგენად განუსაზღვრა 5 დღის ვადა, რომლის ათვლა დაიწყო მხარეთათვის სააპელაციო საჩივრის ასლის ჩაბარების მომენტიდან.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ნ. კ-ს სააპელაციო საჩივრის ასლი ჩაბარდა 2013 წლის 21 იანვარს, ხოლო ა. ნ-ეს – 2013 წლის 22 იანვარს. შესაბამისად, მხარეებს შესაგებლის წარდგენა შეეძლოთ 2013 წლის 28 იანვრის ჩათვლით (ვინაიდან 2013 წლის 26-27 იანვარი წარმოადგენდა დასვენების უქმე დღეებს), თუმცა მათ სააპელაციო საჩივარზე შესაგებლით სასამართლოს 2013 წლის 29 იანვარს მიმართეს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ნ. კ-ის მოსაზრებას, რომ მას სადავო სააპელაციო საჩივრის ასლი საერთოდ არ ჩაბარებია.

საქმის მასალებში წარმოდგენილი საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ ხელწერილით დასტურდება, რომ ნ. კ-ს სასამართლო გზავნილით სააპელაციო საჩივრის ასლი გაეგზავნა მის მიერ სარჩელში მითითებულ მისამართზე ქ.თბილისში, ძ.ზ-ის ქ. №12-ში და ადრესატის არყოფნის გამო ჩაბარდა მისი ოჯახის წევრს – ბიძაშვილ ქ. კ-ს, რომელმაც საკუთარ ხელმოწერასთან ერთად მიუთითა პირადობის მოწმობის პირადი ნომერიც.

აღნიშნული მტკიცებულების უარსაყოფად ნ. კ-მა კერძო საჩივარს დაურთო ქ. კ-ის განმარტება, რომ 2013 წლის 21 იანვარს იმყოფებოდა ქ.თბილისში, ძ.ზ-ის ქ. №12-ში ზ.ჭ-სა და ს. ფ-ან, რა დროსაც მოვიდა კურიერი და შესთავაზა სასამართლო გზავნილი ჩაბარება. ქ. კ-ის მითითებით, იგი ნ. კ-ის ბიძაშვილი და ოჯახის წევრი არ არის, არამედ უბრალოდ მისი მოგვარეა, ნ. კ-ი ზემოხსენებულ მისამართზე არ ცხოვრობს, რაც მან კურიერსაც ამცნო, თუმცა ამ უკანასკნელმა სასამართლო გზავნილი მაინც დაუტოვა. აღნიშნული გზავნილი მას ადრესატისათვის არ გადაუცია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქ. კ-ის მითითებული განმარტება იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის – უფლებამოსილი საფოსტო მუშაკის მიერ შედგენილი ხელწერილის საწინააღმდეგო სარწმუნო ინფორმაციას არ შეიცავს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თავად ნ. კ-მა მის მიერ წარდგენილ სარჩელში საკუთარ მისამართად მიუთითა ქ.თბილისი, ძ.ზ-ის ქ. №12, შესაბამისად, ქ. კ-ის განმარტება, რომ ხსენებულ მისამართზე ცხოვრობს თავად და არა მოსარჩელე საფუძველს მოკლებულია. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით გათვალისწინებული რაიმე მტკიცებულებით დადასტურებლი არ არის არც ის ფაქტი, რომ ქ. და ნ. კ-ი ოჯახის წევრები და ნათესავები არ არიან მაშინ, როდესაც ამავე კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს გააჩნდა საწინააღმდეგოს მიჩნევის საფუძველი ლეგიტიმური ვარაუდი, კერძოდ:

აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებულმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება და დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ასევე ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

კანონის მოცემული დანაწესის მიზანია, საქმის განხილვის უსაფუძვლოდ გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად გაამარტივოს მხარისათვის სასამართლო საპროცესო დოკუმენტების ჩაბარების წესი, რა დროსაც უფლებამოსილი პირის მიერ მხარის მისამართზე გამოცხადებისას ადრესატის არყოფნის შემთხვევაში ხსენებული დოკუმენტები ჩააბაროს მისი ოჯახის სრულწლოვან, ქმედუნარიან წევრს. ასეთი პირი დაადასტურებს სასამართლო გზავნილისა თუ უწყების მიღების ფაქტს შესაბამის დოკუმენტზე ხელის მოწერით, რომელიც წარედგინება სასამართლოს. მართალია, ზემოხსენებული ნორმა ითვალისწინებს მხარის ოჯახის წევრის მიერ მიღებული დოკუმენტების მხარისათვის გადაცემის ვალდებულებას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი პირის მიერ მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული რისკი თავად მხარე ეკისრება.

ამდენად, თუ მხარის მიერ დასახელებულ მისამართზე სასამართლო კორესპოდენციის გაგზავნისას ადრესატი საცხოვრებელ ადგილას დროებით არ იმყოფება და ამავე მისამართზე მყოფი პირი უფლებამოსილ სასამართლო თუ საფოსტო კურიერს განუმარტავს, რომ არის მხარის ოჯახის ქმედუნარიანი წევრი, მით უმეტეს დასტურდება მხარისა და ასეთი პირის გვართა იდენტურობა, სასამართლო უფლებამოსილია ჩათვალოს, რომ სასამართლო გზავნილი ჩაბარდა მხარის ოჯახის წევრს, რაც თავად მხარისათვის გზავნილის ჩაბარებულად მიჩნევას უთანაბრდება. აღნიშნული ვარაუდის საწინააღმდეგო გარემოების არსებობის დადასტურება ევალება მხარეს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალებების საფუძველზე.

განსახილველ შემთხვევაში ნ. კ-მა მითითებული მტკიცების ტვირთი ვერ განახორციელა.

საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს ა. ნ-ის არგუმენტსაც, რომ მას სააპელაციო საჩივრის ასლი სამტრედიის რაიონის სოფელ ნ-ი არასწორად გაეგზავნა, რადგან მხარე ფაქტობრივად ქ.თბილისში ცხოვრობს და მუშაობს. რაიონში კი ცხოვრობს მისი ასაკოვანი დედა. სასამართლო გზავნილი ჩაიბარა სწორედ მან, კ. ნ-ემ და 2013 წლის 25 იანვრამდე იგი შვილს ვერ გაუგზავნა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს მოსარჩელის ვალდებულებას, სწორად მიუთითოს საკუთარი ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონის ნომერი, მათ შორის, მობილურის, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსი. აღნიშნული

მოთხოვნის შესრულების გარეშე სასამართლო სარჩელს არ მიიღებს, რაც იმითაა განპირობებული, რომ სასამართლომ დაუბრკოლებლად შესძლოს მხარისათვის საჭირო საპროცესო დოკუმენტების ჩაბარება და საპროცესო მოქმედებების შესახებ შეტყობინება.

ამდენად, მხარე თავადაა პასუხისმგებელი იმ მისამართის სისწორეზე, რომელსაც სარჩელისა თუ სხვა საჩივრის შეტანისას უთითებს.

მოცემულ შემთხვევაში ა. ნ-ემ როგორც სარჩელში, ასევე სააპელაციო შესაგებელშიც საკუთარ მისამართად თავადვე მიუთითა სამტრედიის რაიონის სოფელი ნ-ი, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ სასამართლო გზავნილი ხსენებულ მისამართზე სავსებით კანონიერად გააგზავნა და აღნიშნული მსჯელობის საწინააღმდეგოდ დასაბუთებულ არგუმენტს არ წარმოადგენს ა.ნ-ის მითითება, რომ მის ინტერესებს იცავდა ადვოკატი ა. ზ-ი, რის გამოც მხარე ვარაუდობდა, რომ სასამართლო ყოველგვარ კორექსიონულ ცდას გაუგზავნიდა მის წარმომადგენელს.

მითითებულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ზემოთ განხილული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის დანაწესის შესაბამისად, ა. ნ-ის დედისათვის სააპელაციო საჩივრის ასლის ჩაბარება სააპელაციო პალატამ თავად მხარისათვის მის ჩაბარებად კანონიერად ჩათვალა.

რაც შეეხება ნ. კ-სა და ა. ნ-ის წარმომადგენლის – ა. ზ-ის სასამართლო გზავნილის ჩაბარებას, საკასაციო სასამართლო ეთანხმება კერძო საჩივრის მითითებას, რომ ა. ზ-ს სასამართლოს სადავო უწყება და გზავნილი გაეგზავნა ქ.თბილისი, ვ-ას გამზირი №1/43-ის 313-ე ოთახში, ხოლო კურიერმა გზავნილი მიიტანა ვ-ას გამზირი №1/49-ის 3/3-ში, სადაც, არასწორი მისამართის გამო, ადრესატს გზავნილი ვერ ჩაბარდებოდა.

აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ზ-ის სააპელაციო საჩივრის ასლის ხელმოწერედ გაგზავნის ვალდებულება სააპელაციო პალატას არ გააჩნდა, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს. შესაბამისად, კანონმდებლის ნება მიმართულია იმისაკენ, რომ საპროცესო დოკუმენტი ჩაბარდეს ან მხარეს ან მის წარმომადგენელს, ერთ-ერთისათვის მისი ჩაბარება სრულიად საკმარისია და დამატებით გაგზავნის ვალდებულებას არ წარმოშობს.

როგორც უკვე აღინიშნა, მოსარჩელეთა წარმომადგენელ ა. ზ-ის გარდა, სააპელაციო სასამართლომ გზავნილები გაუგზავნა და ჩააბარა თავად მხარეებსაც.

ასევე დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის პრეტენზია სააპელაციო შესაგებლის წარდგენის ვადის სიმცირესთან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის მიერ მითითებული 5-დღიანი ვადა მოცემული ვადის სირთულესთან მიმართებით სავსებით გონივრულია და მისი მეტად გაზრდა საქმის განხილვის გაჭიანურებას გამოიწვევდა.

ნიშანდობლივია 2013 წლის 29 იანვარს, სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილ სააპელაციო შესაგებელში ნ. კ-სა და ა. ნ-ის განმარტება, რომ მათ სადავო სააპელაციო საჩივრის ასლი 2013 წლის 25 იანვარს ჩაბარდათ, თუმცა მხარეებს შესაგებლის წარდგენის ვადის განმავლობაში სასამართლოსათვის არ მიუმართავთ და აღნიშნული ვადის გაგრძელება არ მოუთხოვიათ. ამდენად, მათ კანონით მინიჭებული საპროცესო ვადის გაგრძელების უფლება არასაპატიოდ დაკარგეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია და მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი წინამძღვრები არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა ლ ბ ი ნ ა :

1. ნ. კ-სა და ა. ნ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საპროცესო უფლებამონაცვლეობა

ბანჩინება

№ას-424-402-2012

17 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ვაგონის მოცდენისა და ტვირთის შენახვის საფასურის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ს. რ-ამ“ სარჩელი აღძრა შპს „ბ. ო. ი. ლ-ის“ მიმართ ვაგონების დაყოვნების ღირებულებისა და ტვირთის შენახვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ და მოითხოვა 674 621,64 ლარის ანაზღაურება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ფოტის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „ს. რ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 18 იანვრის განჩინებით შპს „ს. რ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს „ს. რ-ამ“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 მაისის განჩინებით შპს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო, კასატორ შპს „ს. რ-ას“ დაუბრუნდა მის მიერ გადახდილი 8000 ლარის 70% – 5600 ლარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს „ს. რ-ის“ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და შპს „ს. რ-ის“ უფლებამონაცვლედ მოცემულ სამოქალაქო საქმეში ჩაებას სააქციო საზოგადოება „ს. რ-ა“ შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე.

დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, მოდავე იურიდიული პირის რეორგანიზაციის შედეგად რეორგანიზაციამდე არსებული მხარის ნაცვლად საქმეში ჩაებას პირი, რომელზეც კანონით დადგენილი წესით გადავიდა მხარის უფლება-მოვალეობანი.

მოცემულ შემთხვევაში სსიპ „სანარმოთა მართვის სააგენტოს“ 2012 წლის 12 აპრილის №1-3/269 ბრძანებით ირკვევა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ს. რ-ა“ გარდაიქმნა სააქციო საზოგადოება „ს. რ-ად“ და წარმოადგენს მის სამართალმემკვიდრეს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა საფუძვლიანია და შპს „ს. რ-ის“ უფლებამონაცვლედ მოცემულ საქმეში უნდა ჩაებას სააქციო საზოგადოება „ს. რ-ა“.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე, 284-ე მუხლებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

სს „ს. რ-ის“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საქმეში – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ს. რ-ის“ სარჩელის გამო შპს „ბ. ო. ი. ლ-ის“ მიმართ ვაგონის მოცდენისა და ტვირთის შენახვის საფასურის დაკისრების თაობაზე შპს „ს. რ-ის“ უფლებამონაცვლედ ჩაებას სააქციო საზოგადოება „ს. რ-ა“.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საპროცესო უფლებამონაცვლეობა

ბანჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ს. რ-მ“ სარჩელით მიმართა სენაკის რაიონულ სასამართლოს შპს „ი-ს“ მიმართ და მოითხოვა სა-ხელშეკრულებო ვალდებულების შესრულება შემდეგი დასაბუთებით: შპს „ი-მ“ 2007 წლის სექტემბერში განახორციელა ტვირთების სარკინიგზო გადაზიდვა. შპს „ს. რ-მ“ კეთილსინდისიერად, ჯეროვნად და დროულად შეასრულა გადაზიდვის ვალდებულება, მოპასუხე, გარდა საფასურისა, დამატებით განსაკუთრებული პირობებით, კერძოდ, სადგურ სენაკში ვაგონების დასაცლელად მიწოდების მომსახურების გამო, დაერიცხა საფასური 2,202.28 ლარი. სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 668-ე მუხლის, 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 686-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, შპს „ს. რ-მ“ გადაზიდვების ვალდებულება შეასრულა ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და დროულად, შესაბამისად, მას სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი არ დაურღვევია. მოპასუხემ ვერ უზრუნველყო გადაზიდვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, შესაბამისად, ამჟამად, მას გააჩნია დავალიანება 2202.28 ლარი.

წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო მოპასუხემ შემდეგი დასაბუთებით: შპს „ი-ს“ შპს „ს. რ-ის“ მიმართ რაიმე დავალიანება არ გააჩნია. არ არსებობს დავალიანების დამადასტურებელი შედარების ან სხვა რაიმე აქტი. მოპასუხე, როგორც ეს მიღებულია შპს „ს. რ-ში“ მომსახურებისათვის განკუთვნილ თანხას წინსწრებით იხდიდა. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, რის გამო დაერიცხა შპს „ი-ს“ სარჩელში მითითებული თანხა. ამასთან, სასარჩელო განცხადებაზე დართულ სადგურის მომსახურებისა და ტვირთის მიღება-ჩაბარების სამახსოვროზე №0379353 არ არის შპს „ი-ს“ უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის ხელმოწერები.

2011 წლის 31 ოქტომბრის სენაკის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით შპს „ს. რ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 20 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. პალატამ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2007 წლის 22 სექტემბერს შპს „ს. რ-მ“ გარდაბნის სარკინიგზო სადგურიდან სენაკის სადგურში აწარმოა მოპასუხე შპს „ი-ს“ კუთვნილი დიზელის სანვავის გადაზიდვა და მისი მოპასუხისათვის მიწოდება. მოპასუხის მიერ სარკინიგზო მომსახურების ღირებულება ანაზღაურებულ იქნა წინსწრებით, 197.72 ლარის გადამტებით. შესაბამისად, ზედმეტად გადახდილი 197.72 ლარი, შპს „ს. რ-ის“ მიერ აღირიცხა, როგორც შპს „ი-ს“ კრედიტი. დადგინდა, რომ დამატებითი შემოსავლების მოზიდვის მიზნით, შპს „ს. რ-ა“ ახორციელებს რკინიგზის დადგენილი სადგურებიდან კლიენტის ჩიხში ვაგონების განსაკუთრებული პირობებით მიწოდება-გამოტანის სარკინიგზო მომსახურებას. აღნიშნული მომსახურების ღირებულება განსაზღვრულია შპს „ს. რ-ის“ გენერალური დირექტორის 2007 წლის 21 აგვისტოს №568/გ ბრძანებით, რომლის თანახმად, რკინიგზის სადგურიდან კლიენტის ჩიხში ერთი ვაგონის მიწოდება-გამოტანის ღირებულება შეადგენს 2400 ლარს, დღგ-ს გარეშე.

დადგენილია, რომ სადგურ „სენაკიდან“ შპს „ი-ს“ ჩიხში ვაგონის მიწოდების განსაკუთრებული პირობებით მომსახურების საფუძვლით შპს „ს. რ-მ“ მოპასუხე შპს „ი-ს“ დაარიცხა დებიტორული დავალიანება 2400 ლარი. შპს „ი-ს“ კუთვნილი ტვირთის გადაზიდვა მოსარჩელემ აწარმოა გარდაბნის სადგურიდან სადგურ სენაკში. ასევე, მხარეთა შორის სადავო არ ყოფილა ამ მომსახურებისათვის შესაბამისი ანაზღაურების მიღების ფაქტი. მხარეთა შორის სადავო იყო, დიზელის სანვავით დატვირთული ვაგონის დაცლის მიზნით, აღნიშნული ტვირთის მიწოდების ფაქტი სადგურ სენაკიდან შპს „ი-სათვის“ სასურველ ჩიხში. მხარეთა შორის ასევე სადავო იყო სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი. 2007 წლის სექტემბერში, შპს „ი-მ“ ისარგებლა კლიენტის ჩიხში ვაგონების მიწოდების, შპს „ს. რ-ის“ მიერ დადგენილი განსაკუთრებული სახელშეკრულებო პირობებით.

სამოქალაქო კოდექსის 668-ე მუხლის შესაბამისად, გადაზიდვის ხელშეკრულებით გამაზიდველი ვალდებულია, მოთანხმებული საზღაურის გადაზიდვით გადაიტანოს ტვირთი ან გადაიყვანოს მგზავრი და აღნიშნულების ადგილზე. ამავ კოდექსის 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც. სამოქალაქო კოდექსის 699-ე მუხლის შესაბამისად, ამ თავში მოწესრიგებული გადაზიდვებიდან გამომდინარე უფლებების ხანდაზმულობის ვადა არის ერთი წელი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს ვადა შეადგენს სამ წელს. ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება: გადაზიდვის ხელშეკრულების დადების დღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ. სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება, თუ: ა) ვალდებულების შესრულება გადავადებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ (მორატორიუმი); ბ) სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცილებელი დაუძლეველი

ძალა; გ) კრედიტორი ან მოვალე იმყოფება შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაში; დ) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

პალატამ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის ზემოაღნიშნულ ნორმათა საფუძველზე, სენაკის რაიონულმა სასამართლომ სწორად უთხრა უარი შპს „ს. რ.-ს“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რადგან შპს „ს. რ.-ს“ და შპს „ი-ს“ 2007 წლის სექტემბერში განხორციელებულ სარკინიგზო გადაზიდვებთან დაკავშირებით ერთმანეთის მიმართ გადაზიდვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებული ჰქონდათ. მოპასუხეს გადახდილი ჰქონდა ტვირთის გადაზიდვის საფასური და შპს „ს. რ.-ის“ ტვირთის გადაზიდვის მომსახურებასთან დაკავშირებული დავალიანება, მოპასუხე მხარეს არ გააჩნდა, ამასთან ერთად, სენაკის რაიონულმა სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ, მიუხედავად მოთხოვნის უსაფუძვლობისა, მოცემულ შემთხვევაში, გასული იყო, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაც.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „ს. რ.-მ“ შემდეგი დასაბუთებით: ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ არ გაიზიარა სს „ს. რ.-ის“ სასარჩელო განცხადებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მოპასუხე შპს „ი-მ“ 2007 წელს განხორციელა ტვირთების სარკინიგზო გადაზიდვა. სს „ს. რ.-ის“ მიერ გადაზიდვა განხორციელდა ჯერონად, კეთილსინდისიერად და დროულად, რაც დასტურდება წარმოდგენილი სადგურის მომსახურებისა და ტვირთის მიღება-ჩაბარების სამახსოვროთი. ზემოაღნიშნული გარემოებებზე მითითებით, სასამართლომ უნდა დაეკმაყოფილებინა სს „ს. რ.-ის“ სარჩელი. ამ შემთხვევაში შპს „ი-ს“ გადახდის ვალდებულება წარმოეშვა გადაზიდვის ხელშეკრულებიდან, რომელიც მხარეებს შორის გაფორმდა საგზაო უწყისის სახით. სამოქალაქო კოდექსის 668-ე მუხლის თანახმად, გადაზიდვის ხელშეკრულება არის სასყიდლიანი მომსახურება და მოპასუხე ვალდებულია, გადაიხადოს გადაზიდვის მომსახურების საფასური. განსახილველი დავის საგანია ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული ურთიერთობა, სასამართლომ დავის განწყვეტისას, გარდა სამოქალაქო კოდექსის 668-ე-708-ე მუხლებისა, ასევე, უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს სარკინიგზო კოდექსით, რომელიც სპეციალური კანონია და დეტალურად არის რეგლამენტებული სარკინიგზო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის წესები, მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობის საფუძვლები. ამასთან, მოპასუხემ ვერ შეძლო დანიშნულების სადგურში მიწოდებული ტვირთის სარკინიგზო მომსახურების გადახდა, აქედან გამომდინარე, სასამართლომ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 668-ე და 686-ე მუხლები, აგრეთვე, სარკინიგზო კოდექსის 22-ე მუხლი რის საფუძველზეც, სასამართლომ შპს „ს. რ.-ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისრებინა მოპასუხისათვის 2 202, 28 ლარის გადახდა.

ამასთან, სს „ს. რ.-მ“ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და წარმოადგინა სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2012 წლის 12 აპრილის №1-3/269 ბრძანება, რომლის საფუძველზეც შპს „ს. რ.-ა“ გარდაიქმნა სს „ს. რ.-დ“, დამტკიცდა საზოგადოების ახალი წესდება და შპს „ს. რ.-ის“ სამართალმემკვიდრედ მიჩნეულ იქნა სს „ს. რ.-ა“, ასევე წარმოადგინა სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის თაობაზე. აღნიშნული მტკიცებულებების საფუძველზე კასატორმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა მოცემულ დავაში შპს „ს. რ.-ის“ უფლებამონაცვლედ სს „ს. რ.-ის“ დაშვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და განცხადების საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ სს „ს. რ.-ის“ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სადავო ან სასამართლოს განწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე.

განსახილველ შემთხვევაში, სს „ს. რ.-ის“ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით: სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2012 წლის 12 აპრილის №1-3/269 ბრძანებითა და სამეწარმეო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ შპს „ს. რ.-ა“ გარდაიქმნა სს „ს. რ.-დ“, დამტკიცდა საზოგადოების ახალი წესდება და შპს „ს. რ.-ის“ სამართალმემკვიდრედ მიჩნეულ იქნა სს „ს. რ.-ა“, დგინდება ისიც, რომ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ცვლილება დარეგისტრირდა სამეწარმეო რეესტრში, რითაც დაცულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 51 მუხლის მოთხოვნები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლებამონაცვლისათვის პროცესში მის დაშვებამდე შესასრულებელი ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც მან შეცვალა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს „ს. რ.-ის“ შუამდგომლობა მისი შპს „ს. რ.-ის“ უფლებამონაცვლედ დაშვების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების დასაშვებობის შემომწების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „ს. რ.-ის“ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი სხვა ქონებრივ და არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგებზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით.

მოცემული დავის საგანია სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება და მოთხოვნის ხანდაზმულობა. აღნიშნულ საკითხზე არსებობს სასამართლოს პრაქტიკა, რაც ასახულია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, უნდა დარჩეს განუხილველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს „ს. რ-ს“ უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 2012 წლის 23 აპრილს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის 70% – 210 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

სს „ს. რ-ის“ შუამდგომლობა უფლებამონაცვლედ დაშვების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საქმეზე შპს „ს. რ-ის“ სარჩელის გამო შპს „ი-ს“ მიმართ, გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების თაობაზე შპს „ს. რ-ის“ უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნას სს „ს. რ-ა“.

სს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

სს „ს. რ-ს“ დაუბრუნდეს მის მიერ 2012 წლის 23 აპრილს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის 70% – 210 ლარი. (2012 წლის 23 აპრილი, საგადასახადო დავალება №258) სს ბანკ „რესპუბლიკის“ მეშვეობით.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

იურიდიული ინტარესი

განჩინება

№ას-1261-1190-2012

12 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: მეუღლეთა ქონების თანასაკუთრებად აღიარება, სამკვიდრო ქონებაზე ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტის აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

ე. თ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. პ-ის მიმართ მეუღლეთა ქონების თანასაკუთრებად აღიარებისა და სამკვიდრო ქონებაზე ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტის აღიარების მოთხოვნით შემდეგი და-

საბუთებით: ო. პ-ის ერთადერთი პირველი რიგის მემკვიდრე მოსარჩელეა, რომელსაც სამკვიდრო მიღებულ აქვს. ვინაიდან, აღიარებული არაა ო. პ-ის მიერ თავისი მშობლების ა-კ და ა-ა პ-ების დანაშთი ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტი, მოსარჩელე ვერ მიიჩნევა სადავო ქონების კანონიერ მემკვიდრედ, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ქონება ფაქტობრივად ე.თ.-ემ მიიღო და გაასხვისა.

მოპასუხემ წარმოდგინა შესაგებლად სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: სადავო ქონება ირიცხებოდა ა. პ-ის სახელზე, რომელიც ა-დ პ-ის თანასაკუთრებას არ წარმოადგენდა, რადგან ისინი რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდნენ. ახალციხის რაიონული სასამართლოს 1970 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით მათ შორის მხოლოდ ფაქტობრივი ქორწინების ფაქტია დადგენილი, რომელიც უფლება-მოვალეობებს არ წარმოშობს.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით ე. პ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა აღიარებულ იქნა, რომ ახალციხის რაიონის სოფელ ვ-ში, ს.-ის ქ. №25-ში მდებარე უძრავი ქონება, რომელიც ირიცხებოდა 2010 წლის 18 მაისამდე ა-კ პ-ის სახელზე, წარმოადგენდა მეუღლე – ა-დ პ.-თან ერთად თანასაკუთრებას თითოეულს S წილით. აღიარებულ იქნა, რომ ა-კ პ-ის გარდაცვალების შემდეგ, მისი დანაშთი ქონების 1/3 წილი (თითოეულმა) ფაქტობრივი ფლობით მიიღო მისმა მეუღლე ა-დ პ-მა, მისმა ქალიშვილმა ო. პ-მა და მისმა ვაჟიშვილმა რ. პ-მა; აღიარებულ იქნა, რომ მოსარჩელე ე. თ.-ის ბებუის, ა-ა პ-ის, გარდაცვალების შემდეგ, მისი დანაშთი მთლიანი ქონების 5/6 წილი ფაქტობრივი ფლობით მიიღო მისმა დედამ ო. პ-მა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. პ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: ე. თ-ე არის 1970 წლის 12 აპრილს გარდაცვლილი ა-კ პ-ისა და 1988 წლის 6 ივნისს გარდაცვლილი ა-დ პ-ის შვილიშვილი, 2007 წლის 16 აპრილს გარდაცვლილი ო. პ-ის შვილი. მოსარჩელის განმარტებით, საცხოვრებელი სახლი, რომელიც მდებარეობს ახალციხის რაიონში, ვ-ში, მე-2 შახტის, სადგურის ქ. №25-ში, წარმოადგენდა მისი პაპისა და ბებუის თანასაკუთრებას; პაპის – ა-კ პ-ის გარდაცვალების შემდეგ, მისი დანაშთი ქონების 1/3-1/3-1/3 წილი ფაქტობრივი ფლობით მიიღეს: მისმა მეუღლე ა-დ პ-მა, ქალიშვილმა ო. პ-მა და ვაჟიშვილმა რ. პ-მა, ხოლო ბებუის, ა-ა პ-ის, გარდაცვალების შემდეგ, მისი დანაშთი მთლიანი ქონების 5/6 წილი ფაქტობრივი ფლობით მიიღო მოსარჩელე ე. თ.-ის დედამ – ო. პ-მა.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მოწინააღმდეგე მხარის (მოსარჩელის) 2012 წლის 18 ივნისს წარმოადგინა წერილობითი განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ აღიარებს აპელანტის (მოპასუხის) – რ. პ-ის უფლებას მთელი სამკვიდრო ქონების 1/6 წილზე და, რადგან სამომავლოდ დადგება მისი (ე. თ.-ის) მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხი სამკვიდრო ქონების ამ ნაწილის მიხედვით, გააჩნია იურიდიული ინტერესი, სასამართლოს გადაწყვეტილებით განისაზღვროს სამკვიდრო ქონების რა ნაწილზე გააჩნია რ. პ-ის მიმართ მატერიალური პასუხისმგებლობა. პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელე ე. თ-ეს, ახალციხის რაიონში, ვ-ში, მე-2 შ-ის, ს.-ის ქ. №25-ში მდებარე უძრავი ქონება გასხვისებული აქვს 2010 წლის 15 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით და დადგენილია, რომ დღეისათვის უძრავი ქონება, მდებარე ახალციხის რაიონში, ვ-ში, მე-2 შ-ის, ს.-ის ქ. №25-ში (სარეგისტრაციო ზონა – ახალციხე, კოდი – ..., სექტორი – ..., კოდი – ..., კვარტალი – ..., ნაკვეთი – .. ფართობი – 1200 კვ.მ), საკუთრების უფლებით აღრიცხულია გ. რ-ის სახელზე. ასევე დადგენილია, რომ საქმეში წარმოდგენილი ახალციხის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით რ. პ-ის სარჩელი ე. თ.-ისა და გ. რ-ის მიმართ უძრავი ქონების 2010 წლის 15 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა და აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ე. თ-ეს, დავის საგნის მიმართ არ გააჩნია დასაბუთებული და საფუძვლიანი იურიდიული ინტერესი, შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება, აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნეს აღიარებული. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო ინტერესის არსებობისათვის, რომელიც წარმოადგენს აღიარებითი სარჩელის მიღებისა და განხილვის წინაპირობას, აუცილებელია, რომ არსებობდეს დავა მხარეთა შორის უფლებებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ. აღიარებით სარჩელს, მიკუთვნებითი სარჩელისაგან განსხვავებით, წაყენება დამატებითი წინაპირობა – ნამდვილი იურიდიული ინტერესის არსებობა, ანუ რა სამართლებრივი შედეგის მიღწევაა შესაძლებელი, რა არის მოსარჩელის სამართლებრივი დაცვის ინტერესი. აღნიშნული ინტერესის არსებობა წარმოადგენს აღიარებითი სარჩელის დასაშვებობისა და დაკმაყოფილების ძირითად წინაპირობას. აღიარებითი სარჩელის აღძვრის შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მითითებული იურიდიული ინტერესი უნდა იყოს ნამდვილი. ერთია, მოსარჩელის სურვილი, ხოლო მეორე კი – სარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესი, რომელთა ერთმანეთთან გაიგივება არ შეიძლება. იურიდიული ინტერესის ცნებაში ყოველთვის იგულისხმება ის მატერიალურსამართლებრივი უფლება, რომლის დაცვასაც უზრუნველყოფს აღიარებითი სარჩელი. აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ შესაძლებელია აღიძრას სარჩელი თვით ვალდებულების შესრულების თაობაზე. ამდენად, მატერიალურ სამართლებრივი უფლების დაცვა შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრის გზით, მაგრამ უნდა უზრუნველყოფდეს სადავოდ ქცეული უფლების დაცვას და გამოირიცხავდეს მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას.

პალატამ განმარტა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, წინამდებარე სარჩელის აღძვრის იურიდიული ინტერესი არ გამომდინარეობს მოსარჩელისათვის რაიმე ქონებრივი სიკეთისა და შეღავათების მიღებაში, ვი-

ნაიდან აშკარაა, რომ მეუღლეთა ქონების თანასაკუთრებად აღიარებისა და სამკვიდრო ქონებაზე ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტის აღიარების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებას რაიმე დადებითი იურიდიული შედეგი მისთვის არ მოჰყვება. საქმის მასალებით და მხარეთა ახსნა-განმარტებებით დადასტურებულია, რომ ამჟამად რ. პ-ის მიერ ე. თ-ის მიმართ სამკვიდრო ქონებიდან გამომდინარე მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელი აღძრული არ არის და, შესაბამისად, მხარეთა შორის ამ საფუძვლით დავა არ მიმდინარეობს. რაც შეეხება მოსარჩელის (მონინაალდეგე მხარის) მიერ მოცემული სარჩელის მიმართ იურიდიულ ინტერესად იმ გარემოებაზე მითითებას, რომ სამომავლოდ დადგება მისი (ე. თ-ის) მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხი და სასამართლოს გადანყვეტილებით უნდა განისაზღვროს სამკვიდრო ქონების რა ნაწილზე გააჩნია რ. პ-ის მიმართ მატერიალური პასუხისმგებლობა, პალატამ განმარტა შემდეგი: როგორც აღინიშნა, ე. თ-ის მიერ მითითებული საფუძვლით მხარეთა შორის დავა არ მიმდინარეობს და, სავარაუდოდ, მიმართავს თუ არა მონინაალდეგე მხარის მიერ დასახელებული ზიანის ანაზღაურების სარჩელით სასამართლოს მხარე, დამოკიდებულია რ. პ-ის ნებაზე. შესაბამისად, სამომავლოდ ასეთი სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, მოპასუხე მხარეს შეუძლია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული წესით განახორციელოს მისი უფლებების დაცვა, ხოლო ამ ეტაპზე, როდესაც ამ სახის სარჩელი მის წინააღმდეგ არ არის აღძრული, არ იკვეთება მოცემული აღიარებითი სარჩელის მიმართ მხარის დასაბუთებული იურიდიული ინტერესი.

პალატამ განმარტა, რომ, თუ იურიდიული ინტერესი არ იკვეთება სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე, აღნიშნული არსებითად მსჯელობის საგანი შეიძლება გახდეს, თუმცა, სასამართლოს მიერ დადგინდება რა იურიდიული ინტერესის არარსებობა, მითითებული გარემოება სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველია. აღნიშნული მსჯელობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი, რომელიც აღიარებითი სარჩელის აღძვრის პირობებში, იურიდიული ინტერესის არარსებობას სარჩელის დასაშვებობის ერთ-ერთ წინაპირობად მიიჩნევს და ამავე კოდექსის 186-ე მუხლი, რომელიც ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, სარჩელის მიღებაზე უარს ითვალისწინებს. მოცემულ შემთხვევაში, ნიშანდობლივია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის ანალოგიით გამოყენება, რომელიც სარჩელის მიღებაზე უარის თქმის წინაპირობების სამართლებრივ წარმოების შემდგომ ეტაპზე გამოვლენის შემთხვევაში, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის საპროცესო სამართლებრივ შესაძლებლობებს იძლევა. მოცემულ შემთხვევაში, პალატამ მიიჩნია, რომ არსებობს სარჩელის განუხილველად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინამძღვრები. გარდა ამისა, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებისა და საპროცესო ეკონომიის მიზნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლის შემდგომში აღმოჩენის შემთხვევაში, თუნდაც, აღნიშნული სასამართლოს მიერ არსებითი მსჯელობის საგანი გამხდარიყო, სარჩელის განუხილველად დატოვება ან სარჩელზე წარმოების შეწყვეტა, იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელზე უარის თქმის საფუძველი მატერიალურსამართლებრივი საფუძველი კი არ არის, არამედ საპროცესო სამართლებრივი დანაწესია, რაც კერძო საჩივრის და არა სააპელაციო ან საკასაციო საჩივრის მსჯელობის საგანია.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. თ-ემ შემდეგი დასაბუთებით: სასამართლოში დამატებით წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ სასამართლო ვერ დაარწმუნა იმაში, რომ მხარეებს შორის არსებობს უფლებებსა და სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული დავები. არსებობს ახალციხის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება რითაც ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 18 მაისის №... გადაწყვეტილება, რომლითაც სადავო ქონება კერძო საჩივრის ავტორის სახელზე აღირიცხა. რეგისტრაციის შემდეგ აღნიშნული უძრავი ქონება გასხვისდა მოქალაქე გ. რ-ზე და ნასყიდობის ხელშეკრულება დღეისათვის ძალაშია. მონინაალდეგე მხარის მიზანია, დაისაკუთროს მთელი ქონება, ხოლო ე. თ-ის კი, დედისგან მემკვიდრეობით მიღებული ქონება მიღებულად და კანონიერად გასხვისებულად ჩაეთვალოს. განჩინებაში მითითება, რომ ასეთი მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ დღეისათვის მხარეთა შორის დავა არ მიმდინარეობს, ამიტომ იურიდიული ინტერესი არ არსებობს კანონიერი არაა. რ. პ-ის ყველა სარჩელი ქვაკუთხედი, სწორედ, ქონებრივი სარგებლის მოთხოვნაა და ის ითხოვს არა მისი წილი ქონების კომპენსაციას, არამედ მთლიანად მთელი ქონების ღირებულებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ე. თ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ ე. თ-ე აღიარებს მოპასუხე – რ. პ-ის უფლებას მთელი სამკვიდრო ქონების 1/6 წილზე და მიიჩნევს, რომ, რადგან სამომავლოდ დადგება მოსარჩელის მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხი, მას გააჩნია იურიდიული ინტერესი, სასამართლოს გადანყვეტილებით განისაზღვროს სამკვიდრო ქონების რა ნაწილზე გააჩნია რ. პ-ის მიმართ მატერიალური პასუხისმგებლობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, განმარტოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი და მიუთითებს შემდეგ: აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძვრას უფლებისა და სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის იურიდიული ინტერესი. აღიარებითი სარჩელის აღსაძრავად აუცილებელია აღიარების ნამდვილი იუ-

რიდიული ინტერესის ქონა. ეს იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ინტერესის არსებობის გამორკვევა წარმოადგენს ალიარებითი სახის სარჩელის დასაშვებობის ძირითად წინაპირობას, ამიტომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის საფუძველზე აღნიშნული სარჩელის ჯერ კიდევ დასაშვებობის სტადიაზე აუცილებელია, გამოირკვეს, თუ რაში მდგომარეობს მოსარჩელის მიერ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის ალიარების მოთხოვნის იურიდიული ინტერესი. აღნიშნულ ასევე არსებითი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ სწორად განისაზღვროს პირთა წრე, ვის მიმართაც მოსარჩელის დარღვეული უფლების აღდგენის ნამდვილი იურიდიული ინტერესია მიმართული.

დადგენილია, რომ მოსარჩელე ე. თ-ემ, ახალციხის რაიონში, ვ-ში, მე-2 მ-ს, ს-ის ქ. №25-ში მდებარე უძრავი ქონება 2010 წლის 15 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით გაასხვისა და დღეისათვის, საკუთრების უფლებით აღრიცხულია გ. რ-ის სახელზე. ასევე დადგენილია, რომ საქმეში წარმოდგენილი ახალციხის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით რ. პ-ის სარჩელი ე. თ-ისა და გ. რ-ის მიმართ, უძრავი ქონების 2010 წლის 15 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა და აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. შესაბამისად, დგინდება, რომ სადავო ქონება, რომელიც მექვიდროებით მიიღო ე. თ.-ემ, მან უკვე განკარგა (გაასხვისა).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის მიხედვით, იურიდიული ინტერესის არსებობისათვის აუცილებელია, არსებობდეს მხარეთა შორის დავა უფლების თუ სამართლებრივი ურთიერთობის თაობაზე. მოპასუხე უნდა ეცილებოდეს მოსარჩელეს უფლებაში, ასეთი დავა უნდა ქმნიდეს უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას. ამ გადაწყვეტილებას გარკვეული სარგებლობა უნდა მოჰქონდეს მოსარჩელისათვის. ამასთან, ის ფაქტი, რომ სადავო ქონების 1/6 ნაწილის გასხვისების გამო, რომელიც რ. პ-ს ეკუთვნოდა, დადგება კერძო საჩივრის ავტორის პასუხისმგებლობის საკითხი, მისი ვარაუდია და იგი ვერ ადასტურებს 180-ე მუხლით გათვალისწინებული ზემოდასახელებული გარემოებების არსებობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ყოველ დაინტერესებულ პირს უფლებას აძლევს, სარჩელით მიმართოს სასამართლოს დარღვეული ან სადავო უფლების, ან კანონით გათვალისწინებული ინტერესის დასაცავად. ზემოდასახელებული მუხლი დისპოზიციურობის პრინციპს ეხება, რომელიც სამოქალაქო საპროცესო სამართალში მხარეთა თავისუფლებას ნიშნავს, განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ რ. პ-ს შეუძლია 1/6 წილის გასხვისების ნაწილში მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, მისი უფლებაა და მისი შეხედულებისამებრ შეიძლება, დაცულ იქნეს სასამართლო წესით. ე. თ-ის პასუხისმგებლობა და მისი ფარგლები, როგორც თვითონ მიუთითებს, სწორედ, რ. პ-ის მიერ სარჩელით მიმართვის დროს დადგინდება, რაც ამ ეტაპზე გამორიცხავს ე. თ-ის სარჩელის იურიდიული ინტერესის არსებობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ ე. თ-ის მიერ მითითებული საფუძველით მხარეთა შორის დავა არ მიმდინარეობს და სავარაუდოდ, მიმართავს თუ არა მოწინააღმდეგე მხარის მიერ დასახელებული ზიანის ანაზღაურების სარჩელით სასამართლოს მხარე, დამოკიდებულია აპელანტის – რ. პ-ის ნებაზე. შესაბამისად, სამომავლოდ ასეთი სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, მოპასუხე მხარეს შეუძლია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული წესით განახორციელოს მისი უფლებების დაცვა, ხოლო ამ ეტაპზე, როდესაც ამ სახის სარჩელი მის წინააღმდეგ არ არის აღძრული, არ იკვეთება მოცემული ალიარებითი სარჩელის მიმართ მხარის დასახელებული იურიდიული ინტერესი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ე. თ-ის სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა ზ ბ ი ნ ა :

ე. თ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელი.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

ბანჩინება

№ას-1101-1032-2012

5 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: საარბიტრაჟო სარჩელზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

აღწერილობითი ნაწილი:

სს „ბ. ბ-ის“ წარმომადგენელმა ლ. ც-ემ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვა ყადაღის დადება მოპასუხე ჯ. ა-ის უძრავ ქონებაზე მდებარე: ხელვაჩაური, სოფელი კ-ი, საკადასტრო კოდი: ..., ფართობი 800 კვ.მ, მასზე განლაგებული 285,5 კვ.მ ნაგებობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 აგვისტოს განჩინებით სს „ბ. ბ-ის“ წარმომადგენლის ლ. ც-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ჯ.ა-ს (პირადი №...) აკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ხელვაჩაური, სოფელი კ-ი, საკადასტრო კოდი: ..., ფართობი 800 კვ.მ, მასზე განლაგებული 285,5 კვ.მ ნაგებობა) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ შპს „სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ 2012 წლის 9 აგვისტოს დადგენილებით წარმოებაში იქნა მიღებული სს „ბ. ბ-ის“ საარბიტრაჟო პრეტენზია მოპასუხეების ჯ.ა-სა და გ. ა-ის მიმართ. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებული გარემოების გათვალისწინებით, დავის საგანი საჭიროებდა დაცვას, რადგან მოპასუხის მიერ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისების შემთხვევაში სს „ბ. ბ-ი“ ვერ განახორციელებდა მოპასუხისაგან თანხის მიღებას და უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებდა ან შეუძლებელს გახდიდა საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული შესაძლო გადაწყვეტილების აღსრულებას. ვინაიდან ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დასტურდებოდა, რომ ქონება წარმოადგენდა მოპასუხე ჯ. ა-ის საკუთრებას, ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ არსებობდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წანამძღვრები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 აგვისტოს განჩინებზე საჩივრები წარადგინეს ჯ. ა-მა და თ. თ-ემ და მოითხოვეს მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ ზემოაღნიშნული უძრავი ქონება თანასაკუთრება იყო და იგი არ წარმოადგენდა მხოლოდ ჯ. ა-ის საკუთრებას, რის დასადასტურებლადაც საჩივრებს თან დაურთეს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 აგვისტოს განჩინებით ჯ. ა-სა და თ. თ-ის საჩივრები არ დაკმაყოფილდა და საქმე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის შესაბამისად, გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ჯ.ა-სა და თ. თ-ის საჩივრების საფუძველების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემომწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოცემული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356¹² მუხლის 1-ლი ნაწილით არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესებით, ხოლო, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებს სასამართლო განიხილავს მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამავე კოდექსის 356¹⁸ მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისას, საარბიტრაჟო მოსარჩელის განცხადების საფუძველზე, სასამართლო უფლებამოსილია, საარბიტრაჟო სარჩელის მიმართ გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიებები. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფისა და დაკავშირებით გამოიყენება ამ კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები, გარდა 192-ე მუხლისა და 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, იმისათვის რომ დაკმაყოფილდეს მოთხოვნა, სასამართლოს განცხადების დასაბუთების საფუძველზე უნდა შეექმნას მყარი შინაგანი რწმენა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გამოყენებლობა შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილით კანონმდებელი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის მტკიცების ტვირთს განმცხადებელს აკისრებს, თუმცა ადგენს, რომ სასამართლოს სწორედ საქმის მასალებისა და მხარის არგუმენტების ანალიზის საფუძველზე უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ უზრუნველყოფილ იქნას სარჩელი. რაც შეეხება მტკიცების ტვირთს, დასახელებული ნორმა განსაზღვრავს, რომ მხარემ უნდა მიუთითოს იმ სავარაუდო და მოსალოდნელ გარემოებაზე, რაც რეალურად გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხებისა თუ შეუძლებლობის წინაპირობა გახდება. ამასთან, აღნიშნულის სწორად გადაწყვეტის წინაპირობა სწორედ უზრუნველყოფის ღონისძიების მართებულობის, მხარეთა ინტერესების შესაძლო შელახვისა და მოთხოვნის საფუძვლიანობის წინაპირობების ურთიერთშეჯერება და ერთობლივად განხილვა-გადაწყვეტაა. განმცხადებელი ვალდებულია, სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებაში მიუთითოს არა მარტო იმაზე, თუ რომელი ღონისძიების გატარება სურს, არამედ იმაზეც, თუ რატომაა აუცილებელი მის მიერ მითითებული ღონისძიების გატარება.

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელმა მოითხოვა ყადაღის დადება მოპასუხე ჯ. ა-ის უძრავ ქონებაზე მდებარე: ხელვაჩაური, სოფელი კ-ი, საკადასტრო კოდი: ..., ფართობი 800 კვ.მ, მასზე განლაგებული 285,5 კვ.მ ნაგებობით.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში მიითითებულ დასაბუთებას, რომ ვინაიდან საქმეში არსებული და, ასევე, საჩივრების ავტორების მიერ წარმოდგენილი ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან დასტურდება ჯ. ა-ის საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე მდებარე: ხელვაჩაური, სოფელი კ-ი, საკადასტრო კოდი: ..., ფართობი 800 კვ.მ, მასზე განლაგებული 285,5 კვ.მ ნაგებობით. შესაბამისად, არსებობდა საარბიტრაჟო დავის განხილვამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით სწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის დანაწესი, რადგან, განსახილველ შემთხვევაში, და სწორად დააკმაყოფილა განმცხადებელ სს „ბ. ბ-ის“ წარმომადგენელ ლ. ც-ის განცხადება უზრუნველყოფის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ ხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე, 197¹ მუხლის მე-4 ნაწილით, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

ჯ. ა-სა და თ. თ-ის საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 აგვისტოსა და 2012 წლის 20 აგვისტოს განჩინებები;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა

განჩინება

№ა-645-ბ-4-2012

22 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

განმცხადებლის მოთხოვნა: სასამართლოსაგან ნებართვის მიღება სასამართლოს სადებოზიტო ანაგარიშზე თანხის განთავსების უზრუნველსაყოფად.

აღწერილობითი ნაწილი:

ლაგოდეხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ს. ლ-ეს ვ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 4666 ლარის გადახდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. ლ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 მარტის განჩინებით ს. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ლაგოდეხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივნისის განჩინებით ს. ლ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 მარტის განჩინებაზე განუხილველად იქნა დატოვებული ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

2011 წლის 15 აგვისტოს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა ს. ლ-ემ. განმცხადებელმა მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივნისის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ნოემბრის განჩინებით განმცხადებელს უარი ეთქვა საქმის წარმოების განახლების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

2012 წლის 15 თებერვალს ს. ლ-ემ განცხადებით განმეორებით მომართა საკასაციო სასამართლოს, მოითხოვა უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 21 ნოემბრის განჩინების გაუქმება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო და საქმის წარმოების განახლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 თებერვლის განჩინებით ს. ლ-ის განმცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

2012 წლის 21 მარტს ს. ლ-ემ საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა განცხადება, რომლითაც იგი ითხოვს, რომ სასამართლომ მისცეს უფლება, ისარგებლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებით და მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა, 4666 ლარი, საკასაციო საჩივრის განხილვამდე განათავსოს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე. განმცხადებლის განმარტებით, მისი კუთვნილი ანგარიშიდან თანხის გადარიცხვას სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე ესაჭიროება უზენაესი სასამართლოს თანხმობა, ვინაიდან მისი ანგარიში დაყადაღებულია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, განცხადების საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განმცხადებლის მოთხოვნას წარმოადგენს, რომ სასამართლომ ნება დართოს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა, რომელიც იმყოფება განმცხადებლის დაყადაღებულ ანგარიშზე, განათავსოს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე მისი განცხადების განხილვის დასრულებამდე. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განმცხადებელი უთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის არც ერთი ნორმა, მათ შორის, არც 196-ე მუხლი არ ითვალისწინებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაუშვებთ, რომ განმცხადებლის მოთხოვნას წარმოადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლა, მაინც არ არსებობს ზემოხსენებული ნორმის გამოყენების წინაპირობა. კერძოდ, მითითებული ნორმა არეგულირებს სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის საკითხს. ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია მხარეთა თხოვნით სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესაძლებლობა, მე-2 ნაწილი დასაშვებად მიიჩნევს სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის საკითხის განხილვას საქმის ყველა სტადიაზე, ხოლო მე-3 ნაწილის თანახმად, ფულადი თანხების გადახდებიანების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფისას მოპასუხეს შეუძლია მიღებულ უზრუნველყოფის ღონისძიებათა ნაცვლად მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა შეიტანოს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული საპროცესო ნორმის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების არსებობა, ვინაიდან მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი, რომ სასამართლომ იმსჯელოს სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესაძლებლობაზე. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არ მოიპოვება სასამართლოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლის საკითხზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ს. ლ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდეს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა

განჩინება

№ას-22-20-2013

7 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: სარჩელი უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 6 აპრილს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადებით მიმართა ა. ი. ო-ის წარმომადგენელმა მ. მ-ამ და მოითხოვა ა. ა-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება. განმცხადებლის განმარტებით, ა. ი. ო-ის ა. ა-ეს ხელწერილის მიხედვით უნდა გადაეხადა 30000 აშშ დოლარი. მოპასუხეს ხელწერილით გათვალისწინებული პირობა დღემდე არ შეუსრულებია, რის გამოც აპირებს სარჩელის აღძვრას ა. ა-ის მიმართ თანხის დაბრუნების მოთხოვნით. იმის გამო, რომ არსებობს საშიშროება იმისა, რომ ა. ა-ე გაასხვისებს მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, რაც ხელს შეუშლის გადაწყვეტილების აღსრულებას, შესაბამისად, განმცხადებელმა მოითხოვა სარცელის აღძვრამდე ა. ა-ის უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 7 აპრილის განჩინებით ა.ი.ო-ის წარმომადგენელ მ. მ-ას განცხადება დაკმაყოფილდა, ყადაღა დაედო ა. ა-ის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას მდებარე: ქ. ქუთაისი, გ. ტ-ის ქ. მე-4 ჩიხის №6 (მინის საკადასტრო კოდი №...), ქ. ქუთაისში ჩ-ის ქ. №37-ის მე-3 შესახვევის №2-ში (ფართი 57,96 კვ.მ. საკადასტრო კოდი №...), ქ. ქუთაისში ჩ-ის ქ. №37, მე-3 შესახვევის №2-ში (ფართი 92,81 კვ.მ საკადასტრო კოდი №...).

ა.ი.ო-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ა.ა-ის მიმართ და მოითხოვა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თანხის დაკისრება შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელემ ა. ა-ეს სესხის სახით გადასცა 30000 აშშ დოლარი, რაც დასტურდება 2008 წლის 22 სექტემბრის ხელწერილით. მოპასუხემ ივალდებულა ნასესხები თანხის გადახდა გრაფიკით. აღნიშნული გრაფიკის მიხედვით მან გადაიხადა 3500 აშშ დოლარი, რაც აღნიშნულია სესხის ხელწერილზე და დადასტურებულია ხელმოწერით. ა. ა-ეს ვალდებულება უნდა შეესრულებინა 2009 წლის 1 დეკემბრამდე, რაც არ განხორციელებულა.

მოპასუხე ა. ა-ემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და ამასთან, შეგებებული სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა 2008 წლის 22 სექტემბრის ხელშეკრულების ბათილად ცნობა შემდეგი დასაბუთებით: სესხის ხელწერილი დანერგილი იყო იმ მიზნით, რომ მას რაიმე იურიდიული შედეგი არ მოჰყოლოდა. ა. ა-ეს მოსარჩელესთან ჰქონდა მეგობრული დამოკიდებულება და იგი ამავდროულად იყო მისი ბიზნესპარტნიორი. ა. ო-მა მას სთხოვა, დაეწერა სესხის აღების ხელწერილი, ვინაიდან, მოსარჩელეს ჰქონდა თურქეთის რესპუბლიკაში ვალი, ის თავის კრედიტორებს აჩვენებდა მსგავსი შინაარსის ხელწერილს და ცოტა ხნით შეაჩერებდა მათ მოთხოვნებს. ა.ო-ს ხელწერილში მითითებული თანხა ა. ა-ის არასდროს გადაუცია, რის გამოც, მოპასუხეს არ გააჩნია თანხის დაბრუნების ვალდებულება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა. ი. ო-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე ა. ა-ეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 26500 დოლარის ანაზღაურება. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ა-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. ა-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ი. ო-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 21 ივლისის განჩინებით ა. ი. ო-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ა-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა ა.ი.ო-მა და მოითხოვა მისი გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 სექტემბრის განჩინებით ა.ი.ო-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2012 წლის 17 ოქტომბერს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში დავის განხილვისას ა. ა-ემ განცხადებით მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა და მისი კუთვნილი 1613 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 500 კვ.მ-ის ყადაღისაგან გათავისუფლება იმ საფუძველით, რომ სასამართლოს მიერ დაყადაღებული, მის საკუთრებაში ასრებული უძრავი ქონების საერთო საბაზრო ღირებულება დაახლოებით 200000 აშშ დოლარი, ხოლო დავის საგანს წარმოადგენს 30000 აშშ დოლარი. დღეისთვის ფირმა „ა. ჯ-ს“, რომლის 100%-ის წილის მფლობელიც თავად გახლავთ, აქვს საბანკო დავალიანება 100000 აშშ დოლარი. იმის გამო, რომ ვერ ახესრულებს საკუთარი ქონების რეალიზაციით ბანკის დავალიანების დაფარვას, იძულებულია კვლავ აიღოს სესხი. ამაჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს საფინანსო ორგანიზაცია „სოლო კრედიტან“, რომელიც ეწევა სალომბარდო საქმიანობას და თანახმაა მას მისცეს სესხი, თუმცა ეს შესაძლებელია მხოლოდ მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთიდან, არაუმცირეს 500 კვ.მ მიწის ფართობის იპოთეკით დატვირთვის შემთხვევაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 29 ნოემბრის განჩინებით ა. ა-ის შუამდგომლობა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 7 აპრილის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც გაასაჩივრა ა. ა-ემ და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძვლით, რომ მისი შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, არანაირად არ ილახება მოსარჩელის ინტერესი. აუდიტის დასკვნა არის ის მტკიცებულება, რომელიც მოსარჩელეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნის დროს არ წარმოუდგენია, რითაც მისი საკუთრების უფლება იმთავითვე შეიზღუდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 26 დეკემბრის განჩინებით ა. ა-ის საჩივარი ამავე სასამართლოს 2012 წლის 29 ნოემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო და საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა ა. ა-ის საჩივარი და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებაზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანი მოსარჩელის ინტერესებს ემსახურება და ადგენს მყარ გარანტიას იმისა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს გადაწყვეტილების აღსრულება. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შესაძლოა დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლა. სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის საკითხი დასაშვებია საქმის განხილვის ყველა სატადიაზე. დასახელებული ნორმა ადგენს საპროცესო სუბიექტთა უფლებას, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მიმართონ სასამართლოს შუამდგომლობით და მოითხოვონ უკვე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების შეცვლა სხვა ღონისძიებით.

კანონმდებელი ასეთ ცვლილებას დასაშვებად თვლის, როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხე მხარის მოთხოვნით და მისი სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო პროცესის სუბიექტთა ინტერესების სრულყოფილი დაცვა და მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებაა. ამასთან, უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე დასაშვებია არა იმიტომ, რომ გაჭიანურდეს საქმის განხილვა, არამედ, სამოქალაქო ბრუნვის თავისებურებიდან გამომდინარე, კანონმდებელი გონივრულად ვარაუდობს, რომ უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შესაძლო უარყოფითი შედეგები დასაშვებია, გამოვლინდეს საქმის განხილვის ამა თუ იმ ეტაპზე, ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განმტკიცებული დისპოზიციურობის პრინციპის მსგავსად, მხარე თავად წყვეტს, თუ როდის მოითხოვოს აღნიშნული ცვლილების განხორციელება სასამართლოს მიერ და, მიუხედავად იმისა, ადგება თუ არა მას ზიანი უზრუნველყოფის თავდაპირველი ღონისძიების დაწესების ეტაპზევე, მას ამ ღონისძიების შეცვლის მოთხოვნის უფლება ენიჭება საკუთარი დისკრეციის ფარგლებში, როდესაც საჭიროდ ჩათვლის.

განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ, მითითებული მუხლის საფუძველზე, მართებულად არ დააკმაყოფილა ა. ა-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა.ი.ო-ის წარმომდგენელ მ. მ-ას სარჩელი, რომლის უზრუნველსაყოფადაც, ყადაღა დაედო ა. ა-ის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას მდებარე: ქ. ქუთაისი, გ. ტ-ს ქ. მე-4 ჩიხის №6 (მინის საკადასტრო კოდი №...), ქ. ქუთაისში ჩ-ის ქ. №37-ის მე-3 შესახვევის №2-ში (ფართი 57,96 კვ.მ. საკადასტრო კოდი №...), ქ. ქუთაისში ჩ-ის ქ. №37, მე-3 შესახვევის №2-ში (ფართი 92,81 კვ.მ. საკადასტრო კოდი №...), დაკმაყოფილდა და ა.ა-ეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 26 500 აშშ დოლარი.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ფიზიკური პირის – ა. ა-ის თანხის დაკისრება. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მასზე, რომ ა-ის მოთხოვნა იმ საფუძვლით, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების ნაწილობრივ შეცვლა მიმართულია უზრუნველყოფილი ქონებიდან საგნის ამორიცხვისკენ, რათა ამ ქონებით შეასრულოს შპს „ა. ჯ-ის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლის დირექტორია გ. ა-ე, ხოლო 100% წილის მქონე პარტნიორი ა. ა-ე, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ემსახურება არა ფიზიკური პირის – ა. ა-ის, არამედ შპს „ა. ჯ-ის“ უფლებების დაცვას საკრედიტო ურთიერთობაში, რაც ეწინააღმდეგება სარჩელი-

სა და გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის სამართლებრივ მიზანსა და დანიშნულებას. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მასზე, რომ თავისი შუამდგომლობის დაკმაყოფილებით არ ილაზება მოსარჩელის ინტერესი დაუსაბუთებელია. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა ა.ი.ო-ის სარჩელის ა. ა-ის თანხის დაკისრების თაობაზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის განჩინებით შევიდა კანონიერ ძალაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ა. ა-ის კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლით, 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ა. ა-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 დეკემბრის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფით გამონაკლისი ზიანის ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-1338-1263-2012

15 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ბმ „დ-ის“ 2007 წლის 28 დეკემბრის №3 და 2008 წლის 8 ივლისის №9 კრების ოქმების ბათილად ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

ი. ზ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „დ-ისა“ და მ. წ-ის მიმართ ამხანაგობის 2007 წლის 28 დეკემბრის №3 და 2008 წლის 8 ივლისის №9 კრების ოქმების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით ი. ზ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „დ-ის“ 2008 წლის 8 ივლისის №9 კრების ოქმი, რომლითაც მ. წ-ს საკუთრებაში გადაეცა ქ.თბილისში, ვ.ფ-ს გ-ის 51-ის №7 კორპუსში მდებარე 75.44 კვ.მ სხვენი, ი. ზ-ის მოთხოვნა მ. წ-ისათვის ქ.თბილისში, ვ.ფ-ს გ-ის №51-ის №7 კორპუსში მდებარე 106.410 კვ.მ სხვენის საკუთრებაში გადაცემის შესახებ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „დ-ის“ 2007 წლის 28 დეკემბრის №3 კრების ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ამავე გადაწყვეტილებით მხარეთა შორის განაწილდა სასამართლო ხარჯები.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. წ-მა, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ი. ზ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, წარადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 193-ე, 198-ე მუხლების შესაბამისად, მოითხოვა მ. წ-ის საკუთრებაში არსებული 181,85 კვ.მ სხვენიდან 75,44 კვ. მეტრისათვის ყადაღის დადება იმ საფუძველით, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის შემთხვევაში არსებობდა საშიშროება, რომ მოპასუხე მის სახელზე რეგისტრირებული სხვენის ფართს სხვა პირის საკუთრებად აღრიცხავდა, ასეთ შემთხვევაში შემძენი კეთილსინდისიერი აღმოჩნდებოდა, ხოლო გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი გახდებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ივლისის განჩინებით ი. ზ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა, დაედო ყადაღა ქ.თბილისში, ვ.ფ-ს გ-ის №51-ის №7 კორპუსში მდებარე მ. წ-ის სახელზე რიცხული 181,85 კვ. მეტრი ქონებიდან 75,44 კვ. მეტრს. სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის, 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 193-ე მუხლისა და 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საფუძვლიანად მიიჩნია ი. ზ-ის განცხადება გადაწყვეტილების შემდგომი აღსრულებისათვის საფრთხის შექმნის თაობაზე.

აღნიშნულ განჩინებაზე საჩივარი შეიტანა მ. წ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება ან ი. ზ-ისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების დაკისრება შემდეგი საფუძვლებით:

განსახილველი დავის საგანს წარმოადგენს ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობა და არა სხვენში მონყობილი მანსარდის საკუთრებაში გადაცემა, რის გამოც დავა არაქონებრივია და სწორედ ამიტომ არ მოხდა პირველ ინსტანციაში უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება, რაც შეეძლო მოეთხოვა მხარეს კანონით გათვალისწინებული წესით. ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობა მოსარჩელეს მხოლოდ ამხანაგობისათვის ხელახალი კრების ჩატარებისა და მისთვის ამ ფართის მიკუთვნების მოთხოვნის უფლებას მიანიჭებს, შესაბამისად, სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერანაირი გადაწყვეტილება მოცემული დავის ფარგლებში სადავო ფართის, რომელიც მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული მოპასუხის მიერ, მოსარჩელისათვის გადაცემას ვერ უზრუნველყოფს. დავის საგნის გათვალისწინებით, უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება, არ არის ამ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიება, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 5 ივლისის განჩინება უნდა გაუქმდეს. მიუხედავად იმისა, თუ რა გადაწყვეტილებას მიღებს სააპელაციო სასამართლო, ქონებაზე ყადაღის დადება ვერ იქნება მიჩნეული უზრუნველყოფის ღონისძიების ზომად, ვინაიდან, გადაწყვეტილებით მხარეს მხოლოდ ფართის გადაცემის თხოვნით ამხანაგობისათვის მიმართვის უფლების მოპოვება შეუძლია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის თანახმად, მხარე ვალდებული იყო სათანადოდ დაესაბუთებინა შუამდგომლობა, მოცემულ შემთხვევაში, შეუძლებელია უშუალო კავშირის დადგენა უზრუნველყოფის ღონისძიებასა და კრების ოქმს შორის, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი, არსებულ უფლებაში აღდგება თავად ამხანაგობა და არა ი. ზ-ი. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მსჯელობიდანვე გამომდინარეობს, რომ ამხანაგობის თანასაკუთრების ფართის გადაცემისათვის საჭირო იყო ამხანაგობის ყველა წევრის თანხმობა. აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, არ იქმნება არანაირი გარანტია, რომ კრების ოქმის ბათილად ცნობის შემთხვევაშიც კი, მოსარჩელე მიიღებს სადავო ფართს. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ასევე არ გამოძინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მოთხოვნებიდან, ამასთანავე, ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებაში სააპელაციო სასამართლომ საცვებით მართებულად მიუთითა, რომ დავა არაქონებრივი ხასიათისაა, რაც მეტყველებს ყადაღის დადების უსაფუძვლობაზე. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინების ძალაში დატოვების შემთხვევაში საჩივრის ავტორმა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვა მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 სექტემბრის განჩინებით მ. წ-ის საჩივარი ამავე სასამართლოს 2012 წლის 5 ივლისის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოსაზრება დავის არაქონებრივად მიჩნევის თაობაზე. პალატის განმარტებით, საპროცესო მოთხოვნა განხილულ უნდა იქნეს ქონებრივ-სამართლებრივად იმ შემთხვევაში, როცა მას ქონებრივი ხასიათის სამართლებრივი ურთიერთობა უდევს საფუძვლად, მიუხედავად იმისა, თუ რა სახის სარჩელი იქნა სასამართლოში წარდგენილი. ქონებრივ-სამართლებრივი ურთიერთობა არის ყველა ის ურთიერთობა, რომლის მიზანს წარმოადგენს მოგების მიღება ფულადი თანხით. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია ამხანაგობის კრების ოქმი, რომლითაც მ. წ-ს საკუთრებაში გადაეცა ქ.თბილისში, ვ-ფ-ს გ. №51-ის №7 კოპრუსში მდებარე 75.44კვ.მ სხვენი. მხარეთა მოთხოვნის სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, ნათელია, რომ მოსარჩელის ინტერესი მატერიალური უფლებების აღდგენისაკენ – ქონებრივი უფლების მოპოვებისკენაა მიმართული და, შესაბამისად, განსახილველი დავა ქონებრივი ხასიათისაა. შესაბამისად, მიხედვით იმისა, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გადაწყვეტილების რეალური აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების საშუალებაა, რომელიც ფიზიკურ და იურიდიულ პირთა დარღვეული უფლების აღდგენის გარანტიაა და ემსახურება ამ უფლების დაცვას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მნიშვნელობა ისაა, რომ ეს ღონისძიება მოსარჩელის კანონიერ ინტერესს იცავს მოპასუხის არაკეთილსინდისიერებისაგან. ყოველგვარი აზრი ეკარგება უფლების ნებისმიერ დონეზე აღიარებას, თუკი ამ უფლების რეალიზება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გზით ვერ განხორციელდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ დაასკვნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფა სასამართლოს დროებითი ღონისძიების იმ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს, რომელიც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურების ან მისი აღუსრულებლობის თავიდან აცილებას ემსახურება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა შესწავლისა და მ. წ-ის საჩივრის საფუძვლიანობის ანალიზის შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი დაუსაბუთებელია და არ ქმნის გასაჩივრებელი განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების წინაპირობებს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივრი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. ამავე კო-

დექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით, ხოლო 410-ე მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

განსახილველი საქმის მასალებით დასტურდება და ამას არც საჩივრის ავტორი ხდის სადავოდ, რომ ი. ზ-ის სარჩელის საგანს წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „დ-ის“ 2007 წლის 28 დეკემბრისა და 2008 წლის 8 ივლისის კრების ოქმების ბათილად ცნობა. სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ სწორედ ეს კრების ოქმები გახდა მოპასუხის მიერ სადავო ფართზე უფლების მოპოვების საფუძველი. დადგენილია, რომ მოსარჩელე და მოპასუხე ამავე ამხანაგობის წევრები არიან, ასევე დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით, რომელიც სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში კანონიერ ძალაში არ არის შესული, ი. ზ-ის მოთხოვნა ნაწილობრივ, 75,44 კვ.მ სხვენის ნაწილში დაკმაყოფილდა, შესაბამისად, ამ ნაწილში გაუქმდა სადავო კრების ოქმი. უდავოა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით ი. ზ-მა მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და განცხადებას დაურთო საკუთრების უფლების დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება – საჯარო რეესტრის ამონაწერი, ხოლო მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველად მიუთითა მოპასუხის მიერ სადავო ფართის გასხვისების შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობის თაობაზე, ასევე უდავოა ის გარემოება, რომ სასამართლოსათვის განცხადებით მიმართვამდე უფლების რაიმე აკრძალვა ან შეზღუდვა მოპასუხის საკუთრებად რიცხულ უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული არ ყოფილა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით ი. ზ-ის განცხადება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მოთხოვნას წარმოადგენს, საყურადღებოა, რომ ეს გარემოება მხარეთა შორის დავას არ ინვესს, უფრო მეტიც, საქმეში წარმოდგენილი საჩივრით მ. ნ-ი სადავოდ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის სახედ ქონებაზე ყადაღის დადების მართებულობას ხდის სადავოდ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად. ამავე კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად კი, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე. განცხადებას, რომლითაც პირი ითხოვს უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, უნდა დაერთოს ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება. დასახელებულ ნორმაში, მართალია, საუბარია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ზოგად წესზე, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მისი რეგულირების ფარგლებში მოქცეულია ასევე გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის საკითხის გამორკვევაც, ამავდროულად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია მხარის მიერ იმ შესაძლო რისკის გონივრულ დასაბუთებაზე, ამ ღონისძიების გაუტარებლობა თუ რამდენად შეუძლის ხელს მართლმსაჯულების მიზნების განხორციელებას – ქვეყნის სახელით მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას.

განსახილველ შემთხვევაში, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მოთხოვნას განმცხადებელი ამყარებდა იმ ვარაუდზე, რომ მოპასუხის მიერ ფართის გასხვისებით შეუძლებელი გახდებოდა გადაწყვეტილებით დადგენილი უფლებით რეალურად სარგებლობა, აღნიშნული მოსაზრება, საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერთან ერთობლიობაში, სწორედ იმ გონივრულ ვარაუდს ქმნის, რაც გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობას აყენებს რისკის ქვეშ, ამასთანავე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მხოლოდ ვარაუდს ემყარება და ის არანაირ გავლენას საბოლოო გადაწყვეტილებაზე არ ახდენს, ამასთანავე, უზრუნველყოფის ღონისძიების მართებულობა უნდა იქნას დადასტურებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით დადგენილი წესით და არა 215-ე მუხლის შესაბამისად, როგორც ამას საჩივრის ავტორი მიიჩნევს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება სასამართლოს მხრიდან გატარებული დროებითი ღონისძიების სახეა, რომელიც მართლმსაჯულების შედეგის – გადაწყვეტილებით დადგენილი უფლების რეალიზაციის სარწმუნო წინაპირობას წარმოადგენს, რაც შეეხება უზრუნველყოფის სახის გამოყენებას, საკასაციო პალატა ასევე ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და თვლის, რომ სასამართლომ განმცხად-

დებლის მოთხოვნის ფარგლებში მართებულად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პრეტენზიას დავის არაქონებრივად მიჩნევისა და ამ მოტივით უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ. ამ მიმართებით საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებაზე: როგორც უკვე აღინიშნა, წინამდებარე დავის საგანი ამხანაგობის წევრთა თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე ამხანაგობის წევრის მიერ საკუთრების მოპოვებელი დოკუმენტის ბათილად ცნობაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა სავსებით ეთანხმება საჩივრის ავტორის განმარტებას, რომ სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი შედეგი არა მოსარჩელისათვის სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვება, არამედ, ქონებასთან მიმართებაში ამხანაგობის უფლებრივი მდგომარეობის აღდგენა იქნება, თუმცა პალატა შენიშნავს, რომ დასახელებული მსჯელობა დავის არაქონებრივად მიჩნევის წინაპირობაა არაა. როგორც თავად საჩივრის ავტორიც განმარტავს, კრების ოქმის ბათილად ცნობით მოსარჩელეს მხოლოდ ამხანაგობისათვის მიმართვის უფლება წარმოეშობა, რაც თავისთავად ადასტურებს მის ქონებრივ ინტერესს დავის საგნის მიმართ, ანუ აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესი უფლებრივია, ასევე, ქონებაზე უფლების მოუპოვებლობის შემთხვევაშიც კი, ქონებრივი დავის ნიშნების არსებობაზე მიუთითებს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი, რომლის 1-ლი და მე-3 პუნქტების თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების შემადგენელი მიწის ნაკვეთი, სახლის ნაწილი და ის შენობა-ნაგებობები, დანადგარები, საინჟინრო ქსელები, მოწყობილობები, რომლებიც არ არის ინდივიდუალური საკუთრება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას (საერთო საკუთრებას) წარმოადგენს. მესაკუთრის წილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში განისაზღვრება მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის შეფარდებით მრავალბინიანი სახლის ბინათა საერთო ფართობთან, აღნიშნული კი მოსარჩელეს საერთო საკუთრების ქონებიდან მისი კუთვნილი წილის პროპორციულად წარმოუშობს ზემოხსენებული ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ უფლებამოვალუბებს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ასევე ი. ზ-ის სარჩელის ფაქტობრივი დასაბუთება, სადაც მხარე განმარტავს, რომ სადავო სხვენი მისი ინდივიდუალური საკუთრების ფართის – ბინის თავზე მდებარეობს და მის მფლობელობაშია. მოსარჩელე აპირებდა სხვენის პრივატიზებას, რა დროსაც მისთვის ცნობილი გახდა მოპასუხის მიერ ი. ზ-ის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული სხვენის პრივატიზების თაობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ წინამდებარე დავა სწორედ ქონებრივი ხასიათისაა, მიუხედავად იმისა, თუ რა იქნა განმარტებული ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებით (რაც საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს არ წარმოადგენს) და გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ზომად უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება არ ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს.

რაც შეეხება მ. ნ-ის მიერ მოთხოვნილ უზრუნველყოფის ღონისძიებით გამონვეული ზარალის ანაზღაურებას, საკასაციო პალატა აღნიშნულს უმართებულად მიიჩნევს, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე. დასახელებული ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებიდან გამომდინარე, მისი მოქმედება, მართალია, მხოლოდ სარჩელის უზრუნველყოფისას შეიძლება იქნას გამოყენებული, თუმცა ზარალის (ზიანის) ნეგატიური შედეგებიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ მისი გამოყენება დასაშვებია ასევე გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის საკითხის განხილვისას. ნორმის მიზნიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო თავისი ინიციატივით დაავალებს პირს მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფას, თუ ეს შედეგი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას ცხადად იკვეთება ან არსებობს რეალური საფრთხე ზიანის დადგომისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპასუხეს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა. ასეთ შემთხვევაში, საგულისხმოა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლისაგან განსხვავებით, 199-ე მუხლის 1-ლი ნაწილი არ შეიცავს მტკიცების განსხვავებულ სტანდარტს, შესაბამისად, მოსალოდნელი ზიანის სიცხადე მხარემ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი წესით უნდა ამტკიცოს.

განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი მოითხოვს რა ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფას, მას არ მიუთითებია ის კონკრეტული და რეალური საფრთხე, რაც ზიანის დადგომის შესაძლებლობაზე მიუთითებს, შემოიფარგლა მხოლოდ საკუთარ უფლებაზე მითითებით, რომ შეეძლო ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოთხოვნა, რაც ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია, ამასთანავე, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად თვლის, განმარტოს, რომ მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმა თავისთავად არ ართმევს უფლებას მოპასუხეს ზიანის დადგომის შემთხვევაში, საერთო წესის დაცვით მოახდინოს მისი დარღვეული უფლების რეალიზება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ საჩივრის ავტორმა ვერ უზრუნველყო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების უმართებულობისა და მისით უშუალო ზიანის მიყენების ფაქტის დადასტურება, რაც საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1971, 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. მ. წ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-219-205-2011 19 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ჭ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ე. გ-ის მიმართ ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ლ. ჭ-ის სარჩელი, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. გ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ნოემბრის განჩინებით ე. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. გ-მა და მოითხოვა მისი გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 2 მაისის განჩინებით მოცემული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განსახილველად დაინიშნა 2011 წლის 10 მაისს საქმის ზეპირი განხილვა.

სასამართლო სხდომაზე მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. ე. გ-ი იღებს ვალდებულებას, ლ. ჭ-ეს ამა წლის 30 ნოემბრამდე გადაუხადოს ბინის ღირებულება 18000 აშშ დოლარი.

2. თანხის გადაცემის შემდეგ ე. გ-ის სახელზე საკუთრების უფლებით აღირიცხოს ქ.თბილისში, ... დასახლებაში, ..., მე-20 კორპუსში მდებარე №20 ბინა.

3. ლ. ჭ-ე იღებს ვალდებულებას არ გაასხვისოს სადავო ბინა ამა წლის 30 ნოემბრამდე, რის უზრუნველსაყოფადც ყადაღა დაედოს ბინას;

4. 2011 წლის 30 ნოემბრამდე თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, ე. გ-ი იღებს ვალდებულებას, ბინა დაუყოვნებლივ გამოათავისუფლოს და შესაბამისად, მოიხსნას ყადაღა ქ.თბილისში, ... დასახლება ... მე-20 კორპუსში მდებარე №20 ბინაზე.

საკასაციო პალატას განცხადებით მომართა ლ. ჭ-ემ და მოითხოვა საკასაციო პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება. გამცხადებლის განმარტებით, მორიგების პირობით ნაკისრი ვალდებულება ე. გ-მა კეთილსინდისიერად შეასრულა, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი 2011 წლის 30 ნოემბრის მიღება- ჩაბარების აქტით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო განცხადებაში მითითებული გარემოებებისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ჭ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 10 მაისის განჩინებით ყადაღა დაედო ქ.თბილისში, ... დასახლება, ..., მე-20 კორპუსში მდებარე ლ. ჭ-ის სახელზე რიცხულ №20 ბინას.

საკასაციო პალატას განცხადებით მომართა ლ. ჭ-ემ და მოითხოვა საკასაციო პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება. გამცხადებლის განმარტებით, მორიგების პირობით ნაკისრი ვალდებულება ე. გ-მა შეასრულა, მას სრულად გადაუხადა მორიგების პირობით ნაკისრი ვალდებულება, რაც დასტურდება თანხის მიღება-ჩაბარების აქტით.

საქმეში წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტი, საიდანაც ირკვევა, რომ ე. გ-მა მორიგების პირობით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა, ლ. ჭ-ეს გადაუხადა 18 000 აშშ დოლარი, რასაც თავად განმცხადებელიც ადასტურებს.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინებით განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საფუძველი აღარ არსებობს, რის გამოც განმცხადებლის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 199¹ მუხლებით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა :

ლ. ჭ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინებით ქ.თბილისში, ... დასახლების, ..., მე-20 კორპუსში მდებარე ლ. ჭ-ის სახელზე რიცხულ №20 ბინაზე დადებული ყადაღა.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-802-751-2010 21 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ი-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში კ. ი-ისა და ლ. ს-ას მიმართ გარდაცვლილ კ. ი-ის მემკვიდრეების, კ. ი-ისა და ლ. ს-ასათვის, ზიანის – 40000 აშშ დოლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. ი-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს, ლ. ს-ასა და კ. ი-ს, მოსარჩელე ა. ი-ის სასარგებლოდ დაეკისრა 40 000 აშშ დოლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს კ. ი-მა და ლ. ს-ამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 17 ივნისის განჩინებით კ. ი-ისა და ლ. ს-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს კ. ი-მა და ლ. ს-ამ და მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

მხარეები შეთანხმდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე ა. ი-ი უარს იტყვის სარჩელზე, ლ. ს-ა და კ. ი-ი ვალდებულებას იღებენ, ნაწილ-ნაწილ, 10 თვის განმავლობაში, ანუ 2011 წლის 31 დეკემბრამდე, გადაუხადონ მოსარჩელს 25000 აშშ დოლარი შემდეგი თანმიმდევრობით:

– 2011 წლის 15 სექტემბრამდე 10 000 აშშ დოლარი;

– 2011 წლის 31 დეკემბრამდე 15 000 აშშ დოლარი;

ამასთან, ა. ი-ი, თავის მხრივ, ვალდებულებას იღებს, არ იდავოს მომავალში ქ.თბილისში, რ-ის ქ. №36-ში მდებარე უძრავი ქონებიდან გამომდინარე ყველანაირი სახის ზიანზე, მათ შორის სარდაფზე.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ სარჩელზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა რჩება ძალაში ამ მორიგებით ნაკისრი ვალდებულების სრულ შესრულებამდე.

საკასაციო პალატას განცხადებით მომართა ლ. ს-ამ და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება. გამცხადებლის განმარტებით, მორიგების პირობით ნაკისრი ვალდებულება მის მიერ შესრულებულია, რაც დასტურდება 2011 წლის 15 სექტემბერს და 31 ოქტომბერს სს „... ბანკის“ მიერ განხორციელებული გადარიცხვის ქვითრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო განცხადებაში მითითებული გარემოებებისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ს-ას განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ნოემბრის განჩინებით ა. ი-ის განცხადება დაკმაყოფილდა, ყადაღა დაედო ქობულეთში, ... 1/2 მიწის ნაკვეთს და საცხოვრებელ სახლს მთლიანად 160 კვ.მ (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №...), რომლის მესაკუთრეა ლ. ს-ა (პირადი ნომერი ...) უძრავ ქონებას – მიწის ნაკვეთს, (საკადასტრო კოდით ... დაუზუსტებული ფართობი 0,15ჰა), რომელიც გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურში ირიცხება კ. ი-ის (პირადი ნომერი ...) საკუთრებად.

აღნიშნული დავის საკასაციო წესით განხილვისას 2011 წლის 22 თებერვალს მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცების შესახებ. მხარეთა აღნიშნული შუამდგომლობა საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2009 წლის 22 თებერვლის განჩინებით დაკმაყოფილდა. მხარეთა შორის დამტკიცებული მორიგების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებამდე ლ. ს-ას მიერ მხარეთა შორის მორიგების აქტით შეთანხმებული თანხის გადახდა.

საკასაციო პალატას განცხადებით მომართა ლ. ს-ამ და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება. გამცხადებლის განმარტებით, მორიგების პირობით ნაკისრი ვალდებულება მის მიერ შესრულებულია, ა. ი-ს გადაურიცხა 25 000 აშშ დოლარი, რაც დასტურდება სს „... ბანკის“ მიერ განხორციელებული გადარიცხვის ქვითრებით.

საქმეში წარმოდგენილია ლ.ს-ას მიერ ა. ი-ის სახელზე 25000 აშშ დოლარის გადახდის ქვითრები. სატელეფონო შეტყობინებით ა. ი-ს ეცნობა ლ. ს-ას განცხადების თაობაზე. სატელეფონო შეტყობინებისას ა. ი-მა საკასაციო პალატის 2010 წლის 22 თებერვლის მორიგების განჩინებით განსაზღვრული თანხის მიღების ფაქტი დაადასტურა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საფუძველი აღარ არსებობს, რის გამოც განმცხადებლის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 199¹ მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ლ. ს-ას განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ნოემბრის განჩინებით დადებული ყადაღა ქობულეთში, ... 1/2 მიწის ნაკვეთზე და საცხოვრებელ სახლზე მთლიანად 160 კვ.მ (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №...), რომლის მესაკუთრეა ლ. ს-ა (პირადი ნომერი ...) უძრავ ქონებაზე – მიწის ნაკვეთზე, (საკადასტრო კოდით ...დაუზუსტებული ფართობი 0,15ჰა), რომელიც გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურში ირიცხება კ. ი-ის (პირადი ნომერი ...) საკუთრებად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

განმცხადებელთა მოთხოვნა: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 სექტემბრის განჩინებით, ერთის მხრივ, ჯ. ბ-ურს, ხოლო მეორეს მხრივ, თ. ქ-ძეს, თ., ლ. და კ. მ-ძეებს შორის დამტკიცდა მორიგება და საქმეზე შეწყდა წარმოება მორიგების დამტკიცების გამო. მორიგების პირობების თანახმად, კ. მ-ძე, თ. ქ-ძე, ლ. და თ. მ-ძეები იღებენ ვალდებულებას, რომ ჯ. ბ-ურს 2011 წლის 28 თებერვლამდე გადაუხადონ 25 000 აშშ დოლარი; ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ანუ ამ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში კ. მ-ძე, ლ. და თ. მ-ძეები და თ. ქ-ძე კისრულობენ ვალდებულებას, რომ ჯ. ბ-ურს გადაუხადონ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე 800 აშშ დოლარის ოდენობით; ჯ. ბ-ური ვალდებულებას იღებს, ხელი არ შეუშალოს მეორე მხარეს დავის პერიოდში დაყადაღებული ბინის (მისამართი: ქ.თბილისი, ... 54) გასხვისებაში, ანუ მოეხსნას ყადაღა ბინას მთლიანი თანხის მიღებისთანავე.

საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 27 სექტემბრის განჩინებაზე 2011 წლის 23 მარტს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2011 წლის 28 აპრილს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართეს თ. ქ-ძემ, ლ. და თ. მ-ძეებმა, რომლებმაც მოითხოვეს ზემოაღნიშნულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 ივლისის განჩინებით (საქმე №2/2/4675-07) მიღებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება, კერძოდ, ქ.თბილისში, ... ქ.№54-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (მინის ნაკვეთის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...) საქალაქო სასამართლოს მიერ დადებული ყადაღის მოხსნა.

შუამდგომლობის ავტორთა განმარტებით, უზენაესი სასამართლოს 27.09.2010წ. განჩინებაზე გაცემული სააღსრულებო ფურცლით (სააღსრულებო ფურცელი გაიცა 2011 წლის 23 მარტს) მათზე დაკისრებული ვალდებულებები მათ სრულად შეასრულეს. ამას ადასტურებს აღსრულების კერძო ბიუროს 2011 წლის 26 აპრილის ცნობა, რომელიც განცხადებას თან ერთვის. მიუხედავად ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ივლისის განჩინების საფუძველზე განმცხადებლების ქონებას, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისში, ... №54-ში, დღემდე ადევს ყადაღა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, განცხადების საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

განმცხადებლები მოითხოვენ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების (ყადაღის) გაუქმებას იმ საფუძველით, რომ მათ მიერ სრულად იქნა შესრულებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 სექტემბრის განჩინებით დამტკიცებული მორიგების პირობები.

საქმის მასალების თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 ივლისის განჩინებით ჯ. ბ-ურის სარჩელის უზრუნველსაყოფად ყადაღა დაედო მოპასუხეების – თ. და ლ. მ-ძეების კუთვნილ უძრავ ქონებას, კერძოდ, მინის ნაკვეთს №36/002, ფართობი – 207.00კვ.მ, სარეგისტრაციო ზონა – ქ.თბილისი – ..., სექტორი – ნაძალადევი-... კვარტალი-13 და საცხოვრებელ სახლს, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისში, ... ქ.№54-ში.

ამავე საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 სექტემბრის განჩინებით (საქმე №ას-331-308-2010), ერთის მხრივ, ჯ. ბ-ურს, ხოლო მეორეს მხრივ, თ. ქ-ძეს, თ., ლ. და კ. მ-ძეებს შორის დამტკიცდა მორიგება და საქმეზე შეწყდა წარმოება მორიგების დამტკიცების გამო. მორიგების პირობების თანახმად, კ. მ-ძე, თ. ქ-ძე, ლ. და თ. მ-ძეები იღებენ ვალდებულებას, ჯ. ბ-ურს 2011 წლის 28 თებერვლამდე გადაუხადონ 25 000 აშშ დოლარი; ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ანუ ამ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში კ. მ-ძე, ლ. და თ. მ-ძეები და თ. ქ-ძე კისრულობენ ვალდებულებას, ჯ. ბ-ურს გადაუხადონ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე 800 აშშ დოლარის ოდენობით; ჯ. ბ-ური ვალდებულებას იღებს, ხელი არ შეუშალოს მეორე მხარეს დავის პერიოდში დაყადაღებული ბინის (მისამართი: ქ.თბილისი, ... 54) გასხვისებაში, ანუ მოეხსნას ყადაღა ბინას მთლიანი თანხის მიღებისთანავე.

საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 27 სექტემბრის განჩინებაზე 2011 წლის 23 მარტს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის მიხედვით, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგების პირობების მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ქ.თბილისში, ... 54-ში მდებარე უძრავ ქონებას ყადაღა მოეხსნებოდა კრედიტორის, ჯ. ბ-ურის მიერ მოვალეთაგან მთლიანი თანხის მიღებისთანავე. განმცხადებელთა მიერ

წარმოდგენილია აღსრულების კერძო ბიუროს 2011 წლის 26 აპრილის №30/11-0259-01 ცნობა, რომლითაც ირკვევა, რომ ლ. მ-ძემ, თ. მ-ძემ, თ. ქ-ძემ და კ. მ-ძემ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 მარტის სააღსრულებო ფურცლით (საქმე №ას-331-308-2010) მათზე დაკისრებული ვალდებულება სრულად შეასრულეს 2011 წლის 5 აპრილს და სააღსრულებო ფურცლის აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული ყველა ღონისძიება გაუქმებულია.

წარმოდგენილი განცხადება, თანდართული მასალებით, გაეგზავნა მონინალმდეგე მხარე ჯ. ბ-ურს და განემარტა, რომ მას უფლება ჰქონდა გზავნილის ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში წარმოდგინა მოსაზრება განცხადებასთან დაკავშირებით. მითითებული გზავნილი ჯ. ბ-ურს ჩაბარდა 2011 წლის 5 მაისს, თუმცა მას რაიმე მოსაზრება საკასაციო სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. განსახილველ შემთხვევაში, გადაწყვეტილება, რომლის აღსრულების უზრუნველსაყოფადაც მოპასუხეთა ქონების მიმართ გამოყენებული იყო ყადაღა, აღსრულებულია. საინალმდეგო მტკიცებულება კრედიტორის მხრიდან წარმოდგენილი არ ყოფილა. შესაბამისად, დასაბუთებულია განმცხადებელთა მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹, 399-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. თ. მ-ძის, ლ. მ-ძისა და თ. ქ-ძის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 ივლისის განჩინებით (საქმე №2/2/4675-07) გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, კერძოდ, მოეხსნას ყადაღა ქ.თბილისში, ... ქ.№54-ში მდებარე უძრავ ქონებას – მიწის ნაკვეთს №36/002, ფართობი – 207.00 კვ.მ, სარეგისტრაციო ზონა – ქ.თბილისი – ..., სექტორი – ნაძალადევი-..., კვარტალი-... და საცხოვრებელ სახლს, მდებარეს ქ.თბილისში, ... ქ.№54-ში.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლო სსდომაზე გამომცხადებელი მხარის შარი საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე

განჩინება

№ას-1639-1629-2011 8 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:
მ. ზ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ქ-ისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ გ. ქ-ის უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მოითხოვეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. თელავის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით მ. ზ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით აპელანტ მ. ზ-ის მიერ საქმის განხილვაში მონაწილეობაზე უარის თქმის გამო, მისი სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 387-ე მუხლებზე, 229-ე მუხლის 1-ლსა და მე-2 ნაწილებზე, 232-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში აპელანტმა მ. ზ-მა, მიუხედავად სააპელაციო პალატის განმარტებისა, არ ისურვა საქმის განხილვაში მონაწილეობა და თვითნებურად დატოვა სსდომის დარბაზი, რაც ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე მიიჩნევა სსდომაზე გამოუცხადებლობად. პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვინაიდან აპელანტი ითვლება სსდომაზე გამოუცხადებლად (არასაპატიოდ) და მონი-

ნააღმდეგე მხარე შუამდგომლობს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას, ჩათვალა, რომ მონააღმდეგე მხარის შუამდგომლობა საფუძვლიანია და მ. ზ-ის სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. ზ-მა, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძვლებით:

2004 წლის 27 აგვისტოს გურჯაანის რაიონის გამგეობის თანხმობით გაგრძელდა იჯარის ხელშეკრულების ვადა და მ. ზ-ს უფლება მიეცა, 20 წლით გაეგრძელებინა ნ-ის კოლმეურნეობის მიერ 1993 წლის 30 მარტს იჯარით გადაცემული 0.35 ჰა მიწით სარგებლობა. მოგვიანებით ეს მიწის ნაკვეთი გადაეცა გ. ქ-ს იმ საფუძვლით, რომ სადავო ტერიტორია სოფელ კაჭრეთს ეკუთვნოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით დავა დაიწყო თელავის რაიონულ სასამართლოში, სადაც მოპასუხე გურჯაანის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობა იყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 27 ოქტომბრის სხდომაზე არ გამოცხადდა მთავარი მოპასუხის – გურჯაანის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 383-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დაიწყო საქმის განხილვა. სასამართლო ვალდებული იყო, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, სხდომა სხვა დროისათვის გადაედო ან გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უსწორობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებას საფუძვლად დაუდო მ. ზ-ის მიერ სხდომის დატოვება და არასათანადო მოპასუხის შუამდგომლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე. აღნიშნული არასწორია, რადგანაც სასამართლო არ ჰქონდა უფლება, განეხილა საქმე ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სასამართლომ არ მიიღო აპელანტის პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებები. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სხდომას არ ესწრებოდა ძირითადი მოპასუხე, მ. ზ-მა ჩათვალა, რომ არ შედგებოდა სასამართლო სხდომა, რაც დარბაზის დატოვების საფუძველი გახდა. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, არსებობს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 276-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ნოემბრის განჩინებით მ. ზ-ი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ და „მ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლდა, ხოლო მისი კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემომწების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ზ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საქმის მასალებით უტყუარად დასტურდება შემდეგი გარემოებები:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის სხდომაზე გამოცხადდა აპელანტი მ. ზ-ი, მონააღმდეგე მხარე გ. ქ-ი, მესამე პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. ამავე სხდომაზე არ გამოცხადებულა მეორე მონააღმდეგე – გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა. სასამართლო სხდომაზე, შუამდგომლობების განხილვის ეტაპზე აპელანტმა დატოვა სხდომის დარბაზი, რომელსაც ამომწურავად განემარტა თვითნებურად სასამართლო სხდომის დატოვების შესაძლო ნეგატიური შედეგების თაობაზე.

გამოცხადებულმა მონააღმდეგე მხარემ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა მ. ზ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლზე, რომლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით დადგენილია აპელანტისა და მისი მონააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა, თუ ამას გამოცხადებული მხარე მოითხოვს, ხოლო მითითებული ნორმის მე-3 ნაწილით კი, დადგენილია, რომ ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

ამავე კოდექსის 232-ე მუხლის თანახმად, გამოუცხადებლად ითვლება მხარე, რომელიც, თუმცა სასამართლო სხდომაზე დანიშნულ დროს გამოცხადდა, მაგრამ უარს ამბობს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე.

საქმეში წარმოდგენილი სხდომის ოქმის შესწავლით დასტურდება და ეს არც კერძო საჩივრის ავტორს გაუხდია სადავოდ (მას სხდომის ოქმი არც კი გაუსაჩივრებია), რომ სასამართლო სხდომის დატოვების მი-

ზეზი გახდა სასამართლოს მიერ აპელანტის წარმოდგენილი მტკიცებულების საქმეზე დართვის საკითხის მის საწინააღმდეგოდ გადანყევტა. აპელანტის განმარტებით, ამ მტკიცებულებათა საქმეზე დაურთავობით მისთვის აზრი დაკარგა საქმის განხილვის გაგრძელებამ.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის სამართლებრივ შეფასებას და თვლის, რომ არსებობდა მ. ზ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობა, რადგანაც მ. ზ-მა სასამართლო სხდომის თვითნებურად დატოვებით მისი სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა დადასტურა თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლისა. ასეთ შემთხვევაში კი, გამოცხადებული მოწინააღმდეგე მხარე, ამავე კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უფლებამოსილი იყო მოეთხოვა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება, რადგანაც, დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადანყევტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე-278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. თუ მოპასუხე სარჩელის განუხილველად დატოვების წინააღმდეგია, სასამართლო გადადებს საქმის განხილვას. მოსარჩელის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადანყევტილებას.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ სასამართლოს არ უნდა დაეწყო საქმის განხილვა, უნდა გადაედო სასამართლო სხდომა სხვა დროისათვის ან მიეღო დაუსწრებელი გადანყევტილება, ასევე იმას, რომ გამოცხადებული მოწინააღმდეგე მხარე არასათანადო მოპასუხე იყო, რომელსაც არ ჰქონდა უფლება, მოეთხოვა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება. ამ მიმართებით საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

საქმეში წარმოდგენილი სასამართლო სხდომის ოქმით დასტურდება, რომ აპელანტმა სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა მტკიცებულებათა საქმეზე დართვის შესახებ, რაც არ დაკმაყოფილდა და გახდა მიზეზი მის მიერ სასამართლო სხდომის დარბაზის დატოვებისა. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულ შეჯიბრებითობის პრინციპის ცნებაზე, რომლის თანახმადაც სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამასთანავე, კანონმდებელმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით ამომწურავად დაადგინა მხარეთა საპროცესო უფლებების ჩამონათვალი და განსაზღვრა, რომ მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მონმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადონ სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცენ სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გაასაჩივრონ სასამართლოს გადანყევტილებები და განჩინებები, ისარგებლონ ამ კოდექსით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით. მოსარჩელეს უფლება აქვს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა, რის შესახებაც სასამართლო ვალდებულია აცნობოს მოპასუხეს.

დასახელებული ნორმების განმარტების საფუძველზე დასტურდება, რომ შეჯიბრებითობის ფარგლებში, მხარე ვალდებულია, მისი უფლების რეალიზება მოახდინოს აქტიურად, თავადვე მიუთითოს სადავო გარემოებებსა და ამა თუ იმ პროცესუალურ საკითხებზე, მათ შორისაა არასათანადო მხარის შეცვლის, დაუსწრებელი გადანყევტილების გამოტანის, სასამართლო სხდომის სხვა დროისათვის გადადებისა და სხვათა მოთხოვნის შესაძლებლობა, რაც მხარე სასამართლო სხდომაზე მონაწილეობისას პროცესუალური ნების განუხრელი დაცვით შეიძლება გახადოს სადავოდ. განსახილველ შემთხვევაში კი, კერძო საჩივრის ავტორმა სასამართლო სხდომის თვითნებურად დატოვებით ამ უფლებათა რეალიზაციაზე კონკლუდენტურად განაცხადა უარი. ამდენად, მითითება იმისა, რომ, მთავარი მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, მხარეს არ ეგონა, რომ საქმის განხილვა დაიწყებოდა, კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლად ვერ იქნება მიჩნეული, რადგანაც ეს მოსაზრება, ისევე, როგორც მასში მითითებული გარემოებები, ემყარება მხარის სუბიექტურ დამოკიდებულებას სადავო საკითხებთან მიმართებით და არა ობიექტურ ფაქტორებს.

რაც შეეხება მ. ზ-ის მიერ კერძო საჩივარზე დართულ მტკიცებულებებს, საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული უნდა დაუბრუნდეს მის წარმომდგენს, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლისა და 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადანყევტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, შესაბამისად, ახალი მტკიცებულებები ვერც სასამართლოს მიერ იქნება გაზიარებული მიუხედავად იმისა, მხარეს ობიექტურად ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა სასამართლოსათვის მანამდე წარმოედგინა ისინი. ამ საკითხთან დაკავშირებით, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მტკიცებულებათა მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინე-

ბის მიმართ მოქმედი კანონმდებლობა კერძო საჩივრის შეტანის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. განსახილველ შემთხვევაში, მიშვნელოვანია ისიც, რომ წარმოდგენილ მასალებს კერძო საჩივრის საფუძვლიანობასთან შემხებლობა არ აქვს, ამასთან, მართალია მხარეს მტკიცებულებათა მიუღებლობა კერძო საჩივრით სადავოდ არც კი გაუხდია, თუმცა საწინააღმდეგოს არსებობის შემთხვევაშიც კი, საკასაციო პალატა არ იქნებოდა უფლებამოსილი, მიეღო მითითებული მტკიცებულებები და დაერთო საქმისათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ზ-ს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. ზ-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, ხოლო გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. მ. ზ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. მ. ზ-ს დაუბრუნდეს კერძო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 16 ფურცლად.
4. კერძო საჩივრის ავტორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსრულებელი გადაწყვეტილება

განჩინება

№ას-800-753-2012

9 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ქორწინებისა და სამკვიდრო მონაწილის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. მ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს ვ. კ-ს მიმართ ქორწინებისა და სამკვიდრო მონაწილის ბათილად ცნობის მოთხოვნით. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა ვ. კ-ს საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ ბინაზე ყადაღის დადება.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის განჩინებით ლ. მ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, ყადაღა დაედო ვ. კ-ს საკუთრებაში არსებულ ქ. რუსთავში, დ.-მ-ა ქ. №5-1-ში მდებარე ბინას.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი გ. კ-სა და ვ. გ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება, ბათილად იქნა ცნობილი 2010 წლის 30 ნოემბერსა და 2010 წლის 24 დეკემბერს გაცემული სამკვიდრო მონაწილე ვ. კ-ს სახელზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. კ-მ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების უარის თქმის მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის დაუსრულებელი გადაწყვეტილებით ვ. კ-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ლ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ლ. მ-მა სასამართლოს წარუდგინა საჩივარი ზემოაღნიშნული დაუსრულებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 აპრილის განჩინებით ლ. მ-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის დაუსრულებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის დაუსრულებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ლ. მ-მა საკასაციო წესით გაასაჩივრა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების მოთხოვნით.

კასატორის მითითებით, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიეღო, რადგანაც სარჩელში მითითებული გარემოებები სასარჩელო მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებდა. აპელანტი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას იმ საფუძველზე მოითხოვდა, რომ გ. კ-ი მისი მეუღლე იყო და ამ უკანასკნელს ლ. მ-თან ერთ ოჯახად არასოდეს უცხოვრია, აღნიშნული კი, საქმის მასალებიდან არ გამომდინარეობს. სასამართლომ, ასევე, არასწორად მიიჩნია ლ. მ-ი სარჩელი აღიარებითად და არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ ლ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლის მიხედვით, საქმეს სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად ამზადებს სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე (მომხსენებელი მოსამართლე), რომელიც ამონიშნავს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას და გამოაქვს შესაბამისი განჩინება, გადაუგზავნის მონინალმდევე მხარეს სააპელაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების ასლებს და დაუნიშნავს მას ვადას წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად.

იმავე კოდექსის 232¹ მუხლის მიხედვით მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამომწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას, რის გამოც სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ უნდა გამოეტანა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსარჩელის წინააღმდეგაა გამოტანილი, ამასთან დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ვინაიდან აპელანტის მონინალმდევე მხარემ, იგივე მოსარჩელემ, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შესაგებელი არ წარადგინა, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი საფუძველები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი არსით პროცესუალურია და არა მატერიალური. იგი ერთგვარი სანქციაა იმ მხარის მიმართ, რომელიც სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა, ან დადგენილ ვადაში შესაგებლის წარდგენის ვალდებულება დაარღვია, ამასთან, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ მხარემ დავის მიმართ ინტერესი დაკარგა, შესაბამისად, შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში, სარჩელში ან სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები დამტკიცებულად ითვლება საქმის მასალების შესწავლისა და მტკიცებულებების გამოკვლევის გარეშე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, უსაფუძვლოა კასატორის მითითება, რომ სააპელაციო საჩივარში ასახული ფაქტობრივი გარემოებები საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მხარემ სააპელაციო შესაგებელი სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის ამონურვის შემდეგ წარადგინა, ამასთან ლ. მ-ს განმარტა შესაგებლის წარუდგენლობის შესაძლოს შედეგები. მხარეს შეეძლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლზე დაყრდნობით, გაშვებული საპროცესო ვადის აღდგენა მოეთხოვა, რაც მას არ განუხორციელებია, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს სრული საფუძველი გააჩნდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის.

საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე და 233-ე მუხლებით გათვალისწინებულ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამატარებულ გარემოებებზე კასატორი არ მიუთითებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, ამდენად, საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე, 232¹ მუხლებით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. ლ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
 2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2012 წლის 19 აპრილის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსრულებელი გადაწყვეტილება

განჩინება

№ას-114-108-2013

12 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ლ. ს. გ-მა“ თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „ს. გ. ს. ს. კ-ის“ წინააღმდეგ სარჩელი აღძრა მოპასუხისათვის 2750 ლარის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „ლ. ს. გ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის საფუძველით, 2012 წლის 22 ოქტომბერს დაუსრულებელი გადაწყვეტილება მიიღო, რომლის ძალითაც შპს „ლ. ს. გ-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს „ლ. ს. გ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „ს. გ. ს. ს. კ-ის“ შპს „ლ. ს. გ-ის“ სასარგებლოდ 2 750 ლარის გადახდა დაეკისრა.

დაუსრულებელი გადაწყვეტილება შპს „ს. გ. ს. ს. კ-ამ“ კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 დეკემბრის განჩინებით შპს „ს. გ. ს. ს. კ-ის“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ოქტომბრის დაუსრულებელი გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

აღნიშნული განჩინება შპს „ს. გ. ს. ს. კ-ამ“ დაუსრულებელ გადაწყვეტილებასთან ერთად საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმების მოთხოვნით. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით მიიღო დაუსრულებელი გადაწყვეტილება, ვინაიდან სააპელაციო საჩივარი მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებდა. საქმეში არ მოიპოვება იმის დამდასტურებელი მტკიცებულება, რომ შპს „ლ. ს. გ-მა“ კასატორის წინაშე ვალდებულება შეასრულა. სააპელაციო სასამართლომ მხოლოდ მხარეთა შორის ხელშეკრულების არსებობის თაობაზე იმსჯელა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივრის განხილვისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ს. გ. ს. ს. კ-ის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლის მიხედვით, საქმეს სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად ამზადებს სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე (მომხსენებელი მოსამართლე), რომელიც ამონიშნავს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას და გამოაქვს შესაბამისი განჩინება, გადაუგზავნის მოწინააღმდეგე მხარეს სააპელაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების ასლებს და დაუნიშნავს მას ვადას წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად.

იმავე კოდექსის 232¹ მუხლის მიხედვით მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსრულებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

მოცემულ შემთხვევაში, კასატორი დაუსრულებელი გადაწყვეტილებას იმ საფუძველით ასაჩივრებს, რომ სააპელაციო საჩივარი მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებდა. საქმეში არ მოიპოვება იმის დამდასტურებელი მტკიცებულება, რომ შპს „ლ. ს. გ-მა“ კასატორის წინაშე ვალდებულება შეასრულა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დაუსრულებელი გადაწყვეტილება არის ერთგვარი სანქცია მხარის მიმართ, რომელმაც სასამართლოს მიერ დაკისრებული ვალდებულება არ შეასრულა ამასთან, დაუსრულებელი გადაწყვეტილების მიღებას საფუძველად უდევს ვარაუდი, რომ მხარემ დავის მიმართ ინტერე-

სი დაკარგა. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო საქმეში არსებული მტკიცებულებები გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე კი არ იღებს გადაწყვეტილებას, არამედ სარჩელში (სააპელაციო საჩივარში) მითითებულ ფაქტებს უპირობოდ დადასტურებულად მიიჩნევს და თუ მათი ერთობლიობა, თეორიულად, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას იძლევა, გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

განსახილველ შემთხვევაში, დავა შეეხებოდა ხელშეკრულებიდან გამომდინარე იურიდიული მომსახურების საფასურის დაკისრებას, შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი შეიძლებოდა ყოფილიყო ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მხარეთა შორის არსებობდა ხელშეკრულება, მოსარჩელემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა, ხოლო მოპასუხემ ვალდებულება დაარღვია. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შემსრულებელმა შპს „ლ. ს. გ-მა“ დამკვეთ შპს „ს. გ. ს. ს. კ-ის“ სასარგებლოდ გასწია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, რომლის ღირებულება – 2750 ლარი მოპასუხეს არ აუნაზღაურებია. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა მოთხოვნას იურიდიულად ამართლებდა, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება მართებულად მიიღო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების რაიმე სხვა საფუძველზე კასატორი არ მიუთითებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ს. გ. ს. ს. კ-ის“ საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ს. გ. ს. ს. კ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
 2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 დეკემბრის განჩინება და 2012 წლის 22 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები

განჩინება

№ას-847-898-2011 20 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 25 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებით მიმართა სს „... ბანკმა“ მოპასუხე გ. გ-ძის მიმართ. განმცხადებელმა მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 302-ე-309-ე მუხლების საფუძველზე, სასამართლოს მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების მიღება, რომლითაც გ. გ-ძეს მის სასარგებლოდ დაეკისრებოდა დავალიანების გადახდა 2888.47 ევროს ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 მარტის გადახდის ბრძანებით სს „... ბანკის“ განცხადება დაკმაყოფილდა: გ. გ-ძეს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების – 2888.47 ევროს გადახდა.

ამავე სასამართლოს 2010 წლის 20 მაისის განჩინებით, მოპასუხის პროტესტის საფუძველზე, დადგინდა დავალიანების გადახდევინების შესახებ აღძრული მოთხოვნის საერთო სასარჩელო წესით განხილვა.

მოგვიანებით, გ. გ-ძემ საქალაქო სასამართლოს მიმართა შეგებებული სარჩელით, რომლითაც მან მოითხოვა სს „... ბანკისათვის“ ზიანის ასანაზღაურებლად 30000 ლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს „... ბანკის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2888.47 ევროს გადახდა; გ. გ-ძის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. გ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 36100 ლარის დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 26 აპრილის განჩინებით გ. გ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მის მიერ მიღებული 2011 წლის 26 აპრილის საოქმო განჩინებით, არ იქნა განხილული აპელანტის წარმომადგენლის შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ და გაგრძელდა საქმის განხილვა. მონინააღმდეგე მხარემ მოითხოვა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლ, მე-2 და მე-3 ნაწილებზე, ამავე კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში აპელანტი მხარე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სხდომაზე, რის გამოც მონინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. გ-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის თანახმად, სასამართლო სხდომის დღეს აპელანტმა შუამდგომლობით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა. შუამდგომლობა მოტივირებული იყო იმით, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობა აპელანტს არ აძლევდა შესაძლებლობას, მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში. მართალია, სააპელაციო საჩივრის შედგენისას გ. გ-ემ სათანადოდ გრაფაში მიუთითა, რომ სურდა საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღება, თუმცა მოგვიანებით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, მან ვერ შეძლო ამის განხორციელება. სწორედ დასახელებული მიზეზით ითხოვა აპელანტმა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მისი მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376-ე მუხლის დანაწესს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. გ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 26 აპრილის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მონინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. ამავე კოდექსის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა, სარჩელი განუხილველად იქნეს დატოვებული.

გასაჩივრებული განჩინებით გ. გ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 26 აპრილის სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობა.

მოცემულ შემთხვევაში სადავო არაა ის გარემოება, რომ აპელანტის წარმომადგენელ ზ. თ-ს კანონით დადგენილი წესით ეცნობა სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 26 აპრილის სხდომის დროისა და ადგილის თაობაზე. საქმეში წარმოდგენილი აქტით – ტელეფონით სასამართლო შეტყობინების შესახებ, დასტურდება, რომ წარმომადგენელს ასევე განემარტა სასამართლოში გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ. აღნიშნული, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მიიჩნევა სასამართლო სხდომის შესახებ აპელანტის ინფორმირებად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების გადასინჯვა და საქმის განახლება უნდა მოხდეს იმ წესების დაცვით, რაც გათვალისწინებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვის მიმართ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამომწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს. ეს გარემოებები მითითებულია 233-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, მაგრამ ამ მუხლის ჩამონათვალი არაა ამომწურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია მიუთითოს სხვა გარემოებებზეც, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა და რომლის შესახებაც მას არ შეეძლო დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამასთან, კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის და მიზეზის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელია. იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის

საპატიო მიზეზზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა – სასამართლოს უფლებამოსილებაა.

მოცემულ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას მოითხოვს იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა სასამართლო სხდომის დანყებამდე მის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა. დასახელებული შუამდგომლობით მან ითხოვა სააპელაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა, რადგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მონაწილეობას ვერ მიიღებდა სასამართლო პროცესში.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ კერძო საჩივრის ავტორს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი ავადმყოფობის ცნობა, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს დაადასტურებდა. მითითებული ნორმის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. საგულსხმოა, რომ ხსენებული ნორმით კანონმდებელი ავადმყოფობას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევს სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად, თუკი იგი დადასტურებულია სამედიცინო დანებებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. ასეთი მტკიცებულება კერძო საჩივრის ავტორს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე-103-ე მუხლებიდან გამომდინარე, მის მოვალეობას შეადგენდა.

კერძო საჩივრის საფუძვლიანობის გასარკვევად უნდა შემოწმდეს ასევე, არსებობდა თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376¹ მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისათვის. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი ემყარება კანონის დარღვევას და მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებას, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც წინასწარ უნდა ეცნობოს მხარეებს. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით კი, თუ სააპელაციო საჩივარი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) არამართო სამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ მისი ფაქტობრივი საფუძვლიანობის შემოწმებას, მაგრამ აპელანტის მიერ არ არის წარმოდგენილი ახალი ფაქტები და მტკიცებულებები ან წარმოდგენილია ამ კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დაუშვებელი ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია მხარეთა წერილობითი თანხმობით განიხილოს საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც წინასწარ უნდა ეცნობოს მხარეებს.

ზემოხსენებული ნორმა ითვალისწინებს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესაძლებლობას, მაგრამ ამისათვის აუცილებელია განსაზღვრული წინაპირობების არსებობა, კერძოდ, თუ სააპელაციო საჩივარი ემყარება კანონის დარღვევას და მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებას, მაშინ სააპელაციო სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რა დროსაც მხარეთა თანხმობა აუცილებელი არ არის. იმ შემთხვევაში კი, თუ სააპელაციო საჩივარი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) ფაქტობრივი საფუძვლიანობის შემოწმებასაც, მაგრამ აპელანტის მიერ არ არის წარმოდგენილი ახალი ფაქტები და მტკიცებულებები ან წარმოდგენილია ამ კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დაუშვებელი ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, მაშინ სააპელაციო სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე მხოლოდ მხარეთა წერილობითი თანხმობით.

განსახილველ შემთხვევაში გ. გ-ძის სააპელაციო საჩივარი შეიცავს პრეტენზიას გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ დასაბუთებასთან მიმართებით, ანუ სააპელაციო საჩივარი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი საფუძვლიანობის შემოწმებას. ასეთ ვითარებაში საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა აუცილებლად მოითხოვდა მხარეთა წერილობით თანხმობას. სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 26 აპრილის სხდომის ოქმით დასტურდება, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის – სს „ბანკის“ წარმომადგენელი არ დაეთანხმა აპელანტის შუამდგომლობას საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი საქმე განეხილა ზეპირი მოსმენის გარეშე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376¹ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, აპელანტს სწორად ეთქვა უარი სააპელაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

ამდენად, კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება გაუქმებას არ ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

1. გ. გ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 26 აპრილის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მხარეთა გამომწვევების შედეგები

განჩინება

№ას-908-853-2012

2 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

ჯ. მ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების ვ. მ-ისა და ნ. კ-ს, ასევე მესამე პირების რ. მ-ისა და მ. ჯ-ის მიმართ ქ.თბილისში, პ.გ-ის ქ №8-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ქ ნაწილის – მოსარჩელის კუთვნილი 17,16 კვ.მ №4/1, 3/1, 7/1, 8/1 შენობა-ნაგებობების, 17,03 კვ.მ №1/1 შენობა-ნაგებობის, 13,12 კვ.მ სარდაფისა და 20,16 კვ.მ მიწის ნაკვეთის მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის მოთხოვნით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს იმ საფუძველზე, რომ მათ მფლობელობაში საჯარო რეესტრში აღურიცხავი 20,16 კვ.მ მიწის ნაკვეთი და ნაგებობის ამ ნაწილზე მოსარჩელის საკუთრების უფლება არ ვრცელდება.

სარჩელი არ ცნეს ასევე მესამე პირებმა და მიუთითეს იმ გარემოებაზე, რომ სახლი თანამესაკუთრებს შორის ფაქტობრივად გამიჯნულია და სარჩელში მითითებული ფართი მათ მფლობელობაში არ შედის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით ჯ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, გამოთხოვილ იქნა ნ. კ-სა და ვ. მ-ის უკანონო მფლობელობიდან ქ.თბილისში, პ.გ-ის ქ №8-ში მდებარე უძრავი ნივთის მოსარჩელის საკუთრებაში არსებული 1/4 ნაწილი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ვ. მ-მ და ნ. კ-მ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 მაისის განჩინებით ნ. კ-სა და ვ. მ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლზე, 229-ე მუხლზე, 70-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და ჩათვალა, რომ ნ. კ-სა და ვ. მ-ს სხდომის თაობაზე ეცნობათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. აპელანტებს სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებთან დაკავშირებით სასამართლოში არ წარუდგენიათ შეტყობინება. მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, რაც სასამართლომ საფუძველიანად მიიჩნია თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანეს ნ. კ-მ და ვ. მ-მ, მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი დასაბუთებით:

აპელანტების სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რადგანაც მცირეწლოვან შვილთან ერთად აპელანტები სასამართლოში გამოცხადდნენ 25-30 წუთის დაგვიანებით, აღნიშნული განაპირობა ქალაქში ტრანსპორტის გადატვირთულმა მოძრაობამ, სასამართლოში გამოცხადების დროს კი მხარეთათვის ცნობილი გახდა სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით, რადგანაც მხარეთა გამოუცხადებლობა მათი ბრალით არ იყო გამოწვეული, ხოლო ტრანსპორტის შეფერხებით გადაადგილების თაობაზე მათთვისაც წინასწარ იყო უცნობი, ვერც სასამართლოს გააფრთხილებდნენ, კერძო საჩივრის ავტორებმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. კ-სა და ვ. მ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საქმის მასალებით დადგენილია და ამას არც კერძო საჩივრის ავტორები ხდიან სადავოდ, რომ 2012 წლის 2 მაისს, 12:00 საათზე დანიშნული სასამართლო სხდომის თაობაზე საქმეში არსებულ ხელწერილზე ხელის მოწერით გაფრთხილებული იყვნენ აპელანტები და მათთვის ცნობილი იყო ასევე გამოუცხადებლობის სავარაუდო შედეგების თაობაზე. სადავო არაა ის გარემოება, რომ დანიშნულ დროს – 2012 წლის 2 მაისს, 12:00 საათზე აპელანტები სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულან, საქმის მასალებით არ დასტურდება და ამას კერძო საჩივრის ავტორებიც მიუთითებენ, რომ დანიშნულ დროს მათი გამოუცხადებლობის თაობაზე სასამართლოსათვის წინასწარ არ იყო ცნობილი. სასამართლოს 2012 წლის 2 მაისის სხდომის ოქმის შესწავლით დასტურდება ასევე, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა აპელანტთა გამოუცხადებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლზე, რომლითაც საქმის განხილვის გადადებისა და მისი გაგრძელების წესია რეგულირებული. დასახელებული ნორმის მე-3 ნაწილით განსაზღვრულია ქცევის შემდეგი წესი: სასამართლო საქმის განხილვის გადადებისას დანიშნავს ახალი სასამართლო სხდომის დღეს და ამის შესახებ აცნობებს სასამართლო პროცესზე გამოცხადებულ პირებს, რასაც ისინი ადასტურებენ ხელის მოწერით. გამოუცხადებულ და საქმეში ახალჩაბმულ პირებს ახალი სასამართლო სხდომის დღე ეცნობებათ ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

იმ უდავო გარემოების გათვალისწინებით, რომ აპელანტები ხელწერილზე ხელის მოწერით გაფრთხილებული იყვნენ სასამართლოს ახალი სხდომის თაობაზე, საკასაციო პალატა ეთანხმება გასაჩივრებული განჩინებით დადგენილ გარემოებას, რომ აპელანტებს კანონით დადგენილი წესით ეცნობათ სასამართლო სხდომის დროის, ადგილისა და არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას მათ მიმართ გამოსაყენებელი შესაძლო ღონისძიებების თაობაზე.

საკასაციო პალატა ასევე იზიარებს გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივ დასაბუთებას, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრულია აპელანტისა და მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა, თუ ამას გამოცხადებული მხარე მოითხოვს, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით კი დადგენილია, რომ ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. ამავე კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, მოსარჩელის გამოუცხადებლობისას, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე-278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. ანალოგიური შინაარსისაა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ, აპელანტების გამოუცხადებლობის გამო, არსებობდა ნ. კ-სა და ვ. მ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების უტყუარი საფუძველი, ვინაიდან საქმის განხილვის ეტაპზე სასამართლო ობიექტურად იყო მოკლებული შესაძლებლობას, ემსჯელა იმ გარემოებათა საპატიოობის თაობაზე, რასაც მხარე კერძო საჩივარში მიუთითებს.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის საფუძვლად მითითებულ იმ გარემოებებს, რომ აპელანტების გამოუცხადებლობა მათგან დამოუკიდებელი მიზეზით იყო განპირობებული, რადგანაც ქალაქში გადატვირთულია მოძრაობა და 30 წუთის განმავლობაში გადაადგილება პარალიზებული იყო. აღნიშნული არგუმენტის ანალიზით საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ეს არ წარმოადგენს საპატიო მიზეზს, რადგანაც სასამართლო სხდომაზე გამოცხადების სავალდებულობიდან გამომდინარე, მხარე ვალდებულია დაიცვას წინდახედულობის ყველა ნორმა, რათა თავიდან იქნას აცილებული მის მიმართ არასასურველი შედეგის დადგომა, აპელანტებს სრული შესაძლებლობა ჰქონდათ სასამართლოში გამოცხადებულიყვნენ უფრო ადრე, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული ისეთი არაობიექტური გარემოებანი, როგორიცაა თუნდაც გადატვირთული საგზაო მოძრაობა. პალატის აღნიშნული მოსაზრება ემყარება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილს, რომლითაც განსაზღვრულია შემდეგი: ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია კანონი და სავსებით მართებულად მიიჩნია, რომ არსებობდა ნ. კ-სა და ვ. მ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „მ¹“ ქვეპუნქტის შე-საბამისად, კერძო საჩივრის ავტორები სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებული არიან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

1. ნ. კ-სა და ვ. მ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კერძო საჩივრის ავტორები სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებული არიან.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უ ს ნ ო რ ო ბ ი ს ბ ა ს ნ ო რ ე ბ ა

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-1347-1272-2012

5 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ხელშეკრულების ბათილად ცნობა, პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით: 1. თ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; 2. შპს „მ-ის“, ქ. ჯ-ის, ვ. ჯ-ის, გ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; 3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; 4. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი და სს „პ-ის“ სარჩელი ქ. და თ. ჯ-ს შორის 2009 წლის 4 მარტს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების უძრავ ქონებაზე მდებარე ქ.თბილისი კ-ის ქ №35 ბინა 53 (საკადასტრო კოდი ...) ბათილად ცნობის მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა; 5. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი და სს „პ-ის“ სარჩელი ქ. და გ. ჯ-ს შორის 2009 წლის 17 მარტს გაფორმებული უძრავი ქონების მდებარე თბილისში დასახლება ლ-ო (ნაკვეთი 010) საკადასტრო კოდი ... ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა; 6. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილების მე-6 პუნქტი გ. და ვ. ჯ-ს შორის უძრავი ქონების მდებარე ქ თბილისი დასახლება ლ-ო (ნაკვეთი 010) საკადასტრო კოდი ... ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ; 7. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილების მე-8 პუნქტი 2009 წლის 02 მარტის ხელშეკრულების, ქ. ჯ-ის შპს „მ-ან“ უძრავი ქონების, მდებარე თბილისი დასახლება ლ-ო (ნაკვეთი 010) (საკადასტრო კოდი ...) დაბრუნების ნაწილში ბათილად ცნობის შესახებ და ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა; 8. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილების მე-8 პუნქტი უძრავი ქონებების საკადასტრო კოდი ... და ... შპს „მ-ის“ დაბრუნებისა და მის საკუთრებად აღრიცხვის ნაწილში; 9. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილების პირველი პუნქტი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში; 10. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების, კერძოდ, ქ. და გ. ჯ-ს შორის 2009 წლის 9 მარტს გაფორმებული უძრავი ქონების მდებარე თბილისი ი-ის 12 საკადასტრო კოდი ... ჩუქების ხელშეკრულების, გ. და ვ. ჯ-ს შორის 2009 წლის 2 ნოემბერს გაფორმებული უძრავი ქონების მდებარე თბილისი ი-ის 12 საკადასტრო კოდი ... ნასყიდობის ხელშეკრულების ვ. და გ. ჯ-ს შორის გაფორმებული უძრავი ქონების მდებარე თბილისი, ი-ის 12 ნაწილის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ სს „პ-ის“ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში. 11. სს „პ-ს“ შპს „მ-ის“ ქ. ჯ-ის, თ. ჯ-ის, ვ. ჯ-ის, გ. ჯ-ის სასარგებლოდ, გადახდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ 1000 ლარი; 12. სს „პ-ს“ შპს „მ-ის“ ქ. ჯ-ის, თ. ჯ-ის, ვ. ჯ-ის, გ. ჯ-ის სასარგებლოდ, გადახდა ადვოკატის მომსახურების ხარჯები

2000 ლარი; 13. ყადაღა მოეხსნა ვ. ჯ-ის (პირადი №...) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას მდებარე ქ. თბილისში, ლ-ოს დასახლება, დაზუსტებული ფართობი 5178.00მ2 მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...).

თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დასახლებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-10 პუნქტში დაშვებული იყო ტექნიკური უსწორობა და იგი უნდა გასწორებულიყო, რის გამოც 2012 წლის 13 სექტემბრის განჩინებით იგი ჩამოაყალიბა შემდეგნაირად:

„უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების, კერძოდ, ჟ. ჯ-სა და შპს „მ-ს“ შოპრის შესატანის დაბრუნების თაობაზე 2009 წლის 2 მარტის ხელშეკრულების თბილისი, ი-ის ქ. №12 საკადასტრო კოდი ...-ის დამფუძნებლისათვის დაბრუნების ნაწილში, ჟ. და გ. ჯ-ს შორის 2009 წლის 9 მარტს გაფორმებული უძრავი ქონების მდებარე: თბილისი, ი-ის 12 საკადასტრო კოდი ... რუქების ხელშეკრულების, გ. და ვ. ჯ-ს შორის 2009 წლის 2 ნოემბერს გაფორმებული უძრავი ქონების მდებარე: თბილისი, ი-ის 12, საკადასტრო კოდი ... ნასყიდობის ხელშეკრულების, ვ. და გ. ჯ-ს შორის გაფორმებული უძრავი ქონების მდებარე: თბილისი, ი-ის 12 ნაწილის რუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ სს „პ.ბ-ის“ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში“.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა ჟ.გ.გ. და თ. ჯ-ის წარმომადგენელმა გ.კ-ემ და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძვლით, რომ აღნიშნული განჩინება ეწინააღმდეგებოდა საპროცესო ნორმებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ჟ.გ.გ. და თ. ჯ-ის წარმომადგენელ გ.კ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. კანონის აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, დასაშვებია გადაწყვეტილებაში ისეთი შესწორებებისა და დაზუსტებების შეტანა, რომლებიც შეესაბამება და არსებითად არ ცვლის სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსს.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-10 პუნქტის იმგვარად შესწორება, როგორც ის სააპელაციო პალატამ თავის 2012 წლის 13 სექტემბრის განჩინებაში ჩამოაყალიბა სცილდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის მოთხოვნებს, ვინაიდან აღნიშნული ნორმის საფუძველზე, დაუშვებელია გადაწყვეტილებაში ისეთი შესწორების შეტანა, რომელიც არსებითად ცვლის გადაწყვეტილებას, მის აზრსა და შინაარსს. დასაშვებია მხოლოდ ისეთი შესწორებებისა და დაზუსტებების შეტანა, როგორცაა მაგალითად, მხარეთა გვარი, სახელი, თუ მხარე იურიდიული პირია – მისი სახელწოდების აღნიშვნა, ასევე, არითმეტიკული შეცდომები, რომლებმაც გამოიწვია გადასახდევინებელი თანხის ოდენობის აშკარად შემცირება ან გადიდება, მაგალითად ციფრის დაკლება, რაც ისე ცვლის თანხის ოდენობას, რომ საქმის მასალებიდან გამომდინარე, აშკარად არ შეესაბამება მოთხოვნის ოდენობას, რის შესახებაც იყო მსჯელობა სასამართლო სხდომაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი საფუძვლიანია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა ღ გ ი ნ ა :

ჟ.გ.გ. და თ. ჯ-ის წარმომადგენელ გ.კ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 სექტემბრის განჩინება; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უსწორობის გასწორება

განჩინება

№ას-474-448-2012

4 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
მოსამართლე: თეიმურაზ თოდრაძე

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე თავისი ინიციატივით განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 აპრილის №ას-474-448-2012 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 აპრილის განჩინებით ე. ბ-ის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

ზემოაღნიშნული განჩინების შესავალ, აღწერილობით, სამოტივაციო და დადგენილებით ნაწილებში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, არასწორად არის მითითებული კასატორის ვინაობა.

სამოტივაციო ნაწილი:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 5 აპრილის №ას-474-448-2012 განჩინების შესავალ, აღწერილობით, სამოტივაციო და დადგენილებით ნაწილებში საკასაციო საჩივრის ავტორად მითითებულ უნდა იქნეს მხოლოდ „ე. ბ-ი.“

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 260-ე, 284-ე მუხლებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 აპრილის №ას-474-448-2012 განჩინებაში დაშვებული უსწორობა. განჩინების შესავალ, აღწერილობით, სამოტივაციო და დადგენილებით ნაწილებში საკასაციო საჩივრის ავტორად მითითებულ იქნეს მხოლოდ „ე. ბ-ი.“

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უსწორობის ბასწორება

განჩინება

№ას-910-855-2012

24 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობა, კომპენსაციის სანაცვლოდ საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

ე. პ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. თ-ის, ნ. უ-ის, დ. ბ-ის, ხ. ი-ისა და ე. თ-ის მიმართ საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობის შესახებ.

ე. თ-მ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს ე. პ-ისათვის კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 1 მარტის განჩინებით მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება, საქმის წარმოება ნ. თ-ის, ნ. უ-ის, ხ. ი-ისა და დ. ბ-ის მიმართ შეწყდა სარჩელის გამოსმობის გამო.

ე. პ-მა განცხადებით მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ქ.თბილისში, ლ-ის ქ. №4/2-ში მდებარე სახლის ე. თ-ის კუთვნილ 3/20-ზე ყადაღის დადების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 მარტის განჩინებით ე. პ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა და სადავო ქონებას დაედო ყადაღა.

2012 წლის 29 მარტს სასამართლოს საჩივრით მიმართა ე. თ-მ და მოითხოვა 2012 წლის 26 მარტის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის განჩინებით ე. თ-ის საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 მარტის განჩინება და არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ქ. თბილისში, ლ-ის ქ. №4/2-ში მდებარე ე. თ-ის (პირადი №...) საკუთრებაში არსებულ 3/20 ნაწილის უძრავ ქონებას ყადაღა მოეხსნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ივლისის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილისა და 5 ივნისის განჩინებები დარჩა უცვლელად.

ე. პ-მა განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლო და მიუთითა, რომ სასამართლო აქტებში დაშვებულია უსწორობები, რომელიც უნდა გასწორდეს ამავე სასამართლოს მხრიდან სწორი მნიშვნელობითა და ფორმულირებებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ე. პ-ის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე.

ამდენად, დასახელებული მუხლის საფუძველზე, სასამართლო მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გაასწორებს უზუსტობას იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ამა თუ იმ პროცესუალურ დოკუმენტში დაშვებულ იქნა უსწორობა. აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტა დასაშვებია როგორც სასამართლო სხდომაზე, ისე ზეპირი მოსმენის გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია წარმოდგენილი განცხადების განხილვა სასამართლო სხდომაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. პ-ის განცხადება უსწორობის გასწორების შესახებ დაუსაბუთებელია, ვინაიდან მხარე არ უთითებს კონკრეტულად რომელ სასამართლოში აქტში იქნა დაშვებული უსწორობა და რაში მდგომარეობს იგი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უსწორობისა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორების მიზანია საპროცესო დოკუმენტის ისეთი არსებითი სამართლებრივი ხინჯის აღმოფხვრა, რამაც შესაძლოა, გავლენა იქონიოს მხარის უფლებებზე. შესაბამისად, პროცესუალური ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე, არაარსებითი ხასიათის უსწორობათა გასწორების შესახებ განცხადების შეტანა ემსახურება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

ე. პ-ის განცხადება უსწორობის გასწორებაზე არ დაკმაყოფილდეს.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უსწორობის გასწორება

განჩინება

№ა-492-შ-11-2012

19 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივლისის №ა-492-შ-11-2012 განჩინებაში და 2012 წლის 24 ივლისის გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივლისის განჩინებით სს „პ-ის“ წარმომადგენელ ი. დ-ის შუამდგომლობა ქ.რიგის გაერთიანებული სამედიცინო სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინების საფუძველზე, 2012 წლის 24 ივლისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი.

ზემოპითივებულ განჩინების შესავალ, აღწერილობით, სამოტივაციო, დადგენილებით ნაწილებში და სააღსრულებო ფურცელში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, არასწორად არის მონიშნულად მხარის ვინაობა.

სამოტივაციო ნაწილი:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივლისის №ა-492-შ-11-2012 განჩინებაში უნდა გასწორდეს უსწორობა, კერძოდ, განჩინების შესავალ, აღწერილობით, სამოტივაციო, დადგენილებით ნაწილებში და სააღსრულებო ფურცელში სიტყვები: „შპს „ლ-ა“ უნდა გასწორდეს სიტყვებით „შპს „ლ-ა.““

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 260-ე, 284-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 6 ივლისის №ა-492-შ-11-2012 განჩინებაში და 2012 წლის 24 ივლისს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობა. განჩინების შესავალ, აღწერილობით, სამოტივაციო, დადგენილებით ნაწილებში და სააღსრულებო ფურცელში სიტყვები: „შპს „ლ-ა“ გასწორდეს სიტყვებით „შპს „ლ-ა.““

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უ ს წ ო რ ო ბ ი ს ბ ა ს წ ო რ ა ე ბ ა

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-168-162-2012

12 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
მოსამართლე ბ. ალავიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლემ ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე მ. კ-ისა და ზ. შ-ის წარმომადგენლების: ე. ო-ისა და ი. დ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 თებერვლის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე, საქმეზე – ლ. შ-ის სარჩელის გამო, ზ. შ-ის, მ. კ-ისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ლაგოდების სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ ქონების თანამესაკუთრედ ცნობის, ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილების შეტანის თაობაზე და პალატამ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 თებერვლის განჩინებით, მ. კ-ისა და ზ. შ-ის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის შეტანის 21-დღიანი ვადის დარღვევის გამო.

2012 წლის 20 თებერვლს სასამართლოს განცხადებით მომართეს მ. კ-ისა და ზ. შ-ის წარმომადგენლებმა: ე. ო-მა და ი. დ-ემ და მოითხოვეს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 თებერვლის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორება. განმცხადებლთა განმარტებით, 2012 წლის 10 თებერვლის განჩინებაში საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადა არასწორადაა გამოთვლილი, კერძოდ,

არასწორია რომ, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის თანახმად, ვადის ათვლა იწყება გადაწყვეტილების მხარისათვის გადაცემის მომენტიდან, ხოლო მხარისათვის გადაცემა განმარტებულია შემდეგნაირად: „გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო“. გამომდინარე აქედან, განმცხადებლებს მიაჩნიათ, რომ გასაჩივრების ვადის ათვლა უნდა დაიწყო 2012 წლის 10 იანვრიდან და არა 2012 წლის 5 იანვრიდან. წარმოდგენილ განცხადებაში მხარეთა წარმომადგენლები ასევე უთითებენ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლში, 2012 წლის 1 იანვრიდან შესული ცვლილება მათ მიმართ არ უნდა გავრცელებულიყო, ვინაიდან, კანონს უკუქცევითი ძალა არ აქვს, თუ ის აუარესებს პირის მდგომარეობას და, შესაბამისად, გასაჩივრების ვადა ერთი თვით უნდა განსაზღვრულიყო, ისე როგორც, ეს განემარტათ გასაჩივრებული განჩინებით.

დასახელებული გარემოებების გათვალისწინებით, განმცხადებლებმა მოითხოვეს საკასაციო სასამართლოს 2012 წლის 10 თებერვლის განჩინებაში დაშვებული უსწორობების გასწორება.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და განცხადების საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. კ-ისა და ზ. შ-ის წარმომადგენლების: ე. ო-ისა და ი. დ-ის განცხადება საკასაციო სასამართლოს 2012 წლის 10 თებერვლის განჩინებაში დაშვებული უსწორობების გასწორების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. დასახელებული მუხლის საფუძველზე, სასამართლო მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გაასწორებს უზუსტობას იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ამა თუ იმ პროცესუალურ დოკუმენტში დაშვებულ იქნა უსწორობა. აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტა დასაშვებია როგორც სასამართლო სხდომაზე, ისე ზეპირი მოსმენის გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ ჩათვალა ამავე პალატის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლი ითვალისწინებს განჩინებაში დაშვებული ტექნიკური ხასიათის უსწორობის გასწორებას, რაც შეეხება განმცხადებელთა მოთხოვნას საკასაციო საჩივრის შეტანის ვადების გამოთვლასთან დაკავშირებით დაშვებული უსწორობის გასწორებას, საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული საკითხი სსსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებულ უსწორობის გასწორების ობიექტს არ წარმოადგენს, ამასთან, გასაჩივრებული განჩინებით სასამართლომ სწორად განმარტა კანონის დროში მოქმედების პრინციპი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მ. კ-ისა და ზ. შ-ის წარმომადგენლების: ე. ო-ისა და ი. დ-ის განცხადება უსწორობის გასწორების თაობაზე უმართებულოა, უსაფუძვლო და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების საფუძველი.

საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ განცხადებაში მითითებული გარემოება იმის შესახებ, რომ მხარემ არაერთხელ მიმართა სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებული განჩინების ჩაბარების მოთხოვნით, საქმის მასალებით არ დასტურდება. საქმეში არ მოიძებნება განცხადება, რომლითაც მხარემ მოითხოვა განჩინების ჩაბარება და სასამართლომ მას უარი უთხრა, აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი არც მხარეს წარმოუდგენია სასამართლოსათვის. ამდენად, მხარის მითითებული არგუმენტი უსაფუძვლოა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. მ. კ-ისა და ზ. შ-ის წარმომადგენლების: ე. ო-ისა და ი. დ-ის განცხადება საკასაციო სასამართლოს 2012 წლის 10 თებერვლის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

2. საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უსწორობის გასწორება

განჩინება

№ას-1507-1515-2011

21 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ნივთის გამოთხოვა, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

სს „ი-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ე. ჯ-ას“ მიმართ და მოსარჩელემ მოითხოვა: ა) მოპასუხისათვის სს „ი-ის“ კუთვნილ №3 ფიდერში ელექტროენერგიის გატარების მომსახურებისათვის 2007 წლის ივლისიდან 2010 წლის მაისის თვის ჩათვლით 21698.5 ლარის დაკისრება; ბ) მოპასუხისათვის სს „ი-ის“ კუთვნილი 6.6 კვტ. 730 მეტრი ელექტროსადენის და 8 ცალი რკინის ბოძის მონტაჟის ღირებულების – 9817.3 ლარის დაკისრება; გ) სს „ი-ის“ კუთვნილი 630 კვტ. ძალოვანი ტრანსფორმატორის დაბრუნება ან მისი ღირებულების – 17000 ლარის გადახდა; დ) მორალური ზიანის – 20000 ლარის ანაზღაურება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს „ი-ის“ სარჩელი ელექტროენერგიის მომსახურებისათვის თანხის დაკისრების ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე სს „ე. ჯ-ას“ სს „ი-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 2007 წლის ივლისიდან 2010 წლის მაისის თვის ჩათვლით №3 ფიდერში ელექტროენერგიის გატარების მომსახურებისათვის 9412.32 ლარის გადახდა დღგ-ს გარეშე, სს „ი-ის“ სარჩელი 6.6 კვტ 730 მეტრი ელსადენის და მისი მონტაჟის ღირებულების თანხის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდა, მოპასუხე სს „ე. ჯ-ას“ სს „ი-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 5037.70 ლარის გადახდა, ხოლო რვა ცალი რკინის ბოძის მონტაჟის ღირებულების დაკისრების ნაწილში ეთქვა უარი; სს „ი-ის“ სარჩელი 630 კვტ. ძალოვანი ტრანსფორმატორის დაბრუნების ან მისი ღირებულების ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, სს „ი-ის“ სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში ასევე არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ, კერძოდ, სს „ე. ჯ-ამ“ დასახელებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა იმ ნაწილში, რომლითაც მას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 6.6 კვტ. 730 მეტრი ელსადენის და მისი მონტაჟის ღირებულების ანაზღაურება, მოითხოვა გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო სს „ი-ის“ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით სს „ე. ჯ-ას“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, სს „ი-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება 630 კვტ. ძაბვიანი ტრანსფორმატორის დაბრუნების, ან მისი ღირებულების ანაზღაურების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სს „ი-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, სს „ე. ჯ-ას“ დაევალი 630 კვტ. №53783 ტრანსფორმატორის სს „ი-ისათვის“ დაბრუნება, დადგინდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების აღსრულების დროს სს „ე. ჯ-ას“ არ აღმოაჩნდებოდა 630 კვტ. მაღალი ძაბვის №53782 ტრანსფორმატორი, სს „ე. ჯ-ას“ დაეკისრებოდა სს „ი-ის“ სასარგებლოდ ტრანსფორმატორის ღირებულების – 17000 ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ივნისის განჩინებით სს „ი-ისა“ და სს „ე. ჯ-ას“ საკასაციო საჩივრების დაუშვებლად ცნობის გამო.

სს „ი-ის“ დირექტორმა ზ. ხ-ამ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებასა და მის საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორება, კერძოდ, გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში ნაცვლად შპს „ი-ისა“ სს „ი-ის“ მითითება, ასევე სარეზოლუციო ნაწილში ტრანსფორმატორის №53783-ის ნაცვლად №53782-სა და გადაწყვეტილების ამავ ელსადენის ნივთის დასახელებად კ.ტ.პ. 630 კვ ძალოვანი ტრანსფორმატორის მითითება და არა ისე, როგორც ეს არის გადაწყვეტილებასა და სააღსრულებო ფურცელში აღნიშნული.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 სექტემბრის განჩინებით სს „ი-ის“ დირექტორ ზ. ხ-ას განცხადება დაკმაყოფილდა, №2/პ-1146 სამოქალაქო საქმეზე, 2011 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილების შესავალ და სარეზოლუციო ნაწილებში, ასევე ამ გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში შევიდა შესწორება, კერძოდ, გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში აპელანტ (მონინააღმდეგე მხარე) შპს „ი-ის“ ნაცვლად მიეთითა სს „ი-ი“, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ნაცვლად სიტყვებისა: სს „ე. ჯ-ას“ დაევალოს 630 კვ №53783 ტრანსფორმატორის სს „ი-ისათვის“ დაბრუნება; იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების აღსრულების დროს სს „ე. ჯ-ას“ არ აღმოაჩნდება 630 კვ მაღალი ძაბვის №53782 ტრანსფორმატორი, სს „ე. ჯ-ას“ დაეკისროს სს „ი-ის“ სასარგებლოდ ტრანსფორმატორის ღირებულების 17 000 ლარის ანაზღაურება, მიეთითა შემდეგი: სს „ე. ჯ-ას“ დაევალოს კ.ტ.პ. 630 კვ. №53782 ტრანსფორმატორის სს „ი-ისათვის“ დაბრუნება; იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების აღსრულების დროს სს „ე. ჯ-ას“ არ აღმოაჩნდება კ.ტ.პ. 630 კვ. მაღალი ძაბვის №53782 ტრანსფორმატორი, სს „ე. ჯ-ას“ დაეკისროს სს „ი-ის“ სასარგებლოდ ტრანსფორმატორის ღირებულების 17 000 ლარის ანაზღაურება, აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით დადგინდა სააღსრულებო ფურ-

ცლის გაცემა. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლით, მე-7 მუხლის მეორე ნაწილით და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილითა და საქმის მასალებით დგინდება შემდეგი: სადავო ტრანსფორმატორის მონაცემებია: ძალოვანი ტრანსფორმატორი კ.ტ.პ. №53782, 630 კვა. საპროცესო კანონმდებლობის ზემოთ მითითებული ნორმებიდან გამომდინარე და საქმის მასალებზე დაყრდნობით, სასამართლომ ჩათვალა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილსა და მის საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დაშვებულია მექანიკური უსწორობა, რაც უნდა გასწორდეს და, მხარის განცხადების შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში ნაცვლად შპს „ი-ისა“, მიეთითოს სს „ი-ი“, ხოლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ტრანსფორმატორის ნომერი, ნაცვლად №53783-ისა, უნდა მიეთითოს №53782 და ტრანსფორმატორის დასახელება, ნაცვლად 630 კვა-სი – კ.ტ.პ. 630 კვა, შესაბამისად, 2011 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში უნდა შევიდეს შესწორებები და ამ ცვლილების გათვალისწინებით გაიცეს სააღსრულებო ფურცელი.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა სს „ე. ჯ-ამ“, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება სს „ი-ის“ სასარგებლოდ კ.ტ.პ. 630 კვა მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორის სს „ი-ისათვის“ გადაცემის დავალდებულების ნაწილში და ამ ნაწილში სს „ი-ის“ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატამ დაარღვია კანონი, კერძოდ, მან ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რა გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხი, მხარეს ნაცვლად 630 კვა. ტრანსფორმატორისა, მიაკუთვნა კ.ტ.პ. 630 კვა ტრანსფორმატორი, მაშინ, როდესაც სს „ი-ი“ სარჩელიდან მოყოლებული დავობდა მხოლოდ ძალოვანი ტრანსფორმატორის მიკუთვნებაზე და არა მასთან ერთად კ.ტ.პ.-ს მიკუთვნებაზე. სასამართლო, საკითხის გარკვევისას არ დაინტერესებულა, არ დაუდგენია რას წარმოადგენდა ე.წ „კ.ტ.პ.“, უსწორობის გასწორებით, სასამართლომ მხარეს მიაკუთვნა ის, რაც სარჩელით სადავო არ გამხდარა. სს „ი-ის“ მიერ მოთხოვნილი ძალოვანი ტრანსფორმატორის აღჭურვილობა, რომლის ღირებულებაც ექსპერტის მიერ შეფასდა 17000 ლარად, კ.ტ.პ. 630 კვა-ს შემადგენლობისაგან განსხვავებულია და არ შედის იმ ჩამონათვალში, რომელიც შეფასდა საექსპერტო დასკვნის შედგენისას. ეს ორი ნივთი ერთმანეთისაგან განსხვავებულია ასევე ღირებულებით. სასამართლომ კი ამ საკითხის განხილვისას მხარეებს არ აცნობა საქმის განხილვის დრო და ადგილი. ის ფაქტი, რომ სს „ი-ი“ არ მოითხოვდა კ.ტ.პ. 630 კვა ძალოვან ტრანსფორმატორს, დასტურდება სასარჩელო განცხადებით, ასევე საქმეში წარმოდგენილი 2010 წლის 12 აპრილს შედგენილი ექსპერტიზის დასკვნით, სადაც ექსპერტმა სადავო საგნის ფასი სწორედ 630 კვა სიმძლავრის №53782 ტრანსფორმატორის შეფასების საფუძველზე დაადგინა. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ კი სს „ი-მა“ სააპელაციო სასამართლოს წინაშე უსაფუძვლოდ გაზარდა მოთხოვნა, თავის მხრივ, სააპელაციო პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის უხეში დარღვევით მხარეს მიაკუთვნა იმაზე მეტი, ვიდრე ის საქმის წარმოების განმავლობაში მოითხოვდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „ე. ჯ-ას“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

მოცემული საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 26 იანვრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სს „ე. ჯ-ას“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, სს „ი-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება 630 კვტ. ძაბვიანი ტრანსფორმატორის დაბრუნების, ან მისი ღირებულების ანაზღაურების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სს „ი-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, სს „ე. ჯ-ას“ დაევალა 630 კვტ. №53783 ტრანსფორმატორის სს „ი-ისათვის“ დაბრუნება, დადგინდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების აღსრულების დროს სს „ე. ჯ-ას“ არ აღმოაჩნდებოდა 630 კვტ. მაღალი ძაბვის №53783 ტრანსფორმატორი, სს „ე. ჯ-ას“ დაეკისრებოდა სს „ი-ის“ სასარგებლოდ ტრანსფორმატორის ღირებულების – 17000 ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად ასევე დასტურდება, რომ, მართალია, სს „ი-ის“ როგორც სასარჩელო, ისე სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა იყო 630 კვტ ძალოვანი ტრანსფორმატორის დაბრუნება სრული აღჭურვილობით ან მისი ღირებულების – 17000 ლარის ანაზღაურება, თუმცა საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის შედეგად ასკვნის, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით უტყუარად დას-

ტურდება სს „ი-ის“ მიერ სწორედ კ.ტ.პ. 630 კვა ტრანსფორმატორის დაბრუნების მოთხოვნის ფაქტი, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი „კონსერვაციის რეჟიმზე გადასაყვანი ძირითადი საშუალებების ამონაკრები სიის“ თანახმად, კონსერვაციის რეჟიმის ვარემუ დატოვებულ იქნა „ელ. გადამცემი ხაზები და ტრანსფორმატორი კ.ტ.პ. №53782 630“, ამასთანავე, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2010 წლის 12 აპრილის დასკვნის თანახმად, რომლითაც განისაზღვრა სადავო ტრანსფორმატორის ღირებულება, ექსპერტიზის წინაშე წინაშე დასმული შეკითხვების ნაწილში სწორედ კ.ტ.პ. 630 კვა №53782 ტრანსფორმატორზეა საუბარი. ის არგუმენტი, რომ სასამართლომ მხარეს მიაკუთვნა იმაზე მეტი, ვიდრე ის საქმის წარმოების განმავლობაში მოითხოვდა და ამით სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნა, უსაფუძვლოა, რადგანაც საქმის მასალებით აღნიშნულის საწინააღმდეგო გარემოებები დასტურდება. ამ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო, გარდა ზემოაღნიშნულისა, ამყარებს იმ ფაქტზეც, რომ უსწორობის გასწორების შესახებ განჩინებით სააპელაციო პალატას კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი სს „ე. ჯ-ას“ პასუხისმგებლობის მატერიალური ფარგლები არ შეუცვლია, რაც თავისთავად გამორიცხავს კერძო საჩივრის იმ არგუმენტის გაზიარების შესაძლებლობას, რომ სასამართლომ გასცდა მოთხოვნის ფარგლებს.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების დებულებაზე და განმარტავს, რომ მოცემული ნორმებით სასამართლომ საქმის წარმოების ყოველი ეტაპისათვის მხარეთა შორის გაანაწილა მტკიცების ტვირთი და განსაზღვრა, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. კანონის მითითებული დანაწესიდან გამომდინარე, ყოველი მხარე ვალდებულია სათანადო მტკიცებულებით დაადასტუროს მისი მოთხოვნის მართებულობა, რათა სასამართლოს გაუჩნდეს მყარი შინაგანი რწმენა ამ მოთხოვნის საფუძვლიანობის თაობაზე.

განსახილველ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, საქმის მასალებით დადგენილია, რომ სს „ი-ის“ სადავოდ გამხდარი ინტერესი მიმართული იყო სწორედ კ.ტ.პ. 630 კვა ტრანსფორმატორზე დარღვეული უფლების აღდგენისაკენ, ამის საწინააღმდეგო გარემოების მტკიცების ტვირთი სწორედ სს „ე. ჯ-ას“ ეკისრებოდა, რომელიც შემოიფარგლა მხოლოდ ზეპირი განმარტებით, ისე, რომ მისი არგუმენტების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება მხარეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მხარე სადავოდ ხდის რა საქმის მასალებს (ექსპერტის დასკვნა და სხვა) და უსაფუძვლოდ თვლის, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები საქმის მასალებით არაა დადასტურებული, მას საქმეში არსებული მტკიცებულების გამაქარწყლებელი საფუძვლიანი არგუმენტიც კი არ წარუდგენია, ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმადაც სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან ამჟამად არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყვედეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

დასახელებული ნორმით რეგულირებულია საკითხი, როდესაც გადაწყვეტილებაში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის უსწორობა, რომელიც გავლენას ახდენს გადაწყვეტილებით აღიარებული უფლების რეალიზაციაზე. სასამართლოს გააჩნია სრული შესაძლებლობა, თავისივე ინიციატივით ან მხარის მიმართვის შემთხვევაში გაასწოროს ეს უსწორობა. სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს ქვეყნის სახელით გამოტანილ მართლმსაჯულების აღსრულებაუნარიან აქტს. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილებაში დაშვებულია მცირე უზუსტობა, რაც უტყუარად ირკვევა საქმის მასალებით და გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე, ამ უზუსტობის გამო, ილახება მართლმსაჯულების აქტით აღიარებული მხარის დაცვადი ინტერესი, სასამართლო ყოველთვისაა ვალდებული სათანადოდ გამოასწოროს უზუსტობანი.

თავის მხრივ, ის ფაქტი, რომ კანონმდებელმა სასამართლოს მიანიჭა ალტერნატივა უსწორობის გასწორების საკითხი განხილვის ფორმა თავადვე გადაწყვიტოს, გამომდინარეობს პროცესუალური ეკონომიის პრინციპიდან და სასამართლო ასეთ დროს ხელმძღვანელობს საკითხის სირთულისა და საქმის მასალების გათვალისწინებით. ამდენად, საკასაციო სასამართლო ვთანახმდება სააპელაციო პალატის მოსაზრებას საქმის განხილვის ფორმის თაობაზე და დაუსაბუთებლად თვლის კერძო საჩივრის არგუმენტს სასამართლოს მიერ უსწორობის გასწორებაზე ფაქტობრივი გარემოებათა დაუდგენლობისა და მხარეთათვის საქმის განხილვის დროისა და ადგილის შეუტყობინებლობის თაობაზე.

ამასთანავე, საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმადაც სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სს „ე. ჯ-ას“ კერძო საჩივრით სადავოდ არ გაუხდია ტრანსფორმატორის ნომერსა და გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში „ი-ის“ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხი, საკასაციო პალატა, ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე იზიარებს სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ გარემოებას და თვლის, რომ ამ ნაწილშიც სასამართლომ სწორად გაასწორა დაშვებული უსწორობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სს „ე. ჯ-ას“ კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ამასთან გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა კანონი, რის გამოც არ არსებობს მისი გაუქმების წინაპირობები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

ღ ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. სს „ე. ჯ-ას“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უსწორების განხორციელება

განხილვა

№ას-725-681-2012

2 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

ჯ. მ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და დ. ნ-ის მიმართ ქონების ყადაღისაგან განთავისუფლების მოთხოვნით შემდეგი დასაბუთებით: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 15 აპრილს გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელ ნ. ქ-ს მიერ დაყადაღებულ იქნა შემდეგი მოძრავი ნივთები: მაცივარი „ENIEM“, თეთრი გაზქურა და ტელევიზორი „TCL“. აღნიშნული ნივთები არა დ. ნ-ის, არამედ მოსარჩელის საკუთრებაა, რის გამოც ისინი უკანონოდ დაყადაღდა.

მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით ჯ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ყადაღისაგან გათავისუფლდა ჯ. მ-ის კუთვნილი დაყადაღებული ნივთები: მაცივარი „ENIEM“, თეთრი გაზქურა და ტელევიზორი „TCL“. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ნ-მა სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის დაკისრების ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 მარტის განჩინებით განჩინებით დ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივსამართლებრივ დავებში დასაშვებია, თუ მისი ღირებულება აღემატება 1000 ლარს. კონკრეტულ შემთხვევაში, ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით ჯ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ყადაღისაგან გათავისუფლდა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ 2011 წლის 9 ივნისის აქტით ჯ. მ-ის კუთვნილი დაყადაღებული მოძრავი ნივთები: მაცივარი „ENIEM“, თეთრი გაზქურა და ტელევიზორი „TCL“. მოპასუხე დ. ნ-ს დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის გადახდა. დ. ნ-მა წარადგინა სააპელაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის დაკისრების ნაწილში. სასამართლომ მიუთითა, რომ, ვინაიდან, სააპელაციო საჩივრის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს და შეადგენს მხოლოდ 100 ლარს, სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა დ. ნ-მა შემდეგი დასაბუთებით: დ. ნ-ს არ უნდა დაეკისრებოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა, ვინაიდან, იგი „ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის მოვალეობისაგან. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლომ მიერ უნდა დადგინდეს, დავა წარმოადგენს თუ არა ქონებრივსამართლებრივს და დავის საგანი აღემატება თუ არა 1000 ლარს. თავისი ხასიათის მიხედვით, დავა ნამდვილად ქონებრივსამართლებრივია, მაგრამ სააპელაციო საჩივარი ეხებოდა პროცესუალური ნორმების არასწორ გამოყენებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევა, რომ დ. ნ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, თუმცა, მიზანშეწონილად მიიჩნევა, შეცვალოს გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება.

განსახილველ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორი სააპელაციო საჩივრით ასაჩივრებდა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, მისთვის, მოსარჩელის სასარგებლოდ, სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის არაკანონიერად დაკისრების ნაწილში.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას იმის თაობაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან, დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს, წარდგენილი სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

მოცემულ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლომ დ. ნ-ს, რომელიც „ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდის მოვალეობისაგან, დააკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ დ. ნ-ი საქმის პირველი ინსტანციით განხილვის დროს წარმოადგენდა მოწინააღმდეგე მხარეს და სახელმწიფო ბაჟის გადახდის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ რაიმე მტკიცებულების წარმოდგენის საჭიროება არ იყო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დ. ნ-ის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივარი თავისი შინაარსით არ წარმოადგენს სააპელაციო საჩივარს შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

ზემოაღნიშნული მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ დ. ნ-ს განცხადებით უნდა მიემართა გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოსათვის და შესაბამისი მტკიცებულების დართვის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორება უნდა მოეთხოვა, რომელიც გადაწყვეტილებაში არსებული ხარვეზის გამოსწორების საშუალებაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დ. ნ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 30 მარტის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ ბ ი ნ ა:

დ. ნ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 მარტის განჩინება.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უსწორობის გასწორება

განჩინება

№ას-1149-1078-2012

7 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
თ. თოდრია

დავის საგანი: შვილიშვილის ნახვის დღეების განსაზღვრა

აღწერილობითი ნაწილი:

ი. კ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში შ.მ-ის მიმართ შვილიშვილის ნახვის დღეების განსაზღვრის შე-სახებ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 16 დეკემბრის გადან-ყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ი.კ-ს უფლება მიეცა, ინახულოს არასრულწლოვანი შვილიშვილი – ... წლის ... იანვარს დაბადებული კ. ა-ი ყოველი კვირის პარასკევს 15:00-დან 20:00 საათამდე, რაც შ. მ-ემ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 ივლისის გადან-ყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადანყვეტილება გა-უქმდა და ი. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ი. კ-ს განესაზღვრა შვილიშვილთან – ... წლის ... იანვარს და-ბადებულ კ. ა-ან ურთიერთობისთვის ყოველი კვირა 10:30 საათიდან 19:00 საათამდე, რომელიც ემთხვევა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 25 მაისის განჩინებით გ. ა-ის ბავშვთან საურთიერთობოდ დადგენილ დროს.

სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება შ. მ-ემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გა-უქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 8 ნოემბრის განჩინე-ბით შ. მ-ის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო, კასატორ შ. მ-ეს (პირადი №...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ან-გარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300773150) დაუბრუნდა სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ 2012 წლის 24 სექტემბერს №1 საგადასახადო დავალებით გადახდილი 150 ლარის 70% – 105 ლარი. 2012 წლის 12 დეკემბერს კასატორის მოთხოვნით გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

შ. მ-ემ განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს და მიუთითა, რომ საკასაციო სასამართლოს განჩინებასა და სააღსრულებო ფურცელში დაშვებულ იქნა უსწორობა, კერძოდ, თბილისის სახაზინო კო-დის – 300773150 ნაცვლად, სახელმწიფო ბაჟი მხარეს უნდა დაბრუნდებოდა რუსთავის სახაზინო კოდის – 300063150-ის მეშვეობით, რაც უნდა გასწორდეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად მიიჩ-ნევს, რომ შ.მ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 8 ნოემბრის №ას-1149-1078-2012 განჩინებასა და 2012 წლის 12 დეკემბერის სააღსრულებო ფურცელ-ში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადანყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. ამდენად, დასახელებული მუხლის საფუძველზე, სასამართლო მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გაასწორებს უზუსტობას იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ამა თუ იმ პროცესუალურ დოკუმენტში დაშვებულ იქნა უსწორობა. აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტა დასაშვებია როგორც სასამართლო სხდომაზე, ისე ზეპირი მოსმენის გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სადავო უსწორობის გასწო-რების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს განმცხადებლის მოსაზრებას, რომ საქართველოს უზენაესი სასა-მართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 8 ნოემბრის №ას-1149-1078-2012 განჩინების სარეზო-ლუციო ნაწილსა და 2012 წლის 12 დეკემბერის სააღსრულებო ფურცელში დაშვებულ იქნა უსწორობა, კერძოდ, რუსთავის სახაზინო კოდის ნაცვლად, სახელმწიფო ბაჟი დაუბრუნდა თბილისის სახაზინო კოდის მეშვეობით, ამდენად, მითითება: „კასატორ შ. მ-ეს (პირადი №...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300773150) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ 2012 წლის 24 სექტემბერს №1 საგადასახადო დავალებით გადახდილი 150 ლარის 70% – 105 ლარი“.

უნდა გასწორდეს შემდეგი სახით:

„კასატორ შ.მ-ეს (პირადი №...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300063150) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ 2012 წლის 24 სექტემბერს №1 საგადასახადო დავალებით გადახდილი 150 ლარის 70% – 105 ლარი.“

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა:

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 8 ნოემ-ბრის №ას-1149-1078-2012 განჩინების სარეზოლუციო ნაწილსა და ამ განჩინებაზე 2012 წლის 12 დეკემ-ბერს ამოწერილ სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობა, კერძოდ, მითითება: „კასატორ შ.მ-ეს

(პირადი №...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300773150) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ 2012 წლის 24 სექტემბერს №1 საგადასახადო დავალებით გადახდილი 150 ლარის 70% – 105 ლარი“ გასწორდეს შემდეგი სახით:

„კასატორ შ. მ-ეს (პირადი №...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300063150) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ 2012 წლის 24 სექტემბერს №1 საგადასახადო დავალებით გადახდილი 150 ლარის 70% – 105 ლარი.“

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უსწორების გასწორება

განჩინება

№ას-1046-981-2012

27 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ
მოსამართლე: ვ. როინიშვილი

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე რ. კ-ის წარმომადგენლის ფ. ბ-ას განცხადების საფუძველზე განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 აგვისტოს №ას-1046-981-2012 განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორების გასწორების შესახებ საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

რ. კ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. ქ-ის მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით რ. კ-ი სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე დ. ქ-ს რ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 650 ევრო. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს რ. კ-მა და დ. ქ-იმ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით დ. ქ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; რ. კ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება რ. კ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი; რ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, დ. ქ-ს რ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა დამატებით 1600 ევროს გადახდა; დ. ქ-ს რ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 226 ლარისა და 35 თეთრის გადახდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. კ-მა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 აგვისტოს განჩინებით რ. კ-ის წარმომადგენლის ფ. ბ-ას საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მომართა რ. კ-ის წარმომადგენელმა ფ. ბ-ამ და მოითხოვა მითითებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორების გასწორება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო მხარის მიერ წარმოდგენილ განცხადებას და თვლის, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორებანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის საკითხის განხილვისათვის.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორების გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 აგვისტოს განჩინების სამოტივაციო ნაწილში სიტყვები: „კასატორს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 713 ლარის ოდენობით, უნდა გასწორდეს შემდეგნაირად: რ. კ-ს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ 2012 წლის 6 ივლისს №1 საგადახდო დავალებით 270 ლარი, 2012 წლის 19 ივლისს №1 საგადახდო დავალებით 230 ლარი და 2012 წლის 20 ივლისს №1 საგადახდო დავალებით 213 ლარი და 23 თეთრი.

განჩინების და სააღსრულებო ფურცლის სარეზოლუციო ნაწილის მე-2 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: რ. კ-ს (პ/ №...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150 დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ 2012 წლის 6 ივლისს №1 საგადახდო დავალებით 270 ლარი, 2012 წლის 19 ივლისს №1 საგადახდო დავალებით 230 ლარი და 2012 წლის 20 ივლისს №1 საგადახდო დავალებით 213 ლარი და 23 თეთრი

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 260-ე, 285-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

რ. კ-ის წარმომადგენლის ფ. ბ-ას განცხადება დაკმაყოფილდეს.
გასწორდეს 2012 წლის 1 აგვისტოს განჩინების სამოტივაციო ნაწილში სიტყვები: „კასატორს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 713 ლარის ოდენობით, უნდა გასწორდეს შემდეგნაირად: რ. კ-ს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ 2012 წლის 6 ივლისს №1 საგადახდო დავალებით 270 ლარი, 2012 წლის 19 ივლისს №1 საგადახდო დავალებით 230 ლარი და 2012 წლის 20 ივლისს №1 საგადახდო დავალებით 213 ლარი და 23 თეთრი.

განჩინების და სააღსრულებო ფურცლის სარეზოლუციო ნაწილის მე-2 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: რ. კ-ს (პ/№...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150 დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით მის მიერ 2012 წლის 6 ივლისს №1 საგადახდო დავალებით 270 ლარი, 2012 წლის 19 ივლისს №1 საგადახდო დავალებით 230 ლარი და 2012 წლის 20 ივლისს №1 საგადახდო დავალებით 213 ლარი და 23 თეთრი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უსწორობის გასწორება

განჩინება

№ას-75-71-2013

7 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობით: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 თებერვლის №ას-75-71-2013 განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხი.

აღწერითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 თებერვლის განჩინებით შ. შ-ის კანონიერ წარმომადგენელ ლ. ს-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად.

განჩინების შესავალ ნაწილში დაშვებულია ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ, გასაჩივრებულ განჩინებად მითითებულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის განჩინება ნაცვლად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის განჩინებისა.

სამოტივაციო ნაწილი:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. დასახელებული მუხლის საფუძველზე, სასამართლო მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გაასწორებს უზუსტობას იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ ამა თუ იმ პროცესუალურ დოკუმენტში დაშვებულ იქნა უსწორობა. აღნიშნული საკითხის განხილვა და გადაწყვეტა დასაშვებია როგორც სასამართლო სხდომაზე, ისე ზეპირი მოსმენის გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

2013 წლის 18 თებერვლის №ას-75-71-2013 განჩინებაში დაშვებულია უზუსტობა, კერძოდ, შესავალ ნაწილში გასაჩივრებულ განჩინებად მითითებულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

მეთა პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის განჩინება ნაცვლად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის განჩინებისა აღნიშნულის გათვალისწინებით, განჩინებაში დაშვებული ზემომითითებული უსწორობა უნდა გასწორდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა:

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 თებერვლის №ას-75-71-2013 განჩინების შესავალ ნაწილში დაშვებულია უზუსტობა და გასაჩივრებულ განჩინებად მიეთითოს „თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის განჩინება“ ნაცვლად „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის განჩინებისა“;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უსწორების გასწორება

განჩინება

№ას-1117-1048-2012

26 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: სარჩოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ბ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ს. რ-ის“ მიმართ სარჩოს დაკისრების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით თ. ბ-ის სარჩელი, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 5 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივრები დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

2012 წლის 5 ნოემბრის განჩინებით საკასაციო სასამართლომ იმსჯელა რა სს „ს. რ-სა“ და თ. ბ-ის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების დაუშვებლობაზე, სარეზოლუციო ნაწილში, ნაცვლად სს „ს. რ-სა“ და თ. ბ-ის საკასაციო საჩივრები დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო, მიუთითა – სს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, თავისი ინიციატივით გაასწოროს ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ნოემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობა და ნაცვლად, სს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო, მიეთითოს სს „ს. რ-სა“ და თ. ბ-ის საკასაციო საჩივრები დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 260-ე, 284-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2012 წლის 5 ნოემბრის განჩინებაში დაშვებული შემდეგი უსწორობა:

სარეზოლუციო ნაწილში, ნაცვლად სს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო, მიეთითოს - სს „ს. რ-სა“ და თ. ბ-ის საკასაციო საჩივრები დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ის ა ლ ს რ უ ლ ე ბ ის გ ა დ ა დ ე ბ ა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-405-385-11

11 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: აღსრულების გადადება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით რ. ჭ-შვილის და დ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ც. მ-ნს რ. ჭ-შვილისა და დ. გ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 20 000 ლარის გადახდა ამ უკანასკნელთა მიერ განეული გაუმჯობესებების ხარჯების ასანაზღაურებლად.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე 2011 წლის 28 იანვარს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 13 იანვარს და ამავე წლის 4 მარტის შუამდგომლობით მიმართა ც. მ-ნმა, რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება სამი თვის ვადით და განმარტა, რომ მას ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით დაკისრებული აქვს 20 000 ლარის გადახდა რ. ჭ-შვილისა და დ. გ-შვილის სასარგებლოდ. განმცხადებლის განმარტებით, 2011 წლის 2 მარტს მიიღო სააღსრულებო შეტყობინება – წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ, რომლის მიხედვითაც მიეცა 7-დღიანი ვადა გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესასრულებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 9 მარტის განჩინებით ც. მ-ნის შუამდგომლობა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულება გადაიდო 2011 წლის 11 აპრილამდე. სააპელაციო პალატის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ერთჯერადად, 3 თვემდე ვადით გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილდოს გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე, შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, მხარეთა განცხადებები განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

სააპელაციო პალატის შეფასებით, დადგენილია, რომ ც. მ-ნს დაკისრებული აქვს 20 000 ლარის გადახდა რ. ჭ-შვილისა და დ. გ-შვილის სასარგებლოდ, ხოლო, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, შუამდგომლობის ავტორის ქონებას ადევს ყადაღა, რაც თავის მხრივ აბრკოლებს მის მიერ თანხის გადახდის ვალდებულების შესრულებას, აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების შესახებ შუამდგომლობის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 9 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ც. მ-ნმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულების 3 თვემდე ვადით გადავადება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ც. მ-ნის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმა-

ყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლი ადგენს სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, კერძოდ, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებები სავალდებულოა საქართველოს ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო სანარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს. აქედან გამომდინარე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების გადადების, შეჩერების საკითხები მკაცრად რეგლამენტირებული მოქმედი კანონმდებლობით, გამოიყენება მხოლოდ გამოჩვენების, განსაკუთრებულ შემთხვევებში და შეზღუდული ვადით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ერთჯერადად, 3 თვემდე ვადით გადაადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე, შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი. დასახელებული ნორმა ითვალისწინებს სასამართლოს შესაძლებლობას, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე და ორივე მხარის კანონიერ ინტერესთა ურთიერთშეჯერების შედეგად ერთჯერადად, არა უმეტეს 3 თვისა გადაადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, ასევე შეცვალოს გადაწყვეტილებით დადგენილი აღსრულების პირობები და საშუალება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე სარწმუნოდ დაასაბუთებს რაიმე ობიექტური გარემოების არსებობას ან მიუთითებს თავის მძიმე ქონებრივ მდგომარეობაზე, რაც სასამართლოს შეფასებით საფუძველად დაედება გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულ ზემოხსენებულ ღონისძიებათა გამოყენებას.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით ც. მ-ნს დაეკისრა 20 000 ლარის გადახდა რ. ჭ-შვილისა და დ. გ-შვილის სასარგებლოდ. ც. მ-ნმა მოითხოვა გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება იმ მოტივით, რომ მის ქონებას ადევს ყადაღა, რაც აბრკოლებს თანხის გადახდის ვალდებულების შესრულებას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულება გადაიდო 2011 წლის 11 აპრილამდე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მხარის მიერ მითითებული გარემოებები წარმოადგენდა გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების შესახებ შუამდგომლობის ნაწილობრივ დაკმაყოფილების კანონით გათვალისწინებულ ობიექტურ საფუძველს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად დააკმაყოფილა ნაწილობრივ ც. მ-ნის შუამდგომლობა.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნას სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების 3 თვით გადადების თაობაზე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საპროცესო ღონისძიებების განხორციელებისას მნიშვნელოვანია ორივე მხარის უფლებათა დაცვა. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განჩინებით გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება განხორციელებულია გონივრული ვადით, რაც საკმარისია მხარის მიერ ვალდებულების შესასრულებლად. აქედან გამომდინარე, არ არსებობს საკმარისი საფუძველები იმისათვის, რომ სასამართლომ გადაწყვეტილების აღსრულების ვადა უფრო მეტი ვადით გადადოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. ც. მ-ნის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 9 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა

განჩინება

№ას-1276-1296-2011 13 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: შვილების მიკუთვნება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. მ-ვამ სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. ა-ის მიმართ არასრულწლოვანი შვილების – ს., ს. და გ. ა-ების აღსაზრდელად გადაცემის შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი ს. და გ. ა-ების საცხოვრებელ ადგილად დედის ადგილსამყოფელის განსაზღვრის ნაწილში ცნო, ხოლო ს. ა-ის დედისათვის გადაცემაზე უარი განაცხადა.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით ლ. მ-ვას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 2001 წლის 6 დეკემბერს დაბადებული ს. ა-ა და 2008 წლის 5 თებერვალს დაბადებული გ. ა-ა აღსაზრდელად გადაეცა მოსარჩელე ლ. მ-ას და ბავშვების საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის – მოსარჩელე ლ. მ-ვას საცხოვრებელი ადგილი, 2005 წლის 28 მარტს დაბადებული ს. ა-ი აღსაზრდელად გადაეცა მოპასუხე რ. ა-ს და ბავშვის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა მამის – რ. ა-ის საცხოვრებელი ადგილი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით ლ. მ-ვას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდა და ლ. მ-ვას სარჩელი დაკმაყოფილდა, 2011 წლის სექტემბრიდან 2005 წლის 28 მარტს დაბადებული ს. ა-ი აღსაზრდელად გადაეცა დედას და ამ დროიდან მის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის – ლ. მ-ვას საცხოვრებელი ადგილი.

ლ. მ-ამ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა საკასაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 სექტემბრის განჩინებით ლ. მ-ვას შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლით და მიიჩნია, რომ ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევას კანონი არ ითვალისწინებს, თუმცა, ცხადია, რომ დაუყოვნებლივ აღსრულებას კანონი უშვებს გადაწყვეტილებით დაცული უფლების დაუშვებელი შელახვის საფრთხის არსებობისას.

მოცემულ შემთხვევაში 2011 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება მოტივირებულ იქნა მცირეწლოვანი ს. ა-ის ინტერესების დაცვის განსაკუთრებული საჭიროებით. იმის გათვალისწინებით, რომ დაცული უფლება ხასიათდება სპეციფიკურობით – მოზარდის განვითარების ინტერესი მოითხოვს გარკვეული პირობების შექმნას სათანადო პერიოდების შესაბამისად, მისი სრულყოფილი რეალიზაციისათვის არსებითია საჭირო მოქმედებათა დროულად განხორციელება.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2011 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვალდებულება, ს. ა-ის დედასა და დებთან დაახლოება, რ. ა-ს უნდა შეესრულებინა 2011 წლის სექტემბრამდე, რაც დაკავშირებულია ამ დროიდან სასკოლო სწავლის პროცესის დაწყებასა და ბავშვის იმ სკოლაში შესვლის საჭიროებასთან, რომელიც შეესაბამება მისთვის განსაზღვრულ საცხოვრებელ ადგილს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვალა, რომ 2011 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ პუნქტის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე რ. ა-მა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ პუნქტი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას არ ითვალისწინებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 სექტემბრის განჩინებით რ. ა-ის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. ა-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები: აღიშენების მიკუთვნების შესახებ; დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ; მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ; უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ; თამასუქისა და ჩეკის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებების შესახებ.

ბები; ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების და-
ყოვნებამ შეიძლება გადამხდელი მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან თუ გადაწყვეტილების აღ-
სრულება შეუძლებელი აღმოჩნდება.

მითითებული ნორმა შეიცავს გადაწყვეტილებათა იმ კატეგორიის ჩამონათვალს, რომლებიც შესაძლოა
დაუყოვნებლივ აღსრულდეს, თუმცა აღნიშნული ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. კანონმდებელი უშ-
ვებს ისეთი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესაძლებლობასაც, რომე-
ლიც ხსენებულ ნორმაში პირდაპირ მითითებული არ არის, თუმცა მისი დაუყოვნებლივ აღსრულება გან-
პირობებულია ობიექტური აუცილებლობით.

მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული განჩინებით დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცა სააპე-
ლაციო პალატის გადაწყვეტილება არასწორულწლოვანი ბავშვის – ს. მ-ის საცხოვრებელი ადგილის გან-
საზღვრის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ ზემოაღნიშნული კანონის დანაწესის სა-
ფუძველზე სავსებით მართებულად მიაქცია სადავო გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად,
ვინაიდან ჩათვალა, რომ საფრთხე ექმნებოდა მოზარდის ინტერესებს და დაუყოვნებლივ აღსრულება
ხელს შეუწყობდა სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ საჭირო ვადაში მისი საცხოვრებელი ადგი-
ლის შეცვლას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემული მომენტისათვის რ. ა-ის კერძო საჩივ-
რის მოთხოვნას სამართლებრივი მნიშვნელობა დაკარგული აქვს, რადგან რ. ა-ის საკასაციო საჩივრის გა-
ნუხილველად დატოვების პირობებში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალა-
ტის 2011 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება ს. მ-ის დედისათვის გადაცემის შესახებ შესულია კანონიერ ძა-
ლაში. ასევე დამდგარი და გასულიცაა გადაწყვეტილებით ბავშვის დედისათვის გადაცემის ვადა – 2011
წლის სექტემბერი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების
გაუქმების იურიდიული საფუძველი არ არსებობს და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

ღ ა ა ღ ბ ი ნ ა:

რ. ა-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 სექტემბრის განჩი-
ნება დარჩეს უცვლელად.
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შარი დაკარგული საქმის წარმოების აღდგენაზე

ბანჩინება

№ას-1015-952-2010

29 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 12 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხა-
დებით მიმართა ქ. ფ-შვილმა და მოითხოვა დაკარგული საქმის წარმოების აღდგენა შემდეგი საფუძველ-
ებით: თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილე-
ბით მისი (ქ. ფ-შვილის) სარჩელი მოპასუხე ნ. კ-იანის მიმართ ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათი-
ლად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც გასაჩივრდა სააპელაციო წესით; მისთვის დღემდე უცნობია
საქმის სააპელაციო წესით განხილვის შედეგი და შედეგთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებული
საპროცესო დოკუმენტები; ვინაიდან მას საქმის განხილვის ინტერესი არ დაუკარგავს, საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 351¹-351⁶ მუხლების თანახმად, მოსარჩელემ მოითხოვა დაკარგული საქ-
მის წარმოების აღდგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ივნისის განჩინებით
ქ. ფ-შვილის განცხადება დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ არ დაკმაყოფილდა შემდეგი

საფუძვლებით: პალატამ მიიჩნია, რომ დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის მიზანი შეიძლება იყოს დაუმთავრებელი საქმის წარმოების გაგრძელების ინტერესი, მაგრამ ამასთან გასათვალისწინებელია, რომ დაინტერესებულმა პირმა არ უნდა დაკარგოს საქმის წარმოების გაგრძელების პროცესუალური შეესაძლებლობა; დადგენილად ცნო, რომ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით ქ. ფ-შვილის სარჩელი მოპასუხე ნ. კ-იანის მიმართ ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ფ-შვილმა; თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების სამქთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 9 მარტის განჩინებით ქ. ფ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად და ამავე წლის 16 მაისს საქმე დაუბრუნდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს; ამდენად, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა განმცხადებლის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მისთვის უცნობია სააპელაციო საჩივრის განხილვის შედეგი, ვინაიდან მიიჩნია, რომ 2009 წლამდე ქ. ფ-შვილი არც ერთხელ არ დაინტერესებულა მის მიერ შეტანილი სააპელაციო საჩივრის განხილვის შედეგით; სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ასეთ ვითარებაში სწორედ განმცხადებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ მცდელობის მიუხედავად, მან 9 წლის მანძილზე ვერ შეძლო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების მიღება და კანონით დადგენილი წესით მისი გასაჩივრება. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ქ. ფ-შვილს გაშვებული აქვს მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადები, შესაბამისად, მას აღარ გააჩნია დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის კანონიერი ინტერესი. სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 351¹ მუხლზე და ამავე კოდექსის 351³ მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ივნისის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ქ. ფ-შვილმა და მიუთითა, რომ საქმე დაიკარგა თავად დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს კანცელარიის მუშაკთა დაუდევრობით, რამაც დაარღვია მისი, როგორც მოქალაქის კონსტიტუციური უფლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ქ. ფ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ივნისის განჩინებით ქ. ფ-შვილს მართებულად ეთქვა უარი განცხადების დაკმაყოფილებაზე დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ, კერძოდ: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 351¹ მუხლის თანახმად, დაკარგული საქმის წარმოება შეიძლება აღდგენილ იქნეს მხარეთა განცხადებით, ხოლო, ამავე კოდექსის 351³ მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, განცხადება დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ უნდა შეიცავდეს მითითებას, რა მიზნით ესაჭიროება განმცხადებელს დაკარგული მასალების აღდგენა.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სწორედ განმცხადებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ მას არ დაუკარგავს საქმის განხილვის ინტერესი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ, ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სწორად მიუთითა, რომ დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის მიზანი შეიძლება იყოს დაუმთავრებელი საქმის წარმოების გაგრძელების ინტერესი, მაგრამ ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ დაინტერესებულმა პირმა არ უნდა დაკარგოს საქმის წარმოების გაგრძელების პროცესუალური შესაძლებლობა.

საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით ქ. ფ-შვილის სარჩელი მოპასუხე ნ. კ-იანის მიმართ ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ფ-შვილმა; თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების სამქთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 9 მარტის განჩინებით ქ. ფ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

კერძო საჩივრის ავტორი ვერც განცხადებაში და ვერც კერძო საჩივარში ვერ ასაბუთებს სააპელაციო საჩივრის შეტანიდან გასული წლების განმავლობაში რატომ არ მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე და რატომ არ გაასაჩივრა იგი. მოცემულ შემთხვევაში ასევე არ დასტურდება ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების დავის საგანთან დაკავშირებით ქ. ფ-შვილის კანონიერი უფლებები.

ამდენად, სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით მართებულად მიიჩნია, რომ არ არსებობს ქ. ფ-შვილის განცხადების დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 419-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ქ. ფ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ივნისის განჩინება
დარჩეს უცვლელი.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო განსაჩივრებაზე უარის თქმა

განჩინება

№ას-302-290-2012

19 აპრილი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ბავშვის ნახვის დღეების განსაზღვრა

აღწერილობითი ნაწილი:

ო. ბ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ბ-ის წინააღმდეგ და მოითხოვა არასრულწლოვანი შვილის – 2010 წლის 14 იანვარს დაბადებული ე. ბ-ის ნახვის დღეების განსაზღვრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით ედუარდ ბ-ს არასრულწლოვანი შვილის 2010 წლის 14 იანვარს დაბადებული ე. ბ-ის ნახვის დღეებზე განსაზღვრა პირველი ორი თვე შაბათი და კვირა დღე – 15:00 საათიდან 18:00 საათამდე, დედის საცხოვრებელი ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო ორი თვის შემდეგ შაბათი და კვირა დღე 11:00 საათიდან 15:00 საათამდე, ბავშვის წაყვანისა და დედასთან დაბრუნების უფლებით.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ბ-მა და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 თებერვლის განჩინებით ა. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან მხარეებმა წერილობით განაცხადეს უარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად, ა. ბ-ის სააპელაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ბ-მა და მოითხოვა მისი გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ ა. ბ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლის თანახმად, თუ მხარეები მოითხოვენ გადაწყვეტილებას დასაბუთების გარეშე იმ მოტივით, რომ ეთანხმებიან ამ გადაწყვეტილებას და უარს ამბობენ მის გასაჩივრებაზე, სასამართლოს შეუძლია შემოიფარგლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებით. მოსამართლე ეკითხება მხარეებს, სურთ თუ არა დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება და ასაჩივრებენ თუ არა მოცემულ გადაწყვეტილებას. თუ მხარეები უარს ამბობენ მის გასაჩივრებაზე, მათ ასეთი განცხადება უნდა დაადასტურონ თავიანთი ხელმოწერით.

განსახილველ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2011 წლის 15 დეკემბერს აღნიშნულ საქმეზე გამოცხადდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რის შემდეგ მხარეებმა, დასახელებული მუხლის თანახმად, მოითხოვეს გადაწყვეტილება დასაბუთების გარეშე იმ მოტივით, რომ ეთანხმებოდნენ გადაწყვეტილებას და უარს ამბობდნენ მის გასაჩივრებაზე, რის თაობაზეც ჩამოერთვათ ხელწერილი, შესაბამისად, სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებით.

საპროცესო კანონმდებლობით, ნებისმიერი უფლების რეალაზაცია დამოკიდებულია თვით მხარის ნებაზე. აღნიშნული დებულება გამომდინარეობს სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპიდან-დისპოზიციურობის პრინციპი (სსკ-ის მე-3 მუხლი), რაც ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას განკარგონ თავიანთი როგორც მატერიალური, ისე საპროცესო უფლებები. დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარეობს მხარეთა საპროცესო უფლება გაასაჩივრონ სასამართლო გადაწყვეტილებები ან შეურიგდნენ ამ გადაწყვეტილებას, ცნონ იგი. განსახილველ შემთხვევაში, ა. ბ-მა განკარგა თავისი საპროცესო უფლება, უარი განაცხადა გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე, რითაც ფაქტობრივად ცნო იგი და მისი შედეგები, რაც ცხადყოფს, რომ სააპელაციო სასამართლომ მისი სააპელაციო საჩივარი, სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად, სწორად დატოვა განუხილველად დაუშვებლობის გამო და არ არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 თებერვლის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

ა. ბ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 თებერვლის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გასაჩივრების უფლების მქონე პირთა წრა

განჩინება

№ას-1186-1115-2012 5 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: წარდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. გ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ამხანაგობა „გ.-2007-ის“ მიმართ მოპასუხისაგან წარდობის ხელშეკრულებების საფუძველზე მისაღები უძრავი ქონების მიუღებლობით მიყენებული ზიანის – 189500 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ლ. გ-მა მოითხოვა მოპასუხეებად იბა „გ.-2007-ის“ დამფუძნებლების – მ. გ-ს, ლ. ხ-ის, ნ. დ-ის, ნ. ე-ისა და ა. ო-ის საქმეში მოპასუხეებად ჩაბმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით ლ. გ-ის სარჩელი ამხანაგობა „გ.-2007-ის“, მ. გ-ს, ლ. ხ-ის, ნ. დ-ის, ნ. ე-ისა და ა. ო-ის მიმართ დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 189500 აშშ დოლარის გადახდა, რაც მ. გ-მ, ლ. ხ-მა, ნ. დ-მა, ნ. ე-მა, ასევე ე. გ-ის წარმომადგენელმა დ. გ-მა, ე. უ-მ, მ. ჩ-მ, ბ. ნ-მ, ნ. დ-მ, ნ. შ-მ, ე. ქ-მ, ა. ქ-მ, ნ. ქ-მ, შ. ბ-მა, თ. ფ-მა, ზ. კ-მა, ა. კ-მ, მ. მ-მ, გ. ნ-მ, ნ. ჩ-მა, ნ. გ-მა, ა. გ-მ, დ. გ-მა, ლ. ფ-მა, თ. ფ-მა, ს. ქ-მ, ლ. ო-მ, თ. ს-მა, გ. გ-მა, შ. ქ-მ, თ. შ-ს მინდობილობით რ. მ-მ, თ. მ-მ, ქ. გ-მა, თ. ქ-მ, მ. ს-მა, ვ. ნ-მ, თ. ბ-მა, თ. ქ-მ, გ. შ-მ, პ. ბ-მ, ა. კ-მ, გ. ნ-მა, შ. გ-მა, ნ. მ-მა, ი. კ-მა, ქ. ბ-მ, გ. ლ-მა, ნ. მ-მ და ნ. ქ-მ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ივლისის განჩინებით ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „გ.-2007-ის“ წევრების სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2012 წლის 6 მარტს წარდგენილ სარჩელში მოსარჩელემ მოპასუხედ დაასახელა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „გ.-2007“. 2012 წლის 9 მარტს მან დააზუსტა მოპასუხეთა წრე და წარმოდგენილ სარჩელზე მოპასუხეებად მიუთითა ამავე ამხანაგობის დამფუძნებლები – მ. გ-ა, ლ. ხ-ი, ნ. დ-ე, ნ. ე-ი და ა. ო-ე. ამდენად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოპასუხეებს საქმეში სწორედ ეს უკანასკნელნი წარმომადგენდნენ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ ამხანაგობის წევრები ხსენებული ნორმით გათვალისწინებული სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე სუბიექტები არ არიან და მათი სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ლ. ხ-მა, ნ. დ-მა, ნ. ე-მა, ასევე ე. გ-ის წარმომადგენელმა დ. გ-მა ე. უ-მ, მ. ჩ-მ, ბ. ნ-მ, ნ. დ-მ, ნ. შ-მ, ე. ქ-მ, ა. ქ-მ, ნ. ქ-მ, შ. ბ-მა, თ. ფ-მა, ზ. კ-მა, ა. კ-მ, მ. მ-მ, გ. ნ-მ, ნ. ჩ-მა, ნ. გ-მა, ა. გ-მ, დ. გ-მა, ლ. ფ-მა, თ. ფ-მა, ს. ქ-მ, ლ. ო-მ, თ. ს-მა, გ. გ-მა, შ. ქ-მ, თ. შ-ს მინდობილობით რ. მ-მ, თ. მ-მ, ქ. გ-მა, თ. ქ-მ, მ. ს-მა, ვ. ნ-მ, თ. ბ-მა, თ. ქ-მ, გ. შ-მ, პ. ბ-მ, ა. კ-მ, გ. ნ-მა, შ. გ-მა, ნ. მ-მა, ი. კ-მა, ქ. ბ-მ, გ. ლ-მა, ნ. მ-მ და ნ. ქ-მ შეიტანეს კერძო საჩივარი, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ დააზუსტა მოპასუხეთა წრე და მოპასუხეებად მიუთითა ამხანაგობის დამფუძნებლები. რეალურად ლ. გ-მა მოითხოვა სადავო ამხანაგობასთან ერთად მოპასუხედ ჩაბმულიყვენენ მისი დასახელებული დამფუძნებლები.

სააპელაციო პალატამ არ ჩათვალა რა ამხანაგობა „გ.-2007“ მოპასუხედ, პრაქტიკულად ისე შეცვალა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი, რომ არც კი განუხილავს სააპელაციო საჩივარი.

აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე განიხილა ამხანაგობის წევრთა მონაწილეობის გარეშე, რაც უკანონოა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს ე. გ-ის წარმომადგენელ დ. გ-ის, ე. უ-ს, მ. ჩ-ის, ბ. წ-ს, ნ. დ-ის, ნ. შ-ის, ე. ჭ-ს, ა. ჭ-ს, ნ. ჭ-ს, შ. ბ-ის, თ. ფ-ის, ზ. კ-ის, ა. კ-ის, მ. მ-ის, გ. წ-ს, ნ. ჩ-ის, ნ. გ-ის, ა. გ-ის, დ. გ-ის, ლ. ფ-ის, თ. ფ-ის, ს. ჭ-ის, ლ. ო-ის, თ. ს-ის, გ. გ-ის, შ. ქ-ის, თ. შ-ს მინდობილობით რ. მ-ს, თ. მ-ის, ქ. გ-ის, თ. ჭ-ის, მ. ს-ის, ვ. წ-ის, თ. ბ-ის, თ. ქ-ს, გ. შ-ს, პ. ბ-ს, ა. კ-ის, გ. წ-ის, შ. გ-ის, ნ. მ-ის, ი. კ-ის, ქ. ბ-ის, გ. ლ-ის, ნ. მ-ისა და ნ. ქ-ს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს პირველი ინსტანციით გატანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ კანონმდებელი განსაზღვრავს სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილების მქონე პირთა წრეს და ასეთად მიიჩნევს მხარეებს, მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ განუხილველად დატოვა ე. უ-სა და სხვათა სააპელაციო საჩივარი იმ მოტივით, რომ აპელანტები ზემოხსენებული ნორმით დადგენილ პირთა წრეს არ განეკუთვნებიან.

სადავო სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით ლ. გ-ის სარჩელი ამხანაგობა „გ.-2007-ის“, მ. გ-ს, ლ. ხ-ის, ნ. დ-ის, ნ. ე-ისა და ა. ო-ის მიმართ დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 189500 აშშ დოლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ აპელანტები, რომელთა მოთხოვნათ განუხილველად იქნა დატოვებული, არიან ამხანაგობა „გ.-2007-ის“ წევრები და აღნიშნული საკითხი სადავოდ არ გამხდარა. პალატა ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლ წინადადებაზე, რომლის მიხედვით თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, ერთობრივი ხელშეკრულების (ამხანაგობის) მონაწილეები ერთობლივად უძღვევიან საქმეებს და წარმოადგენენ ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ამასთან, ამავე კოდექსის 937-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადებით, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად.

კანონის აღნიშნული ნორმების შესაბამისად, ამხანაგობა მესამე პირებთან ურთიერთობაში შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მისი წევრების მეშვეობით, საიდანაც გამომდინარეობს, რომ ამხანაგობის წევრებს სრული უფლება გააჩნიათ, იდავონ სასამართლოში ამხანაგობის სახელით.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებაში ამხანაგობა „გ.-2007“ მითითებულია ერთ-ერთ მოპასუხედ. ამავედროულად ცხადია, რომ სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უშუალოდ ეხება ამხანაგობა „გ.-2007-ის“ წევრთა უფლებებს, – მათ ხსენებული ამხანაგობის დამფუძნებლებთან ერთად დაეკისრათ სოლიდური თანხის გადახდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ე. უ-სა და სხვათა სააპელაციო საჩივარი არასწორად დარჩა განუხილველად და პალატამ აპელანტები სააპელაციო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილ პირებად არასწორად არ ჩათვალა.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორთა მითითებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე მათი მონაწილეობის გარეშე უკანონოდ განიხილა, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული საკითხი სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების ფარგლებს სცდება და ამ ეტაპზე საკასაციო პალატის შეფასების საგანი ვერ გახდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

ღ ა ა ღ ბ ი ნ ა :

ლ. ხ-ის, ნ. დ-ის, ნ. ე-ის, ე. გ-ის წარმომადგენელ დ. გ-ის, ე. უ-ს, მ. ჩ-ის, ბ. წ-ს, ნ. დ-ის, ნ. შ-ის, ე. ჭ-ს, ა. ჭ-ს, ნ. ჭ-ს, შ. ბ-ის, თ. ფ-ის, ზ. კ-ის, ა. კ-ის, მ. მ-ის, გ. წ-ს, ნ. ჩ-ის, ნ. გ-ის, ა. გ-ის, დ. გ-ის, ლ. ფ-ს, თ. ფ-ის, ს. ჭ-

ის, ლ. ო-ის, თ. ს-ის, გ. გ-ის, შ. ქ-ის, თ. შ-ს მინდობილობით რ. მ-ს, თ. მ-ის, ქ. გ-ის, თ. ჭ-ის, მ.ს-ის, ვ. ნ-ის, თ. ბ-ის, თ. ქ-ს, გ. შ-ს, პ. ბ-ს, ა. კ-ის, გ. წ-ის, შ. გ-ის, ნ. მ-ის, ი. კ-ის, ქ. ბ-ის, გ. ლ-ის, ნ. მ-ისა და ნ. ქ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ივლისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ე. გ-ის წარმომადგენელ დ. გ-ის, ე. უ-ს, მ. ჩ-ის, ბ. წ-ს, ნ. დ-ის, ნ. შ-ის, ე. ჭ-ს, ა. ჭ-ს, ნ. ჭ-ს, შ. ბ-ის, თ. ფ-ის, ზ. კ-ის, ა. კ-ის, მ. მ-ის, გ. წ-ს, ნ. ჩ-ის, ნ. გ-ის, ა. გ-ის, დ. გ-ის, ლ. ფ-ის, თ. ფ-ის, ს. ჭ-ის, ლ. ო-ის, თ. ს-ის, გ. გ-ის, შ. ქ-ის, თ. შ-ს მინდობილობით რ. მ-ს, თ. მ-ის, ქ. გ-ის, თ. ჭ-ის, მ. ს-ის, ვ. ნ-ის, თ. ბ-ის, თ. ქ-ს, გ. შ-ს, პ. ბ-ს, ა. კ-ის, გ. წ-ის, შ. გ-ის, ნ. მ-ის, ი. კ-ის, ქ. ბ-ის, გ. ლ-ის, ნ. მ-ისა და ნ. ქ-ს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის ღირებულება

ბანჩინება

№ას-1671-1659-2011

9 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ლ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ. ლ-ას მიმართ ალიმენტის დაკისრების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: 1998 წლის 23 ივლისიდან იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში მოპასუხე ზ. ლ-ასთან. 1999 წლის 2 აგვისტოს შეეძინათ შვილი მ. ლ-ა. ცოლქმრული თანაცხოვრების 4 წლის შემდეგ ურთიერთობები გამწვავდა. მოპასუხე ცხოვრობს სხვა ქალთან ერთად, რის გამოც იძულებული შეიქნა შვილთან ერთად დაბრუნებულიყო მშობლებთან. შვიდი წელია მასთან ურთიერთობა აღარ აქვს. ამ ხნის განმავლობაში მოპასუხე ზ. ლ-ას შვილის რჩენასა და აღზრდაში მონაწილეობა არ მიუღია. ამჟამად შეიცვალა მისი მატერიალური მდგომარეობა. არის პედაგოგი, მუშაობს ზუგდიდის №11 საჯარო სკოლაში. მხოლოდ ხელფასით ვერ უზრუნველყოფს შვილის აღზრდასა და რჩენას. ზ. ლ-ა სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ვალდებულია, იზრუნოს თავის არასრულწლოვან შვილზე.

მოპასუხემ ნაწილობრივ ცნო სარჩელი. იგი თანახმაა მისი არასრულწლოვანი შვილის მ. ლ-ას სარჩოდ ყოველთვიურად გადაიხადოს ალიმენტი 30 ლარის ოდენობით.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით ე. ლ-ას სარჩელი ზ. ლ-ას მიმართ ალიმენტის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ზ. ლ-ას მისი არასრულწლოვანი შვილის – მ. ლ-ას სასარგებლოდ ბავშვის სრულწლოვანებამდე დაეკისრა ყოველთვიური სარჩოს – ალიმენტის გადახდა სარჩელის შეტანის დღიდან, 2011 წლის 5 სექტემბრიდან თვეში 100 ლარის ოდენობით, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ლ-ამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით ზ. ლ-ას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგი საფუძვლებით: იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტი ითხოვს ყოველთვიურად გადასახდელად დაკისრებული ალიმენტის შემცირებას 70 ლარით, სააპელაციო საგნის ღირებულება შეადგენს 840 ლარს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, პალატამ მიიჩნია, რომ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს, შესაბამისად სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ზ. ლ-ამ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელე თავდაპირველად ითხოვდა ალიმენტის – თვეში 300 ლარის დაკისრებას. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და დააკისრა თვეში 100 ლარი, ანუ გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული ნაწილი შეადგენს 1200 ლარს, შესაბამისად, დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ლ-ას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, კანონი ქონებრივი დავის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის გარკვეულ შემზღვევას ანებსებს, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს.

მოცემული დავა ეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ალიმენტის გადახდევინებას და მისი ღირებულება განისაზღვრება ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხის ერთობლიობით. ამავ ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, გასაცემის ან გადასახდელის შემცირების ანდა გადიდების შესახებ სარჩელის დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება იმ თანხით, რომლითაც მცირდება ანდა დიდდება გასაცემი ან გადასახდელი, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლის განმავლობაში.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით ე. ლ-ას სარჩელი ზ. ლ-ას მიმართ ალიმენტის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ზ. ლ-ას მისი არასრულწლოვანი შვილის - მ. ლ-ას სასარგებლოდ ბავშვის სრულწლოვანებამდე დაეკისრა ყოველთვიური სარჩოს - ალიმენტის გადახდა სარჩელის შეტანის დღიდან, 2011 წლის 5 სექტემბრიდან თვეში 100 ლარის ოდენობით, რაც ზ. ლ-ამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. სააპელაციო საჩივრით მხარე არ დაეთანხმა აღნიშნულ ოდენობას 70 ლარის ნაწილში და მოითხოვა მისთვის ალიმენტის სახით ყოველთვიურად არა 100 ლარის, არამედ 30 ლარის დაკისრება, შესაბამისად, აპელანტმა გადაწყვეტილება სადავოდ გახადა მისთვის 70 ლარის დაკისრების ნაწილში. ამდენად, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა გამოანგარიშდეს ერთ წელზე (12 თვეზე) 70 ლარის გაანგარიშებით, რაც შეადგენს 840 ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ზ. ლ-ას სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება 840 ლარით სწორად განსაზღვრა და მიიჩნია, რომ იგი კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობას - 1000 ლარს არ აღემატება, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

ღ ა ა ღ გ ი ნ ა:

ზ. ლ-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის ღირებულება

განჩინება

№ას-1745-1726-2011

9 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. კ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე შპს ... საავადმყოფოს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2008 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვის სახელფასო დავალიანება 248.25 ლარი და ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0.07% გადაწყვეტილების აღსრულებამდე; სარჩელის მოთხოვნა 2007 წლის ნოემბრის და დეკემბრის, აგრეთვე, 2008 წლის იანვრის და თებერვლის თვეების სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ, არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო; მოპასუხეს დაეკისრა 100 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება 2007 წლისა და 2008 წლის 2 თვის სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. კ-მა. აპელანტმა მოითხოვა საქმეზე ახალი გადაწყვეტილების გამოტანა, რომლითაც მოპასუხეს მის სასარგებლოდ დაე-

კისრებოდა სახელფასო დავალიანება, კერძოდ, 2007 წლის ნოემბრის, დეკემბრის, 2008 წლის იანვრის, თებერვლის ხელფასები, აგრეთვე, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაყოვნებული თანხის 0.07%.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 ნოემბრის განჩინებით ნ. კ.-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლი, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში აპელანტმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა ნაწილობრივ, სარჩელით იგი მოითხოვდა მოპასუხისათვის სახელფასო დავალიანებისა და საბოლოო ანგარიშსწორების დაყოვნებისათვის დაყოვნებული თანხის 0.07%-ის, მთლიანობაში 955.92 ლარის დაკისრებას.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, რამდენადაც გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, დაუკმაყოფილებელ ნაწილში სააპელაციო საჩივრის ღირებულება სარჩელის მოთხოვნის მიხედვით შეადგენდა 545.17 ლარს. ამ თანხაში შედიოდა სახელფასო დავალიანება – 291.72 ლარი და ანგარიშსწორების დაყოვნების 0.07% – 253.45 ლარი. დასახელებული თანხის ოდენობის განსაზღვრისას, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ მოსარჩელისათვის ასანაზღაურებელი ხელფასი და ანგარიშსწორების დაყოვნების პროცენტი შეადგენდა:

2007 წლის ნოემბრის თვეში – 62.64 ლარს + 0.07% (56.56 ლარი);

2007 წლის დეკემბრის თვეში – 73.08 ლარი + 0.07% (64.46 ლარი);

2008 წლის იანვრის თვეში – 66.00 ლარი + 0.07% (56.83 ლარი);

2008 წლის თებერვლის თვეში – 90.00 + 0.07% (75.6 ლარი).

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით, ფულის გადახდევინების შესახებ სარჩელის დავის საგნის ფასი განისაზღვრება გადასახდელი თანხით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრის ღირებულება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით გათვალისწინებულ 1000 ლარზე ნაკლები იყო, ვინაიდან ეს ღირებულება შეადგენდა 545.17 ლარს. ამდენად, არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების წინაპირობა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლიდან გამომდინარე, მის განუხილველად დატოვებას განაპირობებდა.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 18 ნოემბრის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ნ. კ.-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვა, შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სახეზეა შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავა სახელფასო დავალიანების ანაზღაურებასთან დაკავშირებით. ასეთი კატეგორიის სარჩელზე, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პირი თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. მითითებული ნორმის მიხედვით, სასამართლოში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლებიან ფიზიკური პირები სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით, სახელფასო დავალიანებასთან დაკავშირებით წარდგენილ სააპელაციო საჩივარზე, არ ვრცელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის მოთხოვნა, რომლითაც სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ერთ-ერთ წინაპირობად დადგენილია ის, რომ სააპელაციო საჩივრის დავის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს;

პირველი ინსტანციის წესით საქმის განმხილველმა მოსამართლემ პირდაპირ მიუთითა გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობაზე, მიუხედავად იმისა, რომ დავის საგნის ღირებულება გადაწყვეტილების სრულად გასაჩივრების შემთხვევაშიც არ აღემატებოდა 1000 ლარს. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, აღნიშნული ფაქტორი გასათვალისწინებელია სადავო საკითხის განხილვისას;

კერძო საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ განსახილველ საქმეზე არსებობს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი. ეს იმაში გამოიხატება, რომ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. იმის მიუხედავად, რომ საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილია მოპასუხე შპს ... საავადმყოფოს 2011 წლის 2 მარტის №416 წერილი, რომლითაც წერილის ავტორი აღიარებს ვალის არსებობას და იძლევა დაპირებას დავალიანების 2011 წლის მეორე კვარტალში ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სასამართლომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მოსარჩელეს უარი უთხრა 2008 წლის იანვრისა და თებერვლის თვის სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაზე. სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, იგივე წესი გამოიყენება ვალდებულებების პირის აღიარებისა და უზრუნველყოფის საშუალებათ მიმართაც.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. კ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 ნოემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დგინდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. კ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე შპს ... საავადმყოფოს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2008 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვის სახელფასო დავალიანება 248.25 ლარი, აგრეთვე, ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0.07% გადაწყვეტილების აღსრულებამდე; სარჩელის მოთხოვნა 2007 წლის ნოემბრის და დეკემბრის, აგრეთვე, 2008 წლის იანვრის და თებერვლის თვეების სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

დგინდება ისიც, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ნ. კ-ის წარმომადგენელმა დ. ს-ემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა 2007 წლისა და 2008 წლის 2 თვის სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში.

დადგენილია და კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ მისი სააპელაციო საჩივრის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება 1000 ლარს აღემატება. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. მოცემულ შემთხვევაში მართებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ნ. კ-ის სააპელაციო საჩივრის დაუშვებლობის თაობაზე, რამდენადაც წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით განსაზღვრულ დასაშვებობის პირობას, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ვინაიდან განსახილველ სარჩელზე იგი კანონით გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ამიტომ მისი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე არ უნდა გავრცელდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას უკავშირებს ქონებრივ-სამართლებრივ დავებში დავის საგნის ღირებულებას და არა კონკრეტულ სარჩელებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლების საფუძვლების არსებობას.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს დასაშვებად უნდა ეცნო მისი სააპელაციო საჩივარი, ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მხარეებს განემარტათ ამ გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობა.

საკასაციო პალატა ვერც ამ მოსაზრებას გაიზიარებს, ვინაიდან სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავებში, თუ მისი ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს, დაუშვებელია კანონის იმპერატიული დანაწესით. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს შესაძლებლობას თავისი შეხედულებით გადაწყვიტოს სააპელაციო საჩივრის დაშვების საკითხი.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ არსებობს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული ვერ გახდება კერძო საჩივრის ფარგლებში მსჯელობის საგანი, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო იხილავს იმ განჩინების კანონიერებას, რომლითაც სააპელაციო საჩივარი არსებითად კი არ განხილულა, არამედ იგი განუხილველად იქნა დატოვებული დაუშვებლობის გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

ღ ა ა ლ გ ი ნ ა :

1. ნ. კ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 ნოემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის ღირებულება

ბანკინება

№ას-1669-1657-2011 26 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

ფ. ხ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ე-ასა და სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამსახურის წინააღმდეგ და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება იმ მოტივით, რომ იგი წარმოადგენს სამეგრელო-ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის – თ. გ-ას მიერ 2011 წლის 4 აგვისტოს ქონების აღწერისა და დაყადაღების შესახებ აქტით დაყადაღებული მოძრავი ნივთების (რიგით №2 და №4) მესაკუთრეს.

მ. ე-ამ სარჩელი ცნო.

სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამსახურმა სარჩელი არ ცნო და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით ფ. ხ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, ყადაღისაგან გათავისუფლდა სამეგრელო-ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის – თ. გ-ას მიერ 2011 წლის 4 აგვისტოს ზუგდიდის სოფელ კოლხიდაში შედგენილი ქონების აღწერისა და დაყადაღების შესახებ აქტში დაყადაღებული ხის კარადა და ტელევიზორი, სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამსახურს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა წინასწარ გაღებული სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით.

რაიონული სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება მოსარჩელის სასარგებლოდ 100 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში, სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამსახურმა და მოითხოვა დასახელებულ ნაწილში მისი გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ნოემბრის განჩინებით სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამსახურის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ იმ დადგენილი გარემოების გათვალისწინებით, რომ დავის საგნის ღირებულება განისაზღვრა 600 ლარით და, შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟი – 100 ლარით, რაც გახდა სააპელაციო საჩივრის საგანი, რომელიც კანონით დადგენილ 1000 ლარზე ნაკლები იყო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამსახურმა და მოითხოვა მისი გაუქმება იმ მოტივით, რომ მისი სააპელაციო საჩივარი მართალია განუხილველად დარჩა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის საფუძველზე, თუმცა მიუხედავად ამისა, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმებულიყო ვინაიდან იგი უკანონოდ მიიჩნეეს ფ. ხ-ას მიმართ მოვალედ და კრედიტორად და, შესაბამისად, უკანონოდ დაეკისრა მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამსახურის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

მითითებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრის ღირებულების განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სარჩელით, რომელშიც ჩამოყალიბებულია მოსარჩელის მოთხოვნა, გასაჩივრებული გადაწყვეტილებითა და კანონით. კანონი ქონებრივი დავის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის გარკვეულ შეზღუდვას აწესებს, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს.

განსახილველ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორი სააპელაციო საჩივრით ასაჩივრებდა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას მისთვის, მოსარჩელის სასარგებლოდ, სახელმწიფო ბაჟის სახით 100 ლარის დაკისრების ნაწილში, რომელიც არ აღემატება ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ 1000 ლარს, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამსახურის სააპელაციო საჩივარი სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველად.

ლად დაუშვებლობის გამო და არ არსებობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ნოემბრის გასაჩივრებელი განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამსახურის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ნოემბრის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის ღირებულება

განჩინება

№ას-1772-1752-2011

16 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 04 აგვისტოს სამტრედიის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართეს ს. კ-ემ და დ. კ-მა მოპასუხე ლ. კ-ის მიმართ და მოითხოვეს წილის დათმობის ხელშეკრულების გაუქმება.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 5 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა გამოუცხადებლობის გამო სარჩელი არ დაკმაყოფილდა. დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინეს ს. კ-ემ და დ. კ-მა და მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ამავდროულად სასამართლოს 2011 წლის 5 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში. დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დ. კ-მა და ს. კ-ემ, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ნოემბრის განჩინებით სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამსახურის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ იმ დადგენილი გარემოების გათვალისწინებით, რომ სააპელაციო საჩივრის საგანს წარმოადგენდა წილის დათმობის ხელშეკრულების გაუქმება, სადაც დავის საგანი (წილის ოდენობა) განსაზღვრულია 902 ლარით, რომელიც კანონით დადგენილ 1000 ლარზე ნაკლები იყო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ს. კ-ემ და დ. კ-მა და მოითხოვეს მისი გაუქმება იმ საფუძვლით, რომ იგი დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან ერთად ასაჩივრებდა განჩინებას დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე და ამდენად, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა რამდენად კანონიერად იქნა გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ ს. კ-ისა და დ. კ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

მითითებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრის ღირებულების განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სარჩელით, რომელშიც ჩამოყალიბებულია მოსარჩელის მოთხოვნა, გასაჩივრებული გადაწყვეტილებითა და კანონით. კანონი ქონებრივი დავის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის გარკვეულ შეზღუდვას აწესებს, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს.

განსახილველ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორი სააპელაციო საჩივრით ასაჩივრებდა რაიონული სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას და აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინებას, რომელიც ეხებოდა წილის დათმობის ხელშეკრულების გაუქმებას, სადაც დავის საგანი (წილის ოდენობა) განსაზღვრული იყო 902 ლარით, რომელიც არ აღემატება ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ 1000 ლარს, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ს. კ-ისა და დ. კ-ის სააპელაციო საჩივარი სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველად დაუშვებლობის გამო და არ არსებობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 ნოემბრის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ს. კ-ისა და დ. კ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 ნოემბრის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის ღირებულება

განჩინება

№ას-133-128-2012

21 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ალიმენტის ოდენობის შემცირება

აღწერილობითი ნაწილი:

დ. ჯ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ნ-ის მიმართ ალიმენტის ოდენობის შემცირების მოთხოვნით შემდეგი დასაბუთებით: განქორწინებულია ა. ნ-ესთან, რომელთანაც ჰყავს მცირეწლოვანი შვილი თ.ნ ჯ-ი, შვილის სასარგებლოდ ყოველთვიურ იხდის ალიმენტს 250 ლარს. ალიმენტის თაობაზე ვალდებულებას 2010 წლის აპრილამდე კეთილსინდისიერად ასრულებდა. ამჟამად არის დროებით უმუშევარი, რის გამოც ვეღარ ახერხებს ალიმენტის დადგენილი ოდენობით – 250 ლარის გადახდას და მოითხოვს ალიმენტის შემცირება 30 ლარამდე.

მოპასუხემ ა. ნ-ემ სარჩელის არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: ის ფაქტი, რომ მოსარჩელე 2010 წლიდან არის უმუშევარი, სათანადო მტკიცებულებებით არ დასტურდება, ამასთან, ბავშვის ზრდასთან ერთად იზრდება აუცილებელი, რაც დაკავშირებული შვილის სათანადო აღზრდისა და რჩენისათვის

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით დ. ჯ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, დ. ჯ-ს მისი არასრულწლოვანი შვილის 2007 წლის 10 ნოემბერს დაბადებული თ.ნ ჯ-ის სასარგებლოდ ყოველთვიურად დაეკისრა 100 ლარის გადახდა სარჩელის აღძვრის დღიდან 2011 წლის 29 სექტემბრიდან – ბავშვის სრულწლოვანებამდე ან და მდგომარეობის შეცვლამდე. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ჯ-მა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 21 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგი საფუძვლებით: იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტი ითხოვს ყოველთვიურად გადასახდელად დაკისრებული ალიმენტის შემცირებას 70 ლარით, სააპელაციო საგნის ღირებულება შეადგენს 840 ლარს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, პალატამ მიიჩნია, რომ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს, შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 21 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა დ. ჯ-მა და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: იგი არის უმუშევარი არ გააჩნია არანაირი შემოსავალი, შესაბამისად, გაუგებარია, თუ საიდან დაასკვნა სასამართლომ, რომ მას შეუძლია თუნდაც 100 ლარის ალიმენტის გადახდა. ის არ ითხოვს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან განთავისუფლებას, არამედ ითხოვს ალიმენტის 30 ლარამდე შემცირებას იმ მოტივით, რომ მას ფიზიკურად არ გააჩნია რაიმე სახის შემოსავალი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა დაკისრებული ვალდებულების შესრულება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ჯ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, კანონი ქონებრივი დავის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის გარკვეულ შეზღუდვას აწესებს, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს.

მოცემული დავა ეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ალიმენტის გადახდევინებას და მისი ღირებულება განისაზღვრება ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხის ერთობლიობით. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, გასაცემის ან გადასახდელის შემცირების ანდა გადიდების შესახებ სარჩელის დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება იმ თანხით, რომლითაც მცირდება ანდა დიდდება გასაცემი ან გადასახდელი, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლის განმავლობაში.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით დ. ჯ-ის სარჩელი ა. ნ-ის მიმართ ალიმენტის შემცირების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, რაც დ. ჯ-მა გაასაჩივრა სააპელაციო წესით. სააპელაციო საჩივრით მხარე არ დაეთანხმა აღნიშნულ ოდენობას 100 ლარის ნაწილში და მოითხოვა მისთვის ალიმენტის სახით ყოველთვიურად არა 100 ლარის, არამედ 30 ლარის დაკისრება, შესაბამისად, აპელანტმა გადაწყვეტილება სადავოდ გახადა მისთვის 70 ლარის დაკისრების ნაწილში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის თანახმად სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა გამოანგარიშდეს ერთ წელზე (12 თვეზე) 70 ლარის გაანგარიშებით, რაც შეადგენს 840 ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დ. ჯ-მა სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება 840 ლარით სწორად განსაზღვრა და მართებულად დაასკვნა, რომ იგი კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობას – 1000 ლარს არ აღემატება, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

დ. ჯ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

№ას-789-742-2012

21 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

კ. ძ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ი. უ. ქ-ის“ მიმართ ხელშეკრულების შეწყვეტის, ზიანის ანაზღაურების შესახებ და მოითხოვა, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, შეწყდეს კ. ძ-სა და სს „ი. უ. ქ-ს“ შორის გაფორმებული 2007 წლის 17 თებერვლის №2/18 ხელშეკრულება და მოპასუხეს დაეკისროს 139120 აშშ დოლარის დაბრუნება, სს „ი. უ. ქ-ს“ ზიანის ანაზღაურების სახით დაეკისროს 139120 აშშ დოლარის წლიური 10%-ის ანაზღაურება 2007 წლის 28 თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით კ. ძ-ს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 2007 წლის 17 თებერვალს კ. ძ-სა და სს „ი. უ. ქ-ს“ შორის დადებული №2/18 ხელშეკრულება შეწყდა, სს „ი. უ. ქ-ს“ კ. ძ-ს სასარგებლოდ დაეკისრა 139120

აშშ დოლარის, ასევე აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან მის აღსრულებამდე ყოველწლიურად 139120 აშშ დოლარის 9%-ის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 აპრილის განჩინებით სს „ი. უ. ქ-ის“ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება 2012 წლის 28 თებერვალს სს „ი. უ. ქ-ის“ წარმომადგენელ ა. ქ-ს ჩაბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე, 369-ე და მე-60 მუხლების თანახმად, სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის დინება დაიწყო 2012 წლის 29 თებერვალს და ამოიწურა 2012 წლის 13 მარტს.

აპელანტის წარმომადგენელმა ა. ქ-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს სააპელაციო საჩივრით მიმართა 2012 წლის 14 მარტს, ნაცვლად 13 მარტისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი წარდგენილია კანონით განსაზღვრული ვადის დარღვევით და უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე სს „ი. უ. ქ-მ“ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო საჩივარი გამოგზავნილ იქნა საკურიერო ფირმა შპს „ს-ის“ მეშვეობით, რომელსაც საჩივარი სასამართლოში წარსადგენად ჩაბარდა ვადაში, 2012 წლის 13 მარტს, თუმცა გზავნილის სასამართლოსათვის ჩაბარება მოხდა მომდევნო დღეს, რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებით.

დამატებით აღსანიშნავია, რომ დროის ეკონომიის მიზნით სს „ი. უ. ქ-მ“ ისარგებლა შპს „ც. პ. ჯ-ის“ მომსახურებით, რომელსაც, თავის მხრივ, საკურიერო მომსახურების ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს „ს-სთან“ და სწორედ ამ მიზეზით გზავნილის კურიერისათვის ჩაბარების დოკუმენტს აქვს შპს „ც. პ. ჯ-ის“, როგორც ამანათის გამგზავნი ორგანიზაციის ბეჭედი და უფლებამოსილი პირის ხელმოწერა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „ი. უ. ქ-ის“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259¹ მუხლის შესაბამისად, ასევე 259¹ მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის გადაცემის მომენტიდან 14 დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვება და დარჩება განუხილველად.

მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება გაეგზავნა სს „ი. უ. ქ-ს“ და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად, 2012 წლის 28 თებერვალს ჩაბარდა მის წარმომადგენელ ა. ქ-ს, რაც დასტურდება საქმეში არსებული ხელწერილით.

ამდენად, სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის დენა დაიწყო 2012 წლის 29 თებერვალს და ამოიწურა 2012 წლის 13 მარტს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

აპელანტის წარმომადგენელმა ა. ქ-მ საქალაქო სასამართლოს სააპელაციო საჩივრით მიმართა 2012 წლის 14 მარტს, რაც მეტყველებს, რომ მხარემ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა დაარღვია.

საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ მან სააპელაციო საჩივარი სასამართლოში გასაგზავნად ვადაში, 2012 წლის 13 მარტს ჩააბარა შპს „ს-ს“.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

ამდენად, კერძო საჩივრის ავტორი ვალდებული იყო, დამაჯერებლად დაედასტურებინა მის მიერ სააპელაციო საჩივრის დროულად შეტანის ფაქტი, რაც მან ვერ შეძლო.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად სარწმუნო მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება კერძო საჩივარზე დართული შპს „ს-ის“ საშუალებით გასაგზავნი გზავნილების შესახებ შპს „ც. პ. ჯ-ის“ რეესტრი, ვინაიდან აღნიშნულ დოკუმენტში შპს „ი. უ. ქ-ა“ მოხსენიებული საერთოდ არ არის.

ამდენად, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

სს „ი. უ. ქ-ის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

№ას-1634-1624-2011

8 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. გ-მა და მ. მ-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში მ. ნ-ის მიმართ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. გ-მა და ვ. მ-მა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 აგვისტოს განჩინებით მ. გ-ისა და ვ. მ-ის სააპელაციო საჩივარი ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. გ-სა და ვ. მ-ს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება გაეგზავნათ კანონით დადგენილი წესით და ჩაბარდათ 2011 წლის 22 ივლისს. მ. გ-ისა და ვ. მ-ის სააპელაციო საჩივარი ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში შეტანილია 2011 წლის 12 აგვისტოს (საფოსტო განყოფილებაში შეტანილია 10 აგვისტოს). პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლზე, 374-ე მუხლზე და განმარტა, ვინაიდან ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 30 ივნისის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი მ. გ-სა და ვ. მ-ს გაეგზავნათ და ჩაბარდათ 2011 წლის 22 ივლისს, ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების ბოლო ვადას წარმოადგენდა 2011 წლის 5 აგვისტო. ვინაიდან მ. გ-სა და ვ. მ-ს სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარდათ კანონით დადგენილი წესით, მაგრამ სააპელაციო საჩივარი ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში შევიდა 2011 წლის 12 აგვისტოს (ფოსტას ჩაბარდა 10 აგვისტოს), სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის დარღვევით, პალატამ ჩათვალა, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანეს მ. გ-მა და ვ. მ-მა, მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის დადგენილი საპროცესო ვადის აღდგენა და საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით:

კერძო საჩივრის ავტორთა განმარტებით, მათ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გადასცეს წარმომადგენელ მევლუდ ჩოფლიანს, რომელსაც მინიჭებული აქვს წარმომადგენლობის უფლებამოსილება და მას ამ გადაწყვეტილებაზე უნდა შეეტანა სააპელაციო საჩივარი. მ. გ-სა და ვ. მ-ს არ ჰქონდათ საფუძველი, ევერაუდათ წარმომადგენლის მიერ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზით საპროცესო ვადის დარღვევის თაობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ წარმომადგენელმა დაარღვია საპროცესო ვადა, კერძო საჩივრის ავტორებმა დაკარგეს შესაძლებლობა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების უსწორობა საქმის სააპელაციო წესით განხილვისას დაედასტურებინათ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 ნოემბრის განჩინებით მ. გ-ი და ვ. მ-ი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „მ1“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლდნენ, ხოლო მათი კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. გ-ისა და ვ. მ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

მოცემული საქმის მასალებით დადასტურებულია და ამას არც კერძო საჩივრის ავტორები ხდიან სადავოდ, რომ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაეგზავნათ საქმეში მითითებულ მისამართზე და 2011 წლის 22 ივლისს ჩაიბარა მ. გ-მა (შეტყობინების ბარათის თანახმად, მას ხელს აწერს მ. გ-ი და მიუთითებს ვ. მ-ის პირადობის მონმობის პირად ნომერს). სადავო არაა ის გარემოება, რომ მ. გ-ისა და ვ. მ-ის სააპელაციო საჩივარი „TNT-ს“ საფოსტო განყოფილებას ჩაბარდა 2011 წლის 10 აგვისტოს (იხ. საფოსტო გზავნილი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარეთათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259¹ მუხლის შესაბამისად, ასევე 259¹ მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ მოდამე მხარე, რომელიც არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, უფლებამოსილია, შეიტანოს სააპელაციო საჩივარი მისი კანონით დადგენილი წესით გადაცემიდან 14 დღის ვადაში.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 433¹ მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის 259¹ მუხლი ამოქმედებულია მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების მიმართ, დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად უნდა ჩითვალოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარეთათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

ამდენად, სააპელაციო სასამართლო, სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების ეტაპზე ზუსტად და უტყუარად არკვევს მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტს, რადგანაც კანონის მითითებული დანაწესის სწორად განმარტება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებით მხარეს ერთმევა უფლება, სასამართლო წესით დაიცვას თავისი ინტერესი. აღნიშნული კი უზრუნველყოფილია მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით და მის ერთ-ერთ ძირითად, ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს (სსსკ-ის მე-2 მუხლი), ამასთანავე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის დანაწესი სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის გაგრძელება-აღდგენის დაუშვებლობის თაობაზე გამომდინარეობს მეორე მხარის ინტერესიდან, რათა მართლმსაჯულების განხორციელებისას დაუსაბუთებლად არ დაირღვეს მისი დაცვადი ინტერესები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. სასამართლო უწყებით სასამართლოში იბარებენ აგრეთვე მონმებებს, ექსპერტებს, სპეციალისტებსა და თარჯიმნებს. დასახელებული ნორმით დადგენილია სასამართლო შეტყობინების ჩაბარებულად მიჩნევის ზოგადი წესი და კანონმდებელი განმარტავს, რომ ნორმის სუბიექტთაგან ერთ-ერთისათვის შეტყობინების ჩაბარება ნამდვილია და ითვლება უშუალოდ მხარისათვის ჩაბარებად, რაც საპროცესო მოქმედების განხორციელების წინაპირობაა.

საქმის მასალებისა და კერძო საჩივრის არგუმენტების შესწავლით პალატა თვლის, რომ კერძო საჩივრის ავტორები გზავნილის ჩაბარების ფაქტს ადასტურებენ.

მითითებულ გარემოებათა გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ მხარეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარდა 2011 წლის 22 ივლისს და სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადის დენა, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილისა, დაიწყო 2011 წლის 23 ივლისს – მოვლენის დადგომის მომდევნო დღეს და ამოიწურა 2011 წლის 5 აგვისტოს, პარასკევს. მხარემ კი სააპელაციო საჩივრით ფოსტის განყოფილებას მიმართა ამავე წლის 10 აგვისტოს, კანონით გათვალისწინებული 14-დღიანი ვადის დარღვევით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომ მხარემ დაარღვია სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა, საკა-

საციო პალატა საცხებით დასაბუთებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას მ. გ-ისა და ვ. მ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

საკასაციო პალატა დასაბუთებულად ვერ მიიჩნევს კერძო საჩივრის არგუმენტს, რომ მოსარჩელებმა, ადვოკატის დაუდევრობის გამო, დაკარგეს მათი უფლების საკასაციო წესით დაცვის შესაძლებლობა და ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ მიუთითებს შემდეგზე:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ აგრეთვე საქმე აწარმოონ სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეებს თვითონაც პირადად მიიღონ მონაწილეობა საქმეში. ამავე კოდექსის 99-ე მუხლით კი განსაზღვრულია, რომ მარწმუნებელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს თავის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება, რის შესახებაც იგი წერილობით აცნობებს სასამართლოსა და წარმომადგენელს. მხარის წინადადებით წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა არ წარმოადგენს საქმის წარმოების შეჩერებისა თუ საქმის განხილვის გადადების საფუძველს. უფლებამოსილება შეწყვეტილი წარმომადგენლის მიერ კანონის შესაბამისად შესრულებული ყველა საპროცესო მოქმედება ინარჩუნებს მნიშვნელობას.

დასახელებული ნორმებით კანონმდებელმა დაადგინა რა საქმის წარმოების შესაძლებლობა წარმომადგენლის მეშვეობით, სრულიად სამართლიანად დაუტოვა მხარეს უფლება, თავადაც განახორციელოს საპროცესო უფლებები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სასამართლო საპროცესო მოქმედებას შესრულებულად თვლის, თუ ის განხორციელებულია კანონით გათვალისწინებულ ვადაში და არ აქვს მნიშვნელობა აღნიშნული შეასრულა უშუალოდ მხარემ, თუ მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის არც ერთი დანაწესი არ ითვალისწინებს საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის საპატიოდ მიჩნევის შესაძლებლობას თუ ის (ივარაუდება შეუსრულებლობა) განხორციელებულია უშუალოდ მხარის ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ. ამდენად, უსაფუძვლოა კერძო საჩივრის ზემოაღნიშნული არგუმენტი და არ არსებობს მისი გაზიარების წინაპირობა, უფრო მეტიც, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო წარმომადგენლის ქმედებას მხარის მიერ საპროცესო ვადის საპატიო მიზეზით გაშვებულად ჩათვლია, მაინც არ იარსებებს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების წინაპირობა, რადგანაც, მსგავსად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის იმპერატიული დანაწესისა, ამავე კოდექსის 63-ე მუხლით დადგენილია, რომ საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება, ხოლო ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილით პირდაპირაა განსაზღვრული, რომ სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადების გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მ. გ-ისა და ვ. მ-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ამასთან გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა კანონი, რის გამოც არ არსებობს მისი გაუქმების წინაპირობები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა ზ ბ ი ნ ა :

1. მ. გ-ისა და ვ. მ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 აგვისტოს განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კერძო საჩივრის ავტორები სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებული არიან.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-267-254-2013

18 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ჯ. ა-მა“ თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „ი. ს-ის“ წინააღმდეგ სარჩელი აღძრა და მოითხოვა მოპასუხისათვის 32694,2 ლარის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „ჯ. ა-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე შპს „ი. ს-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 33743,45 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება შპს „ი. ს-მა“ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 თებერვლის განჩინებით შპს „ი. ს-ის“ სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება 2013 წლის 21 იანვარს ჩაიბარა, შესაბამისად, გასაჩივრებისათვის დადგენილი 14-დღიანი ვადის ათვლა 22 იანვრიდან დაიწყო და 2013 წლის 4 თებერვალს ამოიწურა, სააპელაციო საჩივარი კი, შეტანილია 5 თებერვალს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შპს „ი. ს-ის“ წარმომადგენელმა ი. ყ-მა კერძო საჩივარი შეიტანა. მხარის მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება 2012 წლის 27 დეკემბერსაა გამოტანილი. სადავო არაა ის გარემოება, რომ გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადის ათვლა დაიწყო 2013 წლის 22 იანვრიდან, ხოლო საჩივარი წარდგენილია 5 თებერვალს, ანუ, კანონით განსაზღვრული ვადის მომდევნო დღეს, შესაბამისად, მხარემ ცალსახად დაადასტურა, რომ აქვს გადაწყვეტილების გასაჩივრების სურვილი და ნება.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მითითება საპროცესო ვადის დარღვევის თაობაზე უსაფუძვლოა, ხოლო თუ მაინც დადგინდება ვადის დარღვევა, ეს დარღვევა იმდენად უმნიშვნელო და არაარსებითია, რომ საკასაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს გაშვებული ვადის აღდგენის თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის განხილვისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ი. ს-ის“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

სააპელაციო საჩივარი განუხილველად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი 14-დღიანი ვადის გაშვების გამო დარჩა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კერძო საჩივრის ავტორი ადასტურებს ვადის გაშვების ფაქტს, კერძოდ, საჩივარში მითითებულია: „სადავო არ არის, რომ გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადის ათვლა დაიწყო 2013 წლის 22 იანვრიდან, ხოლო საჩივარი წარდგენილია 5 თებერვალს, ანუ, კანონით განსაზღვრული ვადის მომდევნო დღეს, შესაბამისად, მხარემ ცალსახად დაადასტურა, რომ აქვს გადაწყვეტილების გასაჩივრების სურვილი და ნება“.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ვინაიდან აპელანტმა დაადასტურა გადაწყვეტილების გასაჩივრების სურვილი, სააპელაციო სასამართლოს საჩივარი განუხილველად არ უნდა დაეთოვებინა, გარდა ამისა, ვადის გადაცილება იმდენად უმნიშვნელოა, რომ სასამართლომ მხარეს გაშვებული საპროცესო ვადა უნდა აღუდგინოს.

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის ავტორის აღნიშნულ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლომ შეიძლება აღადგინოს, თუ ცნობს, რომ საპროცესო მოქმედება საპატიო მიზეზით არ შესრულდა.

იმავე კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით კი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

აღნიშნული ნორმების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს საპროცესო ვადის აღდგენა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ არ არსებობს კანონის პირდაპირი აკრძალვა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლი კი, იმპერატიულად კრძალავს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის გაგრძელებას ან აღდგენას, მიუხედავად იმისა, ვადის გაშვება საპატიო მიზეზითაა განპირობებული თუ არა. მხედველობაში არც ის გარემოება მიიღება, აპელანტმა რამდენი დღით გადააცილა კანონით დადგენილ ვადას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ი. ს-ის“ კერძო საჩივარი ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 410-, 65-ე, 369-ე მუხლებით და

და ა ა ზ ი ნ ა:

1. შპს „ი. ს-ის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 თებერვლის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.